საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (584)
2 - 8 ივნისი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ამერიკელი მსახიობისა და მომღერლის, დინ რიდის, ღირსეული პასუხი ცილისმწამებელ სოლჟენიცინს 15

## ნატოს შემდეგ — ევროკავშირი: კალიურანდის ცივი შხაპი საქართველოს მთავრობის ევროპულ ილუზიებს 2



## ევროკავშირისა და ნატოს ქიმერას ვსდიოთ თუ რეალობას გავუსწოროთ თვალი? 5

## ადგილობრივ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის ჩავატაროთ. ვკითხოთ ადამიანებს, უნდათ თუ არა მატყუარა დასავლეთთან ინტეგრაცია 3






## კავკასია ბეჭედია ბაჯაღლო, საქართველო — შიგ ჩასმული ბადახში 9

## დასავლეთიდან მომდინარე უდიდესი საფრთხე და გადამრჩენელის ისტორიული მისია 6-7




## «ჩვენი წამხდარი საქმე» 18-19






## ანუ «მეორე ჯურის» კორონა

## ლუკაშენკო, RYANAIR-ის თვითმფრინავი და დასავლეთი 10




## სოროსის «ნამესტნიკი» უკრაინაში — ნეზალეჟნაიას მთავარი მედიამაგნატი 11





## 2015 წლის კოშმარი მეორდება 20



## ევროპა ახალი მიგრაციული კრიზისის მოლოდინში

ოცნებების სასაფლაო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მიერ დასავლეთისთვის გაღებული პოლიტიკური მსხვერპლი მუდამ აღემატება დასავლეთისთვის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რეალურ პოლიტიკაში გამოხატულ მნიშვნელობას. შესაბამისად, ამ ურთიერთობებში დარღვეულია პოლიტიკური აღებ-მიცემობის პრინციპი, რომელიც ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესების მუდმივ უგულებელყოფას გულისხმობს. საქართველო გასცემს გაცილებით მეტს და იღებს ნაკლებს, უფრო სწორად — არაფერს.**

# ნატოს შემდეგ — ევროკავშირი: კალიურანდის ცივი შხაპი საქართველოს მთავრობის ევროპულ ილუზიებს

**ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის ხელმძღვანელის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, მარინა კალიურანდის, მიერ ერთ-ერთ კონფერენციაზე გაკეთებულმა განცხადებამ, რომ ახლო მომავალში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობა რეალისტური ვერ იქნება, „ოცნების“ პოლიტიკურ ოცნებას 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისთვის განაცხადის შეტანაზე წერტილი დაუსვა.**

გზავნილი, რომელზეც მმართველმა გუნდმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია ააწყო და ქულებიც დაიწერა, შეიძლება ითქვას, გაბათილდა. მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კალიურანდს თავის განცხადებაში, განსხვავებით ნატოს ლიდერებისგან, არ უხსენებია „ღია კარი“ და გაწევრებისთვის აუცილებელი „ჯერ კიდევ შესასრულებელი პირობები“, რომლებითაც ფორმალურად მაინც აიხსნებოდა მათი მხრიდან ცივი უარის მიზეზი, ერთი რამ ცხადია: **საქართველოს ევროპულ ოჯახში სრულფასოვან წევრად მიღების საკითხი თეორიულადაც არ განიხილება. ეს ცხადყოფს, რომ მოქმედი ხელისუფლების მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე დასახული მომდევნო წლების გეგმა, მათ შორის 2020-2024 წლების სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, შიდა მოხმარებაზე გათვლილი პოლიტიკური სპეკულაციაა, რომელსაც რეალური საფუძველი არ აქვს. კალიურანდის განცხადებამ ისიც ცხადყო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცრუობდა, როცა გვარწმუნებდა, რომ 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანის თაობაზე ცნობა მხოლოდ „ევროპელ პარტნიორებთან შეთანხმების შემდეგ“ გაავრცელა.** ის, რომ „ოცნებას“ ამ საკითხზე არავისთან არ ჰქონია კოორდინაცია, უკვე დადასტურდა, თუმცა ეჭვი მაშინვე გაჩნდა, როცა ბრიუსელის მხრიდან „ოცნების“ მიერ სამთავრობო პროგრამის დონეზე აყვანილ ესოდენ მნიშვნელოვან გზავნილს, პრაქტიკულად, არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია...

გადავხედოთ, რას ითვალისწინებს ზემოაღნიშნული სამთავრობო პროგრამა და რა პოზიტიურ მიზნებს ისახავს სამი წლის შემდეგ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის იმედად ყოფნა.

დოკუმენტის დასაწყისში ვკითხულობთ, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყნის ინსტიტუციური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის მომზადება 2024 წლისთვის; ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მთავრობის ძალისხმევა გადატანილი იქნება შემდეგ ოთხ საკვანძო მიმართულებაზე: **საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები.**

თანმიმდევრულად მივყვეთ ამ საკვანძო მიმართულებებს:

პირველი — საგარეო პოლიტიკის ნაწილში, რომელიც, პროგრამის თანახმად, უპირველესი მოსამზადებელი მიმართულებაა, ხაზგასმულია, რომ მთავარი ორიენტირი დასავლურ ინსტიტუციებთან, პოლიტიკურ სისტემასთან კიდევ უფრო მჭიდრო და ღრმა თავსებადობაა. პროგრამაში დაკონკრეტებული არ არის, რაში შეიძლება ეს გამოიხატებოდეს, მაგრამ არსებული დღის წესრიგით ყველაფერი ნათელია — **დღევანდელი საქართველოსთვის ეს ნიშნავს დასავლეთის კიდევ უფრო ხელსაყრელ, სანდო იდეოლოგიურ დასაყრდენად ყოფნას; შეიძლება ითქვას, ინსტრუმენტადაც კი, რაც, უწინარესად, ვაშინგტონის სამხრეთკავკასიური ინტერესების გამტარის ფუნქციას და ამ კონტექსტში დაპირისპირებულ ვექტორთან ერთგვარი გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის კერის შექმნას გულისხმობს.** რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის ან რა საფასურს გადავიხდით გრძელვადიან თუ ახლო პერსპექტივაში, ანალიზის საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს: **საქართველოს მიერ დასავლეთისთვის გაღებული პოლიტიკური მსხვერპლი მუდამ აღემატება დასავლეთისთვის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რეალურ პოლიტიკაში გამოხატულ მნიშვნელობას. შესაბამისად, ამ ურთიერთობებში დარღვეულია პოლიტიკური აღებ-მიცემობის პრინციპი, რომელიც ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს, ინტერესების მუდმივ უგულებელყოფას გულისხმობს. საქართველო გასცემს გაცილებით მეტს და იღებს ნაკლებს, უფრო სწორად — არაფერს,** თუ არ ჩავთვლით კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების ხელშეუხებლობას და მათთვის მუდმივად ხელისუფლების სათავეში ყოფნის გარანტიას...

რაც შეეხება პროგრამის სხვა საკვანძო მიმართულებებს, 2024 წლისთვის დაგეგმილი ევროტრიუმფის სამთავრობო გეგმაში ერთ-ერთი ადგილი **უსაფრთხოებას** უკავია. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველომ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობის გზაზე უნდა განამტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება სწორედ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობების გაღმავებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ **აღნიშნულ პროგრამაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ასპექტად დასახელებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თავდაცვის სისტემის შექმნა, თუმცა მასში არათუ დაკონკრეტებული, ზედაპირულადაც კი არ არის საუბარი, როგორ და რა საშუალებებით შეიძლება ამ ყველაფრის განხორციელება** (მით უფრო იმ ფონზე, როცა შეიარაღებული ძალები სისტემურ დეგრადაციას განიცდის). ერთი სიტყვით, ხელისუფლება ქვეყნის უსაფრთხოების გეგმას ევროკავშირის კეთილ ნებაზე აგებს. მომდევნო სამ წელს თვითონ რეფრომებს გაატარებს და რისკებს გაწევს, ხოლო სამი წლის შემდეგ საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვან წევრად მიღება ქვეყანას თავისთავად აქცევს ევროპული უსაფრთხოების ნაწილად... გეგმა, „ორდინარულობის“ თვალსაზრისით, ნამდვილად „საინტერესოა...“


მარინა კალიურანდი

**ევროპულ ოჯახში საქართველოს სრულფასოვან წევრად მიღების საკითხი თეორიულადაც არ განიხილება. ეს ცხადყოფს, რომ მოქმედი ხელისუფლების მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე დასახული მომდევნო წლების გეგმა, მათ შორის 2020-2024 წლების სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით «ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის», შიდა მოხმარებაზე გათვლილი პოლიტიკური სპეკულაციაა, რომელსაც რეალური საფუძველი არ აქვს**

ახლა **კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიას** შევხედოთ. პროგრამაში წერია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა დეოკუპაციასა და არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებაშია, რაც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, „თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების უზრუნველყოფით“ უნდა მოხდეს. საუბარია იმაზე, რომ **ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ისევ იმ გზით განიხილავს, რომელმაც 28 წლის განმავლობაში მხოლოდ უკუშედეგი მოიტანა. მთავრობის გეგმა თავისი რიტორიკით სრულად გამორიცხავს კრემლის ფაქტორს და ისე საუბრობს დეოკუპაციაზე, თითქოს ამ პროცესს თავისთავად გულისხმობდეს საქართველოს აწ უკვე უტოპიური ევროინტეგრაცია.** სხვათა შორის, მმართველი გუნდის ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოჩნდა პრემიერის მიერ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, როცა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, „ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი ძლიერი საქართველო შეძლებს აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების საკუთარ სივრცეში დაბრუნებას“. რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს: **ტერიტორიული მთლიანობისკენ მიმავალ ერთადერთ გზას, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას, სწორედ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის დეკლარირებული პოლიტიკა კეტავს; პოლიტიკა, რომელიც, შედეგიანობის თვალსაზრისით, უკვე 20 წელია, არაფრის მომცემია, გარდა იმისა, რომ ამით საქართველო მისთვისვე საზიანო ანტირუსული ორიენტაციის დემონსტრაციას ეწევა.**

საინტერესოა პროგრამის ის ნაწილიც, რომელშიც **ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკურ აღმავლობაზეა საუბარი.** დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ „გაგრძელდება ქმედითი ღონისძიებების გატარება თანასწორობის უფლების რეალიზებისთვის, ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად...“ მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ალბათ, დასაკონკრეტებელია, რას შეიძლება ეს გულისხმობდეს. აქ საუბარია იმაზე, რომ **მომდევნო წლებში ხელისუფლება გეგმავს მთელი რიგი ლიბერალური კანონების მიღებას, მათ შორის, ალბათ, რაღაც ფორმით ერთი და იმავე სქესის პირთა თანაცხოვრების იურიდიულად აღიარებაზეც იქნება მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში ის, რომ ამის გარეშე ევროკავშირი ხელისუფლების პოლიტიკური გარანტორი არ იქნება, ცხადია;** ისევე, როგორც არ იქნება სხვა ლიბერალური დირექტივების უპირობოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ახლა — პროგრამის **ეკონომიკური ნაწილი:** სამთავრობო გეგმის ქვაკუთხედს ამ მიმართულებითაც დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა წარმოადგენს, გათვლა კეთდება იმაზე, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს და მაღალ ნიშნულზე ავიდეს ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა. პროგრამაში აღნიშნულია, რომ ეს ქვეყანას გამოიყვანს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეებიდან, თუმცა იმავე პროგრამაში ასევე საუბარია უკვე „მიღწეულ შედეგებზე“, რომელმაც თურმე, ბევრ სიკეთესთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა უმუშევრობაც... **საზოგადოებას არ სჭირდება იმის ახსნა, რომ ეს ყველაფერი აბსურდია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, გადავხედოთ სტატისტიკას:** ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე, ბოლო სამი წელია, მატულობს, იზრდება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა რაოდენობაც და, შესაბამისად, სოციალური ფონი უარესდება. მაგალითად, **თუ 2019 წელს 276,9 ათასი უმუშევარი იყო, 2020-ში ეს მაჩვენებელი 281,9 ათასია; 2021-ში კი 317,5 ათასამდე ავიდა. ეს შრომისუნარიანი მოსახლეობის 21,9%-ია, რომელიც მზარდია (პარალელურად მცირდებოდა დასაქმებულების რაოდენობა).**

რაც შეეხება, თავის მხრივ, ევროკავშირის პოზიციას და მის მიერ კალიურანდის პირით ნათქვამ მწარე სიმართლეს, საქართველოში ამ თემაზე უკვე არაერთი შეფასება გაკეთდა, თუმცა იმ გარემოებებს, რომელთა გამოც ევროპა უარს გვეუბნება, ნათელს ფაქტები ჰფენს... ფაქტია, რომ **ევროკავშირი უკვე დაშლის პირას მყოფი, ჰაერში გამოკიდებული ორგანიზაციაა, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა დატოვა; და ძალიან მარტივად და პრიმიტიულად რომ ვთქვათ, დატოვა იმის გამო, რომ მისთვის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ კრიზისში გახვეული ძირგამომპალი ერთობა მომგებიანი აღარ იყო. როგორც ჩანს, დიდი ბრიტანეთი არ არის უკანასკნელი, რომელიც ერთიან ევროპულ ოჯახს კიდევ ერთ აგურს გამოაცლის.** ცნობისთვის: რამდენიმე დღის წინათ შვეიცარიამ, რომელიც ევროკავშირის მეოთხე უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ევროკავშირთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკება შეწყვიტოს: „რაც წლების განმავლობაში ხდებოდა, ახლა ქაოსს იწვევს. ერთიანი ბაზრის ურთიერთობა ძალიან გაუწონასწორებელია იმ გაგებით, რომ შვეიცარია დღემდე ერთიანი ბაზრის ყველაზე დიდი ბენეფიციარია“, — აღნიშნულია ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში... ცალკე თემაა ის, რომ რამდენიმე დღის წინათ **ესპანეთმა კარი ჩაუკეტა მიგრანტებს და იმ მოტივით, რომ მის ეკონომიკას არ შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქეების შენახვა, თავის ჩრდილოეთაფრიკულ ანკლავ სუეტაში შეჭრილი მაროკოს 6000 არალეგალი მოქალაქე უკან გააბრუნა;** ცალკე თემაა ისიც, რომ საფრანგეთში ეთნიკურად ფრანგ მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება უკმაყოფილება, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია იმ მიზეზით, რომლის გამოც ბრიტანეთმა თავს უშველა...

მოკლედ, ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება მარტივი შეკითხვები, რომლებიც, ალბათ, ევროკავშირის მიერ კალიურანდის პირით ნათქვამ უარსაც ახსნის: **საქართველოს ადგილი შეიძლება იყოს იმ ევროპულ ოჯახში, რომლიდანაც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი და შვეიცარია გარბიან?! საქართველო რას მიიღებს აქედან ან ვინ და რატომ აიღებს პასუხისმგებლობას მის კეთილდღეობაზე, როცა ევროგაერთიანების წამყვან სახელმწიფოებს ამის არანაირი სურვილი არ აქვთ?!** როგორც ჩანს, მმართველ გუნდში „მეოცნებე“ თავებს ამ შეკითხვებით გონება არ დაუღლიათ, როცა მთავრობის გეგმას წერდნენ და წინასაარჩევნოდ მოსახლეობისთვის ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივის ვარდისფერი სათვალით დანახვებას ცდილობდნენ...

**ჯაბა ჟვანია**

**ამ რეფერენდუმის ერთნაირად ეშინიათ როგორც დასავლეთს, ისე ქართულ პოლიტიკურ ელიტას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფით პასუხს გასცემს დასავლეთისკენ სწრაფვას და ეს 30-წლიანი წვალება და, რაც მთავარია, ხარჯები წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. მერე უკვე დოკუმენტურად ველარ გაექცევიან რეალობას და ველარ იტყვიან: ქართველი ხალხი, საითაც ხელს ვუშვერთ, იქით მიდისო.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადგილობრივ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმიც ჩავატაროთ. ვკითხოთ ადამიანებს, უნდათ თუ არა მატყუარა დასავლეთთან ინტეგრაცია

**მიმდინარე კვირაში საქართველოს ეწვევა ამერიკის კონგრესის დელეგაცია. აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, დელეგაცია საქართველოში სენატორ ჯინ შაჰინის ხელმძღვანელობით ჩამოვა. როგორც საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული, კონგრესის დელეგაცია საქართველოში ჩამოსვლისას განაცხადებს ორპარტიული გზავნილის შესახებ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ქართველ ხალხს მხარში უდგას ქვეყნის დემოკრატიის გასაძლიერებლად“.**




„რუსეთის მზარდი აგრესიის წინააღმდეგ უკრაინა და საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ვუჩვენოთ ჩვენი სოლიდარობა უკრაინელ და ქართველ ხალხებს და გავამხნევოთ პოლიტიკური ლიდერები, გააგრძელონ აუცილებელი რეფორმები, რომლებიც გააძლიერებს დემოკრატიას მათ ქვეყნებში. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინასა და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მიღწევაში. ამერიკის შეერთებული შტატები მოწადინებულია, ხელი შეუწყოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობის რეალობად ქცევას“, — ჩამოსვლამდე განაცხადა სენატორმა **შაჰინმა.**

ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე გაირკვა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული 2022 ფისკალური წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საქართველოსთვის **88 მილიონი დოლარის** გამოყოფა იგეგმება.

„ამერიკის დახმარება ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიზაციას, ეკონომიკურ განვითარებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და კრემლის მავნე ზეგავლენისთვის წინააღმდეგობის გაწევას. დაფინანსება ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის განმტკიცებასა და კანონის უზენაესობას, უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; გააუმჯობესებს დამოუკიდებელ, სანდო და დაბალანსებულ მედიაზე წვდომას; ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პლურალიზმს; მხარს დაუჭერს შერიგების მცდელობებს, მათ შორის აფხაზეთში; გაზრდის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის განვითარებას; ხელს შეუწყობს რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად; ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდას; ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გაზრდილი დაფინანსება ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებასა და მოსახლეობის ინტეგრაციას, რომელიც რუსეთის მავნე ზეგავლენას განიცდის“, — აღნიშნულია ბიუჯეტის პროექტში, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

რიგითობით მივყვეთ.

**თუ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება 88 მილიონ დოლარად არის შესაძლებელი, გამოდის, გვეშველა და ეგაა,** მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული. განცხადებაში ორჯერ არის ნახსენები **რუსეთი,** ანუ **ამერიკელები დაუფარავად ამბობენ: მთავარია მოსახლეობის ინტეგრაცია, რომელიც რუსეთის მავნე ზეგავლენას განიცდისო.** ჯერ ერთი, ძალიან საინტერესოა, **როგორ დაადგინეს, არსებობს თუ არა რუსეთის ზეგავლენა და, თუ არსებობს, რატომ არის მავნე?** გამოდის, ამერიკელები გვეუბნებიან: ეგ მავნეა, უბრალოდ, ვერ ხვდებითო, ე.ი., მათ ჩვენზე უკეთ იციან, რა არის ჩვენთვის კარგი და რა — ცუდი. **ამავე თანხაში შედის დამოუკიდებელ, სანდო და დაბალანსებულ მედიაზე წვდომის გაუმჯობესება.**

**მოდი, გონებაში გადაავლეთ თვალი ქართულ ტელესივრცეს და მითხარით, რომელია დაბალანსებული, დამოუკიდებელი და სანდო. ვერ გაიხსენეთ ხომ? ვერც ჩვენ გავიხსენეთ, ვერც ამერიკელები გაიხსენებენ, მაგრამ სწორედ ამ კერძო ინტერესებს მორგებული ტელევიზიების ყიჟინის ფონზე გამოუშვეს ციხიდან ჟორიკა რურუა და მაშინ არც ერთ ამერიკელს არ უთქვამს: ეს ამბავი იმ ტელევიზიამ ააგორა, რომლის მფლობელიც რურუაა, და რეალურად არანაირი პოლიტპატიმარი არ გახლავთო.**

სიმართლე კი ის არის, რომ ევროპასაც და ამერიკასაც თავიანთი დამოუკიდებელი კვლევები აქვთ და ზუსტად იციან, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის დამოკიდებულება დასავლური ინსტიტუტების მიმართ რადიკალურად შეცვლილია. ამომრჩეველთა უმრავლესობას აღარ სჯერა იმის, რომ ოდესმე ნატოში ან ევროკავშირში მიგვიღებენ; არც იმის სჯერა, რომ რუსეთთან პირისპირ საუბარი საშიშია, ამიტომ დასავლეთი დაფინანსებას ყოველწლიურად ზრდის, ტელევიზიებიდან რაც შეიძლება მეტი ანტირუსული პროპაგანდა რომ ილვრებოდეს და აგერ, ორ სენატორსაც დესპანად გზავნის. **რა უნდა თქვან სენატორებმა ისეთი, რაც მოსახლეობის აზრსა და განწყობას რადიკალურად შეცვლის?** არც არაფერი, მაგრამ ისინი უფრო იმისთვის ჩამოდიან, პოლიტიკოსები რომ შეაფუცხუნონ და, თუ რომელიმე ორჭოფობს, აზრი გაუმყარონ. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბოლო ორ კვირაში ორი ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდა — **გიორგი გახარიას** „მოძრაობა საქართველოსთვის“ და **ლევან ვასაძის** „ერი“. **გახარიამ პირველივე ყრილობაზე განაცხადა: დასავლეთის მონა ვარ, რუსეთი ოკუპანტიაო და ამით ამერიკა-ევროპას მიანიშნა, თქვენი კაცი ვარო. ვასაძე კი არ მალავს, რომ რუსეთთან დიალოგის მომხრეა და, ვისაც არ დაეზარა, ყველამ მისი ლანძღვა დაიწყო.** არადა, კაპიტალი, რომლითაც ორივე პიროვნება პოლიტიკაში მოვიდა, სწორედ რუსეთშია ნაშოვნი. გახარიას ახლაც აქვს იქ ბიზნესი და, როგორც ჩანს, დისკომფორტს არ უქმნის ის, რომ, **სადაც ფულს შოულობს, იქაურობას მტრად და ოკუპანტად მოიხსენიებს. მან ზუსტად იცის, სხვაგვარად თუნდაც იმ 88 მილიონიდან, რომელიც გაისად უნდა გვერგოს, არაფერი შეხვდება და სწორედ გაისისთვის ის უკვე ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში კონკრეტული მუნიციპალიტეტების დონეზე მაინც იქნება.**

კარს 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები მოგვადგა და ძალიან მარტივად შეიძლება, **ადგილობრივ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმიც ჩავატაროთ. ვკითხოთ მოსახლეობას, რას ფიქრობენ ქვეყნის საგარეო კურსზე, უჭერენ თუ არა მხარს დასავლეთისკენ ასე თვალდახუჭული სწრაფვას, არიან თუ არა მომხრე რუსეთთან პირდაპირი დიალოგისა. წესითა და რიგით, ამ ყველაფრით, უწინარესად, დასავლეთი და პოლიტიკოსები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ისინი მუდმივად იმეორებენ: ქართველი ხალხი ევროპული ოჯახისა და ნატოსკენ ისწრაფვისო.** ჰოდა, თუ ამ ყველაფერს დოკუმენტურადაც რეფერენდუმით გააფორმებენ, ათი წლით მშვიდად ყოფნა შეეძლებათ, აღარც დამატებითი ხარჯების გაღება მოუწევთ და ნებისმიერს, ვისაც კითხვები გაუჩნდება, სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგებს ააფარებენ სახეზე, მაგრამ საქმეც ის რის, რომ **ამ რეფერენდუმის ერთნაირად ეშინია როგორც დასავლეთს, ისე ქართულ პოლიტიკურ ელიტას.** ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფით პასუხს გასცემს დასავლეთისკენ სწრაფვას და ეს 30-წლიანი წვალება და, რაც მთავარია, ხარჯები წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. მერე უკვე დოკუმენტურად ველარ გაექცევიან რეალობას და ველარ იტყვიან: ქართველ ხალხი, საითაც ხელს ვუშვერთ, იქით მიდისო.

სასაცილოა, მაგრამ ფაქტია: ორი სენატორის ვიზიტისთვის ხელისუფლება განსაკუთრებით ემზადება. დაახლოებით ისეა, ამერიკაში ორი ქართველი დეპუტატი რომ ჩავიდეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ხმაური ატყდეს: ქართველი კანონმდებლები მოდიან, არიქა, შესაბამისად დავხვდეთო. **ორი ქართველი დეპუტატის ვიზიტს კი არა, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერის ვიზიტი არ შუქდება ხოლმე ისე, როგორც აქ ორი სენატორის დახვედრას აპირებენ. ცალკე ოპოზიციაა ბედნიერი, ჩვენც უნდა შეგვხვდესო და ცალკე ხელისუფლება იხეხს კბილებს, ჰოლივუდური ღიმილი რომ არ დაამადლონ „საპატიო“ სტუმრებს.** ეს ვიზიტი იმას ჰგავს, შუა საუკუნეებში დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობელი ქვეყნიდან რომელიმე მთავარი როცა ჩავიდოდა და მას წელში ორად მოხრილები და ტაშის გრიალით რომ ხვდებოდნენ. ახლა არ თქვათ, — დასავლეთს დაპყრობილი არ ვყავართ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიანო. სტრატეგიულმა პარტნიორმა, უწინარესად, თავისუფლება არ უნდა შეგიზღუდოს, თავისუფლად მოქმედების საშუალება არ უნდა აგიკრძალოს. ჩვენ კი ეს ყველაფერი აკრძალულ-დაკრძალული გვაქვს და ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ვახერხებთ, თუ ამერიკა-ევროპას არ შევუთანხმებთ.

**გვეწვევიან ამ კვირაში ამერიკელი სენატორები, გვარიანად მოილხენენ და გვერწმუნეთ, ბიუჯეტს არა ერთი და ორი ათასი დაუჯდება მათი ხუშტურების დაკმაყოფილება. შემდეგ წავლენ სამშობლოში და იქიდან მოგვწერენ: ჩვენ მეგობრები ვართ, უკვე თითქმის მზად ხართ, ნატოში მიგიღოთო, მაგრამ ეს თითქმის ისევ უსასრულოდ გაიწელება და პასუხსაც არავინ მოითხოვს. სამაგიეროდ, მომდევნო წელს კიდევ რამდენიმე ათეულ მილიონს გამოგვიყოფენ და აქ ნამდვილი ბრძოლა გაიმართება ამ მილიონების ხელში ჩასაგდებად. შემდეგ რომელიმე ორი ან სამი მოცლილი სენატორი კვლავ ინებებს რამდენიმე დღით თავის საბატონოში დასვენებას და ისევ გვეწვევა...** ასე ვიტრიალებთ ერთ წრეზე მანამ, სანამ ან მათ არ მოსწყინდებათ, ან ჩვენ. ჩვენს პოლიტიკოსებს ნამდვილად არ მოსწყინდებათ, მაგრამ, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს საქართველო დასავლეთისთვის, უბრალოდ, უინტერესო გახდეს, არც ნატოში ვიქნებით, არც ევროკავშირში და ყველაფერს, ნულიდან კი არა, მინუსიდან დავიწყებთ. ნულზე ახლა ვართ, საკუთარი არაფერი გაგვაჩნია, არც გვაძლევენ უფლებას, გვქონდეს რაღაც, რასაც თამამად ვუწოდებთ ქართულს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ჯანმრთელობის ცნობები მოსთხოვეთ სენატორებს, რომელიმეს კუჭის წყლული არ აწუხებდეს და შემთხვევით ხინკალზე ზომაზე მეტი პილპილი არ მოუყაროთ.**

**ევროპასაც და ამერიკასაც თავიანთი დამოუკიდებელი კვლევები აქვთ და ზუსტად იციან, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის ნდობა დასავლური ინსტიტუტების მიმართ რადიკალურად დაბალია. ამომრჩეველთა უმრავლესობას აღარ სჯერა იმის, რომ ოდესმე ნატოში ან ევროკავშირში მიგვიღებენ; არც იმის სჯერა, რომ რუსეთთან პირისპირ საუბარი საშიშია, ამიტომ დასავლეთი დაფინანსებას ყოველწლიურად ზრდის, ტელევიზიებიდან რაც შეიძლება მეტი ანტირუსული პროპაგანდა რომ ილვრებოდეს და აგერ ორ სენატორს დესპანად გზავნის**

ჩაქეჩსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აფხაზები და ოსები ხედავენ, როგორ კარნახობენ ქვეყანას მისი მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელ მთელ რიგ კანონებს, რომლებიც უცხოეთიდან დაფინანსებული მცირე ჯგუფების ინტერესებს ემსახურება. ეს მათთვის, ისევე, როგორც ჩვენთვის, მიუღებელია, ამიტომ, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, რა თქმა უნდა, ისინი არასოდეს ისურვებენ იქ ცხოვრებას, სადაც გარედან ხელდასხმული მარგინალური უმცირესობა მათი მრავალსაუკუნოვანი ადათ-წესებისთვის შეუფერებელ, ფსევდოლიბერალურ დღის წესრიგს დაამყარებს“.**



გიორგი შერვაშიძე:

# კარგად ვიცნობ აფხაზ ხალხს და ეჭვი მეპარება, დღევანდელი ლიბერალური ევროპა თავისი ფასეულობებით მისთვის მისაღები იყოს

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონფლიქტურ რეგიონებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ყველაფერს გააკეთებს, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. მისი თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ქვეყანა შეძლებს, აფხაზი და ოსი თანამოქალაქეები ძლიერი, ევროატლანტიკური ოჯახის წევრი საქართველოს ღირსეული მოქალაქეები გახადოს. მისივე შეფასებით, რაც უფრო გააღრმავებს საქართველო თანამშრომლობას ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან და დაუახლოვდება მის წევრობას, მით სასურველი იქნება კონფლიქტური რეგიონებისთვის მასთან ურთიერთობების აღდგენა. პრემიერის აზრით, დასავლეთის მხარდაჭერა, რომელიც ურყევია, ერთადერთი გზაა დეოკუპაციის დასასულებლად.**

მოგვიანებით ღარიბაშვილის გამოსვლას და კონკრეტულად მის გზავნილებს კონფლიქტური რეგიონებისადმი უმრავლესობის რიგებშიც მოჰყვა შეფასებები. კერძოდ, არჩილ თალაკვაძის, ირაკლი კობახიძისა და სხვების მიერ გაკეთდა განცხადებები, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა მხოლოდ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვასა და ქვეყნის დასავლური ოჯახის სრულფასოვან წევრობაშია (დაახლოებით მსგავსი შინაარსის იყო ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის შეფასებებიც), თუმცა არც ღარიბაშვილს თავის გამოსვლაში და არც სხვებს არ განუმარტავთ, რატომ უნდა სურდეთ აფხაზებსა და ოსებს დასავლური, ლიბერალური ორიენტაციისა და, შესაბამისად, რუსეთთან კონფრონტაციაში მყოფი საქართველო.

**ცნობისთვის:** აფხაზებისა და ოსებისთვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებული საქართველოს მიმზიდველობაზე სააკაშვილის ხელისუფლება ჯერ კიდევ 15 წლის წინათ საუბრობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერც ერთ რეგიონთან, დიალოგის თვალსაზრისით, ნაბიჯები ვერ გადაიდგა. პირიქით, მანამდე არსებული ურთიერთობები გაწყდა და რეალური მოლაპარაკების შანსიც დაიკარგა.

**რამდენად რეალურია პრემიერის შეფასება ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ ორიენტირებულ საქართველოსთან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაახლოების თაობაზე და როგორ იღებენ თვით კონფლიქტური რეგიონები ამ გზავნილებს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე.**

**— ბატონო გიორგი, საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია, შევძლებთ, აფხაზი და ოსი თანამოქალაქეები ძლიერი, ევროატლანტიკური ოჯახის წევრი საქართველოს ღირსეული მოქალაქეები გავხადოთ. და ამას საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის, სტრატეგიული პარტნიორების აქტიური დახმარებით შევძლებთ... რეალურია ეს შეფასება და, საერთოდ, დღევანდელ ვითარებაში რამდენად მისაღებია აფხაზებისა და ოსებისთვის მსგავსი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე საქართველო?**

— დავიწყოთ იმით, რომ ის, რაც ბატონმა პრემიერმა თქვა, სიახლე ნამდვილად არ არის. მსგავს განცხადებებს ვისმენთ, უკვე 20 წელიწადზე მეტია, და მივეჩვიეთ. მივეჩვიეთ იმას, რომ, როგორც წესი, ამ გზავნილებით მოდის ყველა ძალა სათავეში. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პრაქტიკაა და ქართული პოლიტიკის ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც კი იქცა. შედეგი, მართივად რომ ვთქვათ, არის ზუსტად იმის შესაბამისი, როგორიცაა ობიექტური მოცემულობა. მხედველობაში მაქვს როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური ფაქტორები... საქართველო — ნატოში და აფხაზეთი და ოსეთი — ნატოს წევრ საქართველოში, გასაგებია, რომ ვილაცისთვის კარგი ფორმულირებაა, თუმცა შევხედოთ რეალობას და დასკვნები ისე გამოვიტანოთ: **მხოლოდ საქართველოს სურვილებსა და პოლიტიკურ მისწრაფებებზე არის დამოკიდებული, გახდება თუ არა ის ნატოს წევრი?** არ მგონია. **ისევე, როგორც მხოლოდ აფხაზებისა და ოსების კეთილ ნებაზე არ არის დამოკიდებული, სად იქნებიან ან ვისთან...** ისეთი მაღალი რანგის პოლიტიკურმა ფიგურამ, როგორიც პრემიერია, რაღაცით მაინც უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, როცა აცხადებს, რომ „დარწმუნებულია...“ ეჭვი მეპარება, დღეს ასეთი მტკიცე რწმენის საფუძველი გვქონდეს. ეს უფრო მცდელობაა, სურვილები და იდეები რეალურად წარმოჩნდეს...

**— მოდი, სხვა კუთხით შევხედოთ ამ ყველაფერს. ხელისუფლება, გასაგებია, რომ ატარებს გარკვეულ კონიუქტურულ პოლიტიკას, რომელიც ვალდებულებებსაც გულისხმობს იმავე დასავლეთთან, მაგრამ გზავნილი, რომ ტერიტორიული მთლიანობა მხოლოდ ნატოს სრულფასოვანი წევრობის კონტექსტში განიხილება, შეესაბამება ჩვენს ობიექტურ ინტერესებს?**

— ინტერესები ხშირად იცვლება, ამიტომ მე უფრო სხვა რამეზე გავამახვილებდი ყურადღებას. რეალობა არის ის, რომ **ნატოსკენ სწრაფვის დეკლარირებული პოლიტიკა უკვე ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში ვერ დაასახელებს ვერავინ თუნდაც ერთ უმნიშვნელო ფაქტს, რომელიც რამე პოლიტიკურ გამოზრწყინებად, იმედის რაღაც ნაპერწკლად შეიძლებოდა და ამ გზაზე ჩაგვეთვალა. ნატოში ჩვენ ვერ გვიღებენ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ხოლო კონფლიქტების მოგვარების რეალური გასაღები სადაც არის, ყველამ ვიცით...** სწორად გამიგეთ, აქ საუბარი არ არის იმაზე, ვის რა უნდა ან ურჩევნია; საუბარია იმაზე, რომ **საქართველოს ტერიტორიული პრობლემები რუსეთთან კონფრონტაციული პოლიტიკის შედეგია. ეს არის პოლიტიკა, რომელიც დღიდან დამოუკიდებლობის მოპოვებისა, არც ერთ ეტაპზე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან თავსებადი არ ყოფილა. არ ყოფილა და ვერც იქნება იმის გამო, რომ შეუძლებელია, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის, ჩვენისთანა მცირე რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოსთვის რამე თვალსაზრისით დადებით შედეგს იძლეოდეს იმპერიასთან, თანაც მეზობელ იმპერიასთან ღია კონფლიქტი.** ისე, აქ, რა თქმა უნდა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ პრობლემების მიზეზი არ არის მარტო ჩვენი პოლიტიკა. შეცდომები იქითა მხრიდანაც დაუშვეს და, ცხადია, ამაზეც უნდა ვისაუბროთ... **რაც შეეხება პრემიერის გზავნილებს, ვფიქრობ, ის საკმაოდ ჭკვიანი და გონიერი ადამიანია იმისთვის, რომ რეალობას თვალი გაუსწოროს, მაგრამ, როგორც დასაწყისში გითხარით, პიროვნებებში არ არის საქმე. ეს უკვე დამკვიდრებული პოლიტიკური დღის წესრიგია, ამიტომ, ვინც უნდა იყოს ხვალ-ზეგ მთავრობის მეთაური, მას აუცილებლად მოუწევს იმავე რიტორიკის გამეორება.**

**«ნატოსკენ სწრაფვის დეკლარირებული პოლიტიკა უკვე ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში ვერ დაასახელებს ვერავინ თუნდაც ერთ უმნიშვნელო ფაქტს, რომელიც ამ გზაზე რამე პოლიტიკურ გამოზრწყინებად, იმედის რაღაც ნაპერწკლად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. ნატოში ჩვენ ვერ გვიღებენ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ხოლო კონფლიქტების მოგვარების რეალური გასაღები სადაც არის, ყველამ ვიცით»**

**— აფხაზებსა და ოსებზეც ვისაუბროთ, მათთვის მისაღებია ამ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე საქართველო? როგორ უყურებენ ისინი იმავე ევროკავშირს?**

— ვინც შემხვედრია და ვისთანაც ურთიერთობა მქონია აფხაზებიდან, ზოგი ამ ყველაფერს დადებითად უყურებს, თუმცა არიან ისეთებიც, და საკმაოდ ბევრი, რომელთათვის ეს კურსი კატეგორიულად მიუღებელია. რაც შეეხება კონკრეტულად ევროკავშირს, **მე კარგად ვიცნობ აფხაზ ხალხს და ეჭვი მეპარება, რომ დღევანდელი ლიბერალური ევროპა, თავისი ფასეულობებით, მათთვის მისაღები იყოს. სხვათა შორის, ისინი ყურადღებით აკვირდებიან იმას, რაც საქართველოში ხდება და, ცხადია, ყველაფერს ხედავენ. აფხაზები და ოსები ხედავენ, როგორ კარნახობენ ქვეყანას მისი მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელ მთელ რიგ კანონებს, რომლებიც უცხოეთიდან დაფინანსებული მცირე ჯგუფების ინტერესებს ემსახურება.** ცხადია, ეს მათთვის, ისევე, როგორც ჩვენთვის, მიუღებელია, ამიტომ, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, რა თქმა უნდა, **ისინი არასოდეს ისურვებენ იქ ცხოვრებას, სადაც გარედან ხელდასხმული მარგინალური უმცირესობა მათი მრავალსაუკუნოვანი ადათ-წესებისთვის შეუფერებელ, ფსევდოლიბერალურ დღის წესრიგს დაამყარებს...**

**— გამოდის, რომ სწრაფვა ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ აფხაზებისა და ოსებისთვის კიდევ უფრო მიუღებელს ხდის საქართველოს...**

— მხოლოდ ევროკავშირსა და ნატოს ნუ დავაბრალებთ ყველაფერს. საერთოდ, იდეოლოგიაა აქ ასეთი, რომ ქართველი ხალხი, მისი ინტერესები იჩაგრება. არ მინდა, თემას გადავუხვიო, მაგრამ დააკვირდით, რა ხდება ნამოხვანჰესის გარშემო: ნახევარ წელიწადზე მეტია, ხალხი გარეთაა და ხელისუფლება მათ, ფაქტობრივად, დასცინის. პანკისის ხეობაში იყო ადრე დაახლოებით მსგავსი ვითარება და გახსოვთ, ალბათ, რა მოხდა — თავზე დაალეწეს პოლიციას ყველაფერი, მანქანები დაუწვეს და დაუმტვრიეს... წარმოგიდგენიათ, ნამოხვანის აქციაზე რომ გააკეთოს ვინმემ მსგავსი რამ, რას უზამენ?! აი, ეს არის ის, რაც ყველასთვის ცხადყოფს და მათ შორის გვერდიდან მომზირალი თვალისთვისაც, რომ **ამ ქვეყანაში ყველაზე დაბლა, ყველაზე ბოლოს დგას ქართველი ხალხის ინტერესები. ყველას შეიძლება, ყველაფერი გაუვიდეს და ეპატიოს, ქართველის გარდა. ეს უკვე თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც ჩვენც მივიღეთ რაღაცნაირად...**

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ მუდმივად ერთ პოლიტიკურ კარუსელზე არ ვიტრიალოთ იმავე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე?**

— ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე და არჩევნებზე, ე.ი., იმაზე, ვის ავირჩევთ. ფაქტია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვისაც ვირჩევდით, მათი სიტყვა და საქმე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შედეგიც აშკარაა... ეს ერთი. და მეორე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია: **დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ, პრაქტიკულად, ყველა პოლიტიკური სუბიექტი, ყველა პარტია, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, გაცხადებულად იმ იდეოლოგიურ ხაზს ატარებს, რომელსაც ყველასათვის კარგად ცნობილი გარე ძალები მათ მიერვე დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების პირით გვკარნახობენ. აი, ეს პრაქტიკა უნდა დასრულდეს.** რაც შეეხება ისევ კონფლიქტებს და მათი მოგვარების გზებს, ამ გზაზე **რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, თუმცა მესმის ისიც, რომ თვითონ რუსეთისგანაც აუცილებელია შემხვედრი ნაბიჯები. უბრალოდ, მათ ხელმძღვანელობაშიც უნდა გაითავისონ, რომ როგორც საქართველოსთვისაა რუსეთი მნიშვნელოვანი, ისეა საქართველოც მათთვის ძალიან დიდი დატვირთვის მქონე.** არიან კიდეც, ალბათ, ადამიანები, რომლებსაც ეს ესმით, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც გარკვეულ ძალებს არ უნდათ რუსულ-ქართული ურთიერთობების დალაგება. ფაქტი არის ის, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის დიდი ბარიერია, რომელიც საბოლოოდ სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის და ცუდის მეტი არაფერი მოაქვს... ერთი რამ ცხადია: რამე მნიშვნელოვან პროგრესს, იმავე კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, ამ პოლიტიკით არ უნდა ველოდოთ. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში ეს არ მოხდება და, სამწუხაროდ, ამაში დარწმუნებული ვარ...

**„საქართველოს ტერიტორიული პრობლემები რუსეთთან კონფრონტაციული პოლიტიკის შედეგია. ეს არის პოლიტიკა, რომელიც დღიდან დამოუკიდებლობის მოპოვებისა, არც ერთ ეტაპზე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან თავსებადი არ ყოფილა; არ ყოფილა და ვერც იქნება იმის გამო, რომ შეუძლებელია, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის, ჩვენისთანა მცირე რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოსთვის რამე თვალსაზრისით დადებით შედეგს იძლეოდეს იმპერიასთან, თანაც მეზობელ იმპერიასთან ღია კონფლიქტი“**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ხელისუფლებას ვურჩევ, მიხედოს ხალხს, ნუ დაშორდება საზოგადოებას, ნუ მისცემს სალაპარაკოს ნოდარ მელაძეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატოზე ოცნება კი არა, საქართველოში ყოფნაც შეიძლება სათუო გაუხდეთ“.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირისა და ნატოს ქიმერას ვსდიოთ თუ რეალობას გავუსწოროთ თვალი?

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასულ კვირას საინტერესო რამ განაცხადა: „ყველას სურს, სადმე გვიკბინოს ან რამე მოგვაკვნიტოს, მაგრამ უნდა იცოდნენ, ვინც ამის გაკეთებას აპირებს, ყველას კბილებს ჩავუმტვრევთ, ისე, რომ კბენა ვერ შეძლონ“. ვლადიმერ პუტინის ამ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის „მკაცრი ტონით“ ნათქვამი მოჰყვა: „ნატო პირდაპირ მოუწოდებს რუსეთს, დაუყოვნებლივ გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან ჯარები!“ ზალკალიანს მხარი აუბა აშშ-ში საქართველოს ელჩმა — დავით ბაქრაძემ: „რუსეთი აგრძელებს დომინირებისა და დაშინების პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვაშინებენ“. ამ განცხადებებს მალე მოჰყვა ევროპარლამენტარ მარინა კალიურანდის ნათქვამი, რომ საქართველო ვერ მიიღებს ევროკავშირში შესვლაზე თანხმობას 2024 წელს. რა აქვს გასაკეთებელი უსწრაფესად ჩვენს ქვეყანას? რა სჯობს ჩვენთვის — ევროკავშირისა და ნატოს ქიმერას ვსდიოთ თუ რეალობას გავუსწოროთ თვალი? არადა, რუსეთი სავაჭრო თემას გვიტოვებს აფხაზეთისა და ოსეთის მიუერთებლობით. ამ და სხვა მიშვნელოვან საკითხებზე ცნობილი პოლიტოლოგები გვესაუბრებიან.**



## „რუსეთის პრეზიდენტი რეალურ პოლიტიკას ატარებს, ამიტომ სჯობს, მასთან ურთიერთობა მოგვარდეს, მაგრამ ამ პროცესის დაწყების გამზადებული რეცეპტი არავის აქვს“

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— ნატოში საქართველოს არ მიიღებენ და ამაზე გამუდმებით ვსაუბრობ. მოლოდინები ჩვენს ხელისუფლებებს სულ აქვთ, მაგრამ ტყუილად. **შევარდნაძის პერიოდიდან ნატოს კარზე ვაკაკუნებთ, ვაკაკუნებთ კი არა, „ფორტოჩკიდან“ ვძვრებით, მაგრამ არაფერი გამოგვდის.**

ძალიან კარგად იცის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ზალკალიანმა**, რომ ტყუილი საუბრებია ნატოზე. მას საზღვარგარეთ შეხვედრებზე ყველაფერს გარკვევითეუბნებიან. უბრალოდ, ის საუბრობს ისე, როგორც არიგებენ.

ნატოში შესასვლელად საქართველო მზად არ არის, ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ბლოკი, ის პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელსაც დიდი მოთხოვნები აქვს, საქართველო კი ამ მოთხოვნების შესრულებას ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს. დღეს 21-ე საუკუნეა და არა 1952 წელი, როდესაც ნატოში არადემოკრატიული თურქეთი გაწევრდა, რაც კორეის ომის გამო მოხდა...

**— თუკი ასეთი უიმედო მდგომარეობა აქვს ჩვენს ქვეყანას ნატოს მიმართ, ხომ არ სჯობია, საგარეო კურსი შევიცვალოთ და ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩავერთოთ, ვგულისხმობ, „ექვსი ქვეყნის ერთობას“, რომლის იდეის ავტორიც თურქეთის მმართველი ერდოღანია?**

— „ექვსი ქვეყნის ერთობა“ არ გამოვა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, თითქოს ჩანს, ამის მომხრეა, მაინც არ დათანხმდება. ერდოღანის ეს ინიციატივა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების საკითხებს რომ მოიცავდეს, შესაძლოა, რაიმე გამოვიდეს ამ საქმიდან, მაგრამ მას დიდი და შორს მიმავალი გეგმები აქვს, ის ნაციონალისტია, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტი ამ გეგმის განხორციელებას არ დაუშვებს. რუსეთის პრეზიდენტი რეალურ პოლიტიკას ატარებს, ამიტომ სჯობს, მასთან ურთიერთობა მოგვარდეს, მაგრამ ამ პროცესის დაწყების გამზადებული რეცეპტი არავის აქვს. გარდა ამისა, რომელ დიდ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, როდესაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობს, ქვეყანას ტოვებენ საუკეთესო ახალგაზრდები... ხელისუფლებას ვურჩევ, მიხედოს ხალხს, ნუ დაშორდება საზოგადოებას, ნუ მისცემს სალაპარაკოს ნოდარ მელაძეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატოზე ოცნება კი არა, საქართველოში ყოფნაც შეიძლება სათუო გაუხდეთ.



## „ჩვენი ელჩი აშშ-ში, რომელიც ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტისა და რუსეთის არ ეშინია, მართალია, რადგან შორსაა აქედან — ოჯახთან ერთად ვაშინგტონში ცხოვრობს“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენი ელჩი აშშ-ში, რომელიც ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტისა და რუსეთის არ ეშინია, მართალია, რადგან შორსაა აქედან — ოჯახთან ერთად ვაშინგტონში ცხოვრობს. რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანს, მას უნდა ეშინოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ვიზა აქვს და გაქცევასაც ადვილად მოახერხებს, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდნენ ჩვენი „პატრიოტები“, რომლებსაც საქართველოს სიმდიდრეები გაჰქონდათ თურქეთიდან და რომლებიც **სტალინმა** და **ბერიამ** წესიერი კაცის, **ექვთიმე თაყაიშვილის,** ხელით დააბრუნეს...

მინდა, მკითხველისთვის ვისაუბრო ბელარუსზე. **ალექსანდრე ლუკაშენკომ,** ბელარუსის პრეზიდენტმა, თვითმფრინავი „ვითომ“ გაიტაცა, ევროპამ სანქციები გაამკაცრა, რის გამოც შეაჩერეს საჰაერო მიმოსვლა ბელარუსის მიმართულებით. გარდა ამისა, გამოაცხადეს, რომ ეს ქვეყანა ველარ მიიღებს 3-მილიარდიან ინვესტიციებს, რომელიც თითქოს უკვე გამზადებული იყო, და „ბატკას“ თვითმფრინავი რომ არ გაეტაცებინა, რასაც ვერ უმტკიცებენ, აღნიშნული თანხა ბელარუსში იქნებოდა. ეს ძალიან პრიმიტიული, სასაცილო და ბავშვური პროპაგანდაა ევროკავშირის გადაბერებული და მარაზმში ჩავარდნილი ბიუროკრატიის მხრიდან. ამ ინციდენტზე ევროკავშირთან ერთად „ხმაურობს და ჟივჟივებს“ ნატოც... **ამასობაში ლუკაშენკო ჩავიდა სოჭში, შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს, რომლისგანაც 500 მილიონი უკვე აღებული აქვს და ახლა მეორე 500 მილიონ დოლარს მიიღებს ივნისის ბოლოს. ეს მართლაც რეალური თანხაა. რუსეთსა და ბელარუსს შორის ყველა შეთანხმება ძალაშია. ასე რომ, რუსეთი იძლევა რეალურ ფულს, ასევე იძლევა რეალურ დახმარებას უსაფრთხოების თვალსაზრისით. სოჭში შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი დაეხმარება „ბელავიასაც“, რომელსაც ექნება დამატებითი ფრენები რუსეთის მიმართულებით, რადგან ბელარუსიდან, ძირითადად, რუსეთში მიდიან. გამოდის, პუტინი რუსეთის ავიაკომპანიების ხარჯზე ეხმარება „ბელავიას“.**

ახლა მკითხველმა განსაჯოს, არარსებული სამი მილიარდი სჯობდა ბელარუსისთვის თუ არსებული, ხილული მილიარდი, თანაც შეღავათიან პირობებში, თითქმის ნაჩუქარი ფული?!

ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, რომ ნორმალურმა ადამიანმა გააკეთოს დასკვნა — **რა ჯობია: რუსეთთან თანამშრომლობა, მისი გულუხვობა თუ აფერისტ ამერიკა-ევროპასთან ვითომ მეგობრობა?**

ნატოში საქართველოს გაწევრება მითია და ეს ჩვენ, დიდი ხანია, ვიცით. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს უკვე აღარ სჯერა ჩვენი ხელისუფლებების მოლოდინის და საუბრების ნატოს წევრობაზე.

**— „აღიარების“ მიუხედავად, რუსეთი არ იერთებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თუმცა ამის გაკეთება შეუძლია. ხომ არ არის დრო, რომ ამ თემაზეე დაილაპარაკოს საქართველომ რუსეთთან?**

— რა ჯანდაბად უნდა ამ ტერიტორიების შეერთება?! რუსეთი არ თვლის, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მისია, რუსებმა იციან, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს გულია. სააკაშვილმა აიძულა რუსეთი, ეღიარებინა ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. ამას ხელი შეუწყო ნატოს პოლიტიკამაც. რომ არ ყოფილიყო ნატოზე ორიენტირებული პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში, რუსეთი ამას არ გააკეთებდა.

გაინტერესებთ, რა სჯობია საქართველოსთვის — ნატო და ვეროკავშირი თუ რუსეთთან ურთიერთობა? — მე ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხი გაგეცით ბელარუსის მაგალითით, თუ როგორ „დაიკიდა“ ბელარუსმა ამერიკულ-ევროპული სანქციები და როგორ დაეხმარა მას რუსეთი.



## „დასავლეთის ქვეყნები აგრესიულად არიან განწყობილნი რუსეთის მიმართ და საქართველოც მათ შორისაა, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი...“

**თამარ კიკნაძე, პოლიტოლოგი:**

— საქართველოს ხელისუფლებები დასავლური სამყაროს ნაწილად განიხილებიან, ყოველ შემთხვევაში, ისინი თავს ასეთებად თვლიან და ამიტომ მათ ვალდებულება აქვთ, გაატარონ ის პოლიტიკა, რომელიც შეთანხმებული იქნება დასავლეთთან. შესაბამისად, რადგან დასავლეთის ქვეყნები აგრესიულად არიან განწყობილნი რუსეთის მიმართ და საქართველოც მათ შორისაა, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი.

სამწუხაროდ, ევროპარლამენტარმა მარინა კალიურანდმა არა მხოლოდ ჩვენზე, მათზეც ისაუბრა, ვინც უკვე ინტეგრირებულია ევროკავშირში. მან თქვა, რომ წევრებზეც კი არ აქვთ გადაწყვეტილებები მიღებული, რას გააკეთებენ...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** ხელს აძლევს ჩვენთან ურთიერთობა, რადგან საქართველო საკვანძო ქვეყანაა ამიერკავკასიაში. რუსეთს თუ სურს, და სურს კიდეც, გავლენა შეინარჩუნოს კავკასიაზე, საქართველო უღირს ამად. სტრატეგიული ადგილმდებარეობა გვაქვს და სწორედ ამიტომაცაა, რომ დასავლეთიც და ამერიკაც ამხელა ინტერესს იჩენენ საქართველოს მიმართ. დასავლურ სამყაროს არ სურს ჩვენი ქვეყნის დაკარგვა, როგორც ძირითადი საყრდენის კავკასიაში, თუმცა, ყველაზე მეტად ეს ამბიცია რუსეთს აქვს ადგილმდებარეობის გამო, რაც ჩვენი მხრიდან გასათვალისწინებელია.

საქართველო პატარა, ბუფერული სახელმწიფოა, ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვართ სუბიექტები, ჩვენ საერთაშორისო პოლიტიკის ობიექტები ვართ, ამიტომ ჩვენი ბედი დამოკიდებულია დიდი ქვეყნების პოლიტიკაზე.

ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს 16 ივნისს ჟენევაში შეხვდებიან. ამ შეხვედრაზე, შესაძლოა, უცბად არ გადაწყდეს ჩვენნაირი ქვეყნის ბედი, მაგრამ, გავლენების გადანაწილება რომ მოხდება და ახალი წესრიგი დამყარდება, ფაქტია, რადგან ამ შეხვედრის ინიციატორი თვით ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

საქართველო სუვერენული ქვეყანა არ არის, ის ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერია და დამოკიდებულია დასავლეთზე, რადგან ყველა დახმარება იქიდან მოდის, ამიტომ გვიჭირს გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე. ჩვენ ავირჩიეთ რუსეთთან კონფრონტაციის კურსი, რომელიც გააძლიერა სააკაშვილმა და მას ახლა ვეღარაფერი შეცვლის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის მომხრე ყველა ადამიანი მოღალატედ ითვლება, არადა, „მტრის“ მოკეთედ გადაქცევა დიპლომატიაში უმაღლეს პილოტაჟად არის მიჩნეული.

**თუკი რუსეთს არ დაველაპარაკებით, ის ყველაზე ცუდ პოლიტიკას გაატარებს საქართველოში, ამიტომ საინტერესოა, ამერიკაში ჩვენს ელჩს, ბაქრაძეს, რა აძლევს იმის საფუძველს, რომ არ ეშინოდეს რუსეთის?!** ვისაც რუსეთის „არ ეშინია“, გაიქცევა აქედან და ამის კლასიკური მაგალითები გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ვისაც წასვლა არ გვსურს?!

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«რუსეთი არ თვლის, რომ აფხაზეთი და ოსეთი მისია, რუსებმა იციან, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს გულია»**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასეთი ორგანიზებული და კონსოლიდირებული, ასეთი კოლექტიური თავდასხმა ბელარუსსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოზე, როგორიც ამჟამად დასავლეთიდან განხორციელდა, ძნელი წარმოსადგენია. როგორი გასაკვირიც უნდა მოგეჩვენოთ, დასავლეთის არც ერთ წარმომადგენელს არ უხსენებია სიტყვა „გამოძიება"; არავის უთქვამს, რომ საკითხი შესასწავლია, გარემოებები გამოსარკვევია, ფაქტები დასადგენი და დასაზუსტებელია. არა, ყოველი მათგანი გაიძახის, რომ ლუკაშენკო უნდა დაისაჯოს.**



# დასავლეთიდან მომდინარე უდიდესი საფრთხე და გადამრჩენელის ისტორიული მისია

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

## მეთვრამეტე გამოშვება

**„როგორც უნდა მოიქცნენ ქორწინების პირველ ღამეს, შედეგი მაინც ერთი და იგივე იქნება!"**

***პუტინის მიერ მერკელისთვის საჯაროდ ნათქვამი რუსული (პოლიტიკური) ანდაზა***

აშშ დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა მოქმედებდეს, რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს, იმიტომ, რომ რუსეთი ჯერჯერობით ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ამერიკის დაუოკებელ სწრაფვას ეღობება და აფერხებს.

რუსეთის წინააღმდეგ ამერიკელთა ბრძოლა დაუფარავად აგრესიულია. წინააღმდეგობა ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის სახიფათო ხასიათს იძენს არა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ყოველდღიური ესკალაცია მიმდინარეობს, არამედ იმის გამოც, რომ ამ წინააღმდეგობაში ხდება სხვა სახელმწიფოების ჩათრევა. ეს გეოგრაფია კი სულ უფრო ფართოვდება. **ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრი სახელმწიფოები დღეს ნატოს წევრები არიან. ნატოს წევრები გახდნენ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები — ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი. ნატო სულ უფრო უახლოვდება რუსეთს და მის ირგვლივ რკალს კრავს. ნატოსკენ ისწრაფვიან საქართველო, უკრაინა და მოლდოვა.** პრეზიდენტ **ტრამპის** ყოფილმა მრჩეველმა სამხედრო საკითხებში — **ბოლტონმა**, ამას წინათ ნატოში ბელარუსის მიღების საკითხიც კი წამოჭრა. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს თავი რომ დავანებოთ, უკრაინისა და ბელარუსის რუსეთთან დაპირისპირების მცდელობა ძმის წინააღმდეგ ძმათა ამხედრებას ნიშნავს. **როგორი საკვირველიც უნდა იყოს, უკრაინაში 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ამ მკრეხელური ჩანაფიქრის განხორციელებას მიაღწიეს. ბელარუსში კი, სანამ ალექსანდრე ლუკაშენკო ხელისუფლების სათავეშია, ამას ვერ ახერხებენ, ამიტომაც არის, რომ ყველაფერზე მიდიან ლუკაშენკოს დასამხობად და ბელარუსში პროდასავლური ხელისუფლების მოსაყვანად.** 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დასავლეთის ფავორიტმა კანდიდატმა **ტიხანოვსკაიამ** ხმათა მხოლოდ ათი პროცენტის მოგროვება შეძლო, მაგრამ დასავლეთმა იგი გამარჯვებულ კანდიდატად გამოაცხადა. ბელარუსების უმრავლესობა დასავლეთის მიერ ინსპირირებულ არეულობას არ აჰყვა და პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ქვეყნისთვის ე.წ. ფერადი რევოლუციის თავიდან აცილება და სტაბილურობის შენარჩუნება მოახერხა. **ამ ფაქტით გამწარებული დასავლეთი ბელარუსში ქაოსის შესაქმნელად და ხელისუფლების დასამხობად ხელის ჩასაჭიდ სიტუაციას ეძებს.** ახლა, დასავლეთის აზრით, ასეთი სიტუაცია შეიქმნა.

23 მაისს ავიაკომპანია Ryanair-ის კუთვნილი თვითმფრინავი, რომელიც ასრულებდა რეისს ათენიდან ვილნიუსის მიმართულებით, უკვე ბელარუსის საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა, როდესაც დისპეტჩერმა თვითმფრინავში ბომბის არსებობის შესახებ შეტყობინება მიიღო. **დისპეტჩერმა, კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო ინსტრუქციის შესაბამისად, გასცა ბრძანება, რომ თვითმფრინავი მინსკის აეროპორტში დაშვებულიყო. არსებული წესების შესაბამისად, თვითმფრინავი დასაფრენ ზოლამდე მიაცილა ბელარუსის სამხედრო საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელმა „მიგ-29"-მ.** ხუთსაათიანი შემოწმების შემდეგ ავიალაინერს რეისის გაგრძელების უფლება მისცეს, მაგრამ ბორტზე მყოფი მგზავრი **რომან პროტასევიჩი,** რომელიც ბელარუსის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა, დააკავეს. ამ ოპერაციის შედეგად არავის ზიანი არ მიდგომია, თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა მარშრუტით გათვალისწინებულ აეროპორტში. ეს არის მინსკში თვითმფრინავის იძულებითი წესით დასმის ისტორია, რომელსაც დასავლეთის ქვეყნებში გაუგონარი ისტერიკა მოჰყვა:

**„ჩვენ მოვითხოვთ ჟურნალისტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას", — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებაში. სახელმწიფო მდივნის აზრით, „ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ ჩადენილმა შოკისმომგვრელმა ფაქტმა 120 მგზავრის, მათ შორის აშშ-ის**



**მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. ჩვენი პასუხი კოორდინირებული იქნება პარტნიორებთან — ევროკავშირთან, ლიეტუვისა და საბერძნეთის ოფიციალურ პირებთან".**

* ევროპის კომისიის თავმჯდომარე **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** თვითმფრინავის იძულებით დაფრენის შესახებ გადაწყვეტილებას „ალმაშფოთებლად უკანონო" უწოდა და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების მიმღებთა დასჯა;

* პოლონეთის პრემიერმინისტრმა **მატეუშ მორავეცკიმ** ბელარუსის ხელისუფლების ქმედებას სახელმწიფო ტერორიზმის აქტი უწოდა;

* ლიეტუვის მთავრობამ განაცხადა, რომ „ბელარუსის საჰაერო სივრცე დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს საერთაშორისო ფრენებისთვის";

* დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დომინიკ რააბი აცხადებს: „ჩვენ ვთანხმდებით მოკავშირეებთან, რომ ლუკაშენკოს ამ დანაშაულებრივ ქმედებებს მისთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვება";

* გაზეთი Times-ი წერს: „შეუძლებელია, წარმოიდგინო სახელმწიფო ტერორიზმის უფრო უგუნური და პროვოკაციული აქტი. ეს ლუკაშენკოს მიერ დასავლეთის სერიოზული გამოწვევაა".

წარმოდგენილი ციტატები წვეთია ზღვაში. **ასეთი ორგანიზებული და კონსოლიდირებული, ასეთი კოლექტიური თავდასხმა ბელარუსსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოზე, როგორიც ამჟამად დასავლეთიდან განხორციელდა, ძნელი წარმოსადგენია. როგორი გასაკვირიც უნდა მოგეჩვენოთ, დასავლეთის არც ერთ წარმომადგენელს არ უხსენებია სიტყვა „გამოძიება"; არავის უთქვამს, რომ საკითხი შესასწავლია, გარემოებები გამოსარკვევია, ფაქტები დასადგენი და დასაზუსტებელია. არა, ყოველი მათგანი გაიძახის, რომ ლუკაშენკო უნდა დაისაჯოს, როგორც რუსები იტყვიან, „без суда и следствия".** როგორ, ეს ის დასავლეთია, რომელიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის, სტალინის რეჟიმს განაჩენი სასამართლოს გარეშე გამოჰქონდა, რაც დაუშვებელიაო? რაც სტალინისთვის დაუშვებელი იყო, მათთვის დასაშვებია? ესაა დემოკრატია? ესაა ადამიანის უფლებების დაცვა? **ბელარუსის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბორტზე ბომბის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღების საფუძველზე დისპეტჩერმა ხომალდის მეთაურს თვითმფრინავის დასმა შესთავაზა. ასეთი შეტყობინება თუკი არსებობდა, ბელარუსში რა უფლება ჰქონდათ, რომ სხვა გადაწყვეტილება მიეღოთ? ვინმეს თუ ეჭვი შეაქვს ბელარუსის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების სისწორეში, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ამას ხომ გამოძიება სჭირდება? სხვა რა გზა არსებობს?** ბელარუსის პრეზიდენტს თავი რომ დავანებოთ, მთელი ბელარუსი ხალხი გამოძიების ჩატარებისა და სიმართლის დადგენის გარეშე უნდა დაისაჯოს? მძიმე სანქციების დაწესება მხოლოდ პრეზიდენტ ლუკაშენკოს ხომ არ ეხება, ეს ხომ ბელარუსი ხალხისთვის გამოტანილი განაჩენია?! **ვის აქვს ამის უფლება ან ვინ არიან ის ადამიანები და ის სახელმწიფოები, რომლებიც ძიებისა და სასამართლოს გარეშე მთელი ბელარუსი ხალხის დასჯას ითხოვენ? როგორი წარმოსადგენია ის ამბავი, რომ ამას „დემოკრატიული" დასავლეთი აკეთებს, რომ ამას ადამიანის უფლებების დაცვაზე გაუთავებლად მოლაყბე ამერიკა და ევროპა მოითხოვს?!** ერთადერთი, ვინც ოფიციალურად განაცხადა, რომ „ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სახელმწიფოებისა და ოპერატორებისგან ელოდებიან დამატებით ინფორმაციას", ესაა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ИКАО). კოლექტიურ დასავლეთს კი არაფრის გაგონება არ სურს, იგი ბელარუსის დასჯას ითხოვს და არამხოლოდ ითხოვს, პირდაპირ საქმეზე გადადის: „ევროკავშირის ლიდერებმა მოუწოდეს ევროსაბჭოს, ყველა აუცილებელი ღონისძიება გაატაროს იმისთვის, რომ ბელარუსის ავიაკომპანიებს აეკრძალოთ ევროკავშირის საჰაერო სივრცით სარგებლობა". ათეულობით ავიაკომპანიამ უკვე შეაჩერა ბელარუსის საჰაერო სივრცეში ფრენები. ფრენის უსაფრთხოების ევროპულმა სააგენტომ (EASA) ევროკავშირის ავიაკომპანიებს რეკომენდაცია გაუწია, საჰაერო მარშრუტები ააგონ ბელარუსის საჰაერო სივრცისთვის გვერდის ავლით. მოკლედ, **დასავლეთი, მისი ჭკუით, საბაბი რაკი მოძებნა, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბელარუსის მთელი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა მყისიერად დაანგრიოს, რათა ბელარუსის ფაბრიკა-ქარხნებსა და მთელ სამრეწველო პოტენციალს დასავლური ოლიგარქია დაეპატრონოს, ხალხი კი ცარიელ-ტარიელი დარჩეს.**

დასავლეთი მსოფლიოს თვალწინ, დღისით, მზისით, ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალებას აწყობს და მის ამ დანაშაულებრივ ქმედებას დემოკრატიით ფუთავს, რითაც სახელს უტეხს არა მხოლოდ დასავლეთს, არამედ დემოკრატიასაც, როგორც მმართველობის ერთ-ერთ პროგრესულ ფორმას. დასავლეთის გაუნელებელი სურვილი და დაუოკებელი წყურვილი ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისა აშკარა შიზოფრენიაში გადაიზარდა. დასავლეთმა პოლიტიკურ სცენაზე კიდევ ერთხელ გამოიყვანა ბელარუსის ▶

**როგორ, ეს ის დასავლეთია, რომელიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის: სტალინის რეჟიმს განაჩენი სასამართლოს გარეშე გამოჰქონდა, რაც დაუშვებელიაო? რაც სტალინისთვის დაუშვებელი იყო, მათთვის დასაშვებია? ესაა დემოკრატია? ესაა ადამიანის უფლებების დაცვა?**

## რუსეთს არ დაუკარგავს ერების, ხალხებისა და, თუ გნებავთ, კაცობრიობის მხსნელისა და გადამრჩენელის ისტორიული მისია. პირიქით, მისი ეს მისია მსოფლიო კრიზისის ვითარებაში სულ უფრო იკვეთება. ამის გამოც მსოფლიოს ხალხთა მზერა დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, მისკენაა მიმართული.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წარმოგიდგენიათ?! ლატვიელებმა შეცვალეს ბელარუსის სახელმწიფო დროშა. ამაზე მეტი გაგიჟება და გადარევა რა უნდა იყოს?! ევროპა შეირყა და შეიშალა. «დემოკრატიული» ევროპა დღეს ისევე მოიცვა რუსოფობიამ, როგორც მეოცე საუკუნეში მოიცვა ფაშისტურმა იდეოლოგიამ, ანტისემიტიზმმა და ანტისლავურმა ციებ-ცხელებამ. ის, რასაც ისინი ამჟამად ბელარუსში სჩადიან, სულაც არ არის მხოლოდ ანტიბელარუსული მოვლენა, ეს, პირველ რიგში, ანტირუსული მოვლენაა; ისევე, როგორც უკრაინის გაჩანაგება არ არის მხოლოდ ანტიუკრაინული მოვლენა**




◀ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ტიხანოვსკაია, რომელმაც ევროპელების მიერ მისთვის მომზადებული „შპარგალკიდან“ დაზეპირებული ეს წინადადება მსოფლიოს ამცნო: „ევროპის საზღვრებთან შესაძლებელია ბელარუსის სახით ახალი ჩრდილოეთი კორეა გაჩნდეს“. გასაგებია, ჩრდილოეთ კორეაში რა იგულისხმება. ეს სახელმწიფო რაკი კომუნისტურია, დასავლეთისთვის იგი ანტიდემოკრატიულობის სიმბოლოა, მაგრამ ნახეთ, როგორ იქცევა პრეზიდენტ ლუკაშენკოს „არადემოკრატიულობით“ აღშფოთებული „დემოკრატიული“ დასავლეთი: **ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და დედაქალაქის მერმა ბელარუსის სახელმწიფო დროშა, რომელიც ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის გამო რიგაში იყო აღმართული, ჩამოხსნეს და მის ნაცვლად ის ჭინჭიააფრიალეს, რომელსაც ე.წ. ოპოზიცია, ანუ დასავლეთის „მეხუთე კოლონა“ მინსკის ქუჩებში დაარბენინებდა.** ეს ხომ სრული სიგიჟეა. არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ მასობრივი და, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივი სიგიჟე. ლატვიაში მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრსა და დედაქალაქის მერს არ ჩაუდენიათ ეს სიშლეგე. აი, რას ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ლატვიის დედაქალაქ რიგის მერი **მარტინიშ სტაკისი:** „ეს, რა თქმა უნდა, რეაქცია იყო, მაგრამ იგი სპონტანური არ ყოფილა. ჩვენ, როდესაც მივხვდით, რომ უნდა გვემოქმედა, ყველაფერი წინასწარ გავიაზრეთ. ბელარუსის დროშის შეცვლის იდეა როდესაც გაგვიჩნდა, ეს იდეა შინაგან საქმეთა მინისტრთან შევათანხმეთ, შემდეგ კი სისრულეში მოვიყვანეთ. ლუკაშენკოს დროშის ნაცვლად ჩვენ თავისუფალი ბელარუსის დროშა აღვმართეთ“. **წარმოგიდგენიათ?! ლატვიელებმა შეცვალეს ბელარუსის სახელმწიფო დროშა. ამაზე მეტი გაგიჟება და გადარევა რა უნდა იყოს?! ევროპა შეირყა და შეიშალა. „დემოკრატიული“ ევროპა დღეს ისევე მოიცვა რუსოფობიამ, როგორც მეოცე საუკუნეში მოიცვა ფაშისტურმა იდეოლოგიამ, ანტისემიტიზმმა და ანტისლავურმა ციებცხელებამ. ის, რასაც ისინი ამჟამად ბელარუსში სჩადიან, სულაც არ არის მხოლოდ ანტიბელარუსული მოვლენა, ეს, პირველ რიგში, ანტირუსული მოვლენაა; ისევე, როგორც უკრაინის გაჩანაგება არ არის მხოლოდ ანტიუკრაინული მოვლენა და წმინდა წყლის ანტირუსული მოვლენაა;** ისევე, როგორც საქართველოს სამ ნაწილად დაშლა არ არის მხოლოდ ანტიქართული მოვლენა და სუფთად ანტირუსული მოვლენაა. ის, რაც ახლა მოგახსენეთ, შესაძლებელია, ძნელად აღსაქმელი და გასაგები იყოს, მაგრამ რეალობაა. ეს სტატია სწორედ ამ სიტყვებით დავიწყე: დასავლეთი, სადაც უნდა მოქმედებდეს, ყველგან რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს-მეთქი. **საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოცდაათი წლის განმავლობაში დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ქმნიდა ისეთ სიტუაციებს, რომ რუსეთი არცთუ იშვიათად იძულებული ხდებოდა, საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ ემოქმედა:**

2008 წელს სამხრეთ ოსეთში დასავლეთის მიერ სააკაშვილის ხელით განხორციელებული ბინძური პროვოკაციის შემდეგ რუსეთი იძულებული შეიქნა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინა. ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს უდიდესი დარტყმა მიაყენა, მაგრამ ეს საშინელი ფაქტი რუსეთისთვისაც დამაზიანებელი იყო. ამ აღიარების შედეგად რუსეთმა საქართველო, როგორც ისტორიული მოკავშირე და როგორც პოტენციური სტრატეგიული პარტნიორი, დაკარგა. ე.ი., რუსეთი აიძულეს, საქართველოში საკუთარი ნების საწინააღმდეგო ქმედება განეხორციელებინა;

სხვა მაგალითიც ვნახოთ:

**დასავლეთმა უკრაინაშიც შექმნა ვითარება, რომელმაც რუსეთი აიძულა, ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის ნების შესაბამისად, მიეერთებინა ყირიმი და სევასტოპოლი, რომლებიც გაეროს მიერ უკრაინის ფარგლებში იყო აღიარებული. ასეთი ქმედებები ერთი სისხლის, ერთი სულისა და ერთი ისტორიის მქონე ორ ხალხს შორის სიძულვილის გაჩენის საფუძვლად იქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთმა უკრაინაშიც მოახერხა ისეთი ვითარების შექმნა, რომ რუსეთი ამ ქვეყანასაც, როგორც ისტორიულ მოკავშირესა და პოტენციურ სტრატეგიულ პარტნიორს, კარგავს.** რუსეთი უკრაინაშიც აიძულეს თავისივე საწინააღმდეგო ნაბიჯი გადაედგა.

დასავლეთი ახლა **ბელარუსს** მიადგა, რათა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს, ლუკაშენკოს ხელისუფლება დაამხოს და ხელსაყრელი ვითარება შექმნას იმისთვის, რომ ბელარუსშიც ისეთივე ხელისუფლება მოიყვანოს, როგორიც კიევსა და თბილისში ჰყავს და ეგულება — რუსოფობიური განწყობით გაჟღენთილი, რომლებიც ყველაფერზე წავლენ რუსეთთან შუღლისა და მტრობის გასაღვივებლად, ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ დასავლეთის მხრიდან ლუკაშენკოს წინააღმდეგ ბრძოლა პუტინის წინააღმდეგ ბრძოლაა, ბელარუსის წინააღმდეგ ბრძოლა კი — რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

დასავლეთის ამ ვერაგული მიზნების სიცხადის მიუხედავად, რუსეთშიც და ბელარუსშიც მოიძებნებიან პროვოკატორები, რომლებიც ცეცხლზე ნავთს დაასხამენ და ვითარების დაძაბვას შეეცდებიან. გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც პროვოკაციაზე წამოეგებიან და ერთმანეთში (რუსები ბელარუსებში და ბელარუსები რუსებში) მოსისხლე მტრებს დაინახავენ. **აი, ამ სცენარის განხორციელებას ცდილობს დასავლეთი, რათა მას შემდეგ, რაც რუსეთის ირგვლივ საბოლოოდ ჩამოაყალიბებს ანტირუსულ განწყობებსა და სიტუაციებს, თვითონ რუსეთს მიადგეს და იქაც ისევე არიოს ვითარება, როგორც გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში არია.** ანტირუსული ისტერიკის კიდევ უფრო გაღვივების მცდელობა ჩანდა პოლონეთის პრეზიდენტ **ანჟეი დუდას** იმ პროვოკაციულ განცხადებაში, რომელიც მან საქართველოში სტუმრობისას გააკეთა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე ჩამოსული დუდა საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის გავლებული მავთულხლართების დასათვალიერებლად წაიყვანა (ეს ადგილი საქართველოს ხელისუფლებამ ერთგვარ „საექსკურსიო ღირსშესანიშნაობად“ აქცია), სადაც სტუმარმა, ყოველგვარი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ეთიკისა და თავშეკავების გარეშე, რუსეთს „არანორმალური სახელმწიფო“ უწოდა. **საქართველოს ხელისუფლებაში რატომღაც სჯერათ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ანტირუსული ისტერიკის სივრცეში დარჩენა პატრიოტული ვალის ღირსეულად მოხდის საუკეთესო საშუალებაა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სრული სისულელეა.**

რა გამოსავალი რჩება შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან?

ალექსანდრე ლუკაშენკო აქამდე რუსეთსა და დასავლეთს შორის თუ ლავირებდა და მისთვის დასაყრდენი ბალანსის შექმნას ლამობდა, ამიერიდან მან იცის, რომ ეს ბალანსი დაირღვა და დასავლეთში ფეხის მოსაკიდებელი ადგილი აღარ აქვს. **ლუკაშენკოს ერთადერთი გზა რჩება: რუსეთთან ახალი ტიპის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გაცილებით მაღალი ინტეგრაციული ხასიათის უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის.** არ მაქვს ინფორმაცია, რა საკითხები განიხილეს რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც თვითმფრინავთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ სოჭში გაიმართა, ვინაიდან მედია ძუნწ ცნობებს გვაწვდის. მიუხედავად ამისა, თვალს თუ გადავავლებთ ექსპერტთა ზოგიერთ გამონათქვამს, დავრწმუნდებით, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრა იმ მძიმე ფონზე, რომელიც ბელარუსის მიმართ დასავლეთში შექმნეს, გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგალითად, მინსკელი სამხედრო ექსპერტი **ალექსანდრე ალესინი** ამბობს: „დღის წესრიგს თუ გადავხედავთ, ნათელი იქნება, რომ საუბარი შეეხებოდა სარაკეტო თავდასხმების გამაფრთხილებელ სისტემებს; აგრეთვე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კოოპერაციასა და თავდაცვის ერთიანი მექანიზმების შემუშავებას“.

**ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ „პრეზიდენტების საუბრის დიდი ნაწილი დახურული იყო და არც ერთი მხარე დეტალებს არ ახმაურებს“. ესეც ხაზს უსვამს შეხვედრის უაღრესად დიდ მნიშვნელობას.**

ჟურნალისტები წუხან იმის გამოც, რომ აქამდე არ არის გარკვეული, რა იყო ქეისში, რომლითაც ლუკაშენკო შეხვედრაზე გამოცხადდა. მან პუტინს ასე მიმართა: **„მე გაჩვენებთ დოკუმენტებს, რომ თქვენ მიხვდეთ, რა ხდება...“**

გავა გარკვეული დრო და ჩვენ დავინახავთ, რა გეგმები აქვს რუსეთს იმ პროვოკაციების საპასუხოდ, რომელსაც დასავლეთი მის წინააღმდეგ ხლართავს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს პასუხი სხვადასხვა ვარიანტის სახით უკვე არსებობს იქ, სადაც ჯერ არს, რადგან რუსეთი არ მიდის იმ გზით, რომლითაც საბჭოთა კავშირი მიდიოდა:

*** რუსეთი მიუხედავად ისტორიული ზიგზაგებისა, ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნების გზით მიდის;**

*** რუსეთი, მიუხედავად უმძიმესი განსაცდელებისა, სულიერების შენარჩუნების გზით მიემართება;**

*** რუსეთი, მიუხედავად მძიმე კატაკლიზმებისა, უნაკალური კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების გზას ადგას;**

*** რუსეთი, მიუხედავად ვერაგი და მრავალრიცხოვანი მტრის გარემოცვაში ყოფნისა, უძლეველობის გვირგვინს არ თმობს;**

*** რუსეთი, მიუხედავად კაპიტალისტური სისტემის უსამართლო მარწუხებში ყოფნისა, არამხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვათა გადამრჩენელის ისტორიულ გზას არ ღალატობს.**

დიახ, რუსეთს არ დაუკარგავს ერების, ხალხებისა და, თუ გნებავთ, კაცობრიობის მხსნელისა და გადამრჩენელის ისტორიული მისია. პირიქით, მისი ეს მისია მსოფლიო კრიზისის ვითარებაში სულ უფრო იკვეთება, რომლის გამოც მსოფლიოს ხალხთა მზერა დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, მისკენაა მიმართული.

**რუსეთს სჭირდება ყველა ის ხალხი, რომლისთვისაც უცხოა ფაშისტური განწყობილებები და რუსეთი სჭირდება ყველა იმ ხალხს, რომელსაც დასავლური ლიბერალიზმის გულისამრევ ჭაობში ნიველირებას საკუთარი იდენტობის შენარჩუნება ურჩევნია.**

დასავლეთის თავხედური გეგმა და დამოკიდებულება რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ საბჭოთა პერიოდში გაჩენილ ცენტრიდანულ ძალებს თანდათანობით მიმართულებას უცვლის და ცენტრისკენულ მიზიდულობებს წარმოშობს. ეს ვინმეს სუბიექტურ განწყობებზე დამოკიდებული პროცესი კი არ არის, ობიექტური და კანონზომიერი რეალობაა, რომლის შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. **როგორც უნდა სცადონ ამერიკის უზნეო და თანაც უნიჭო პოლიტიკის მესვეურებმა რუსეთის ფაქტორის განეიტრალება, მათი მონდომება მხოლოდ იმ შედეგს მოიტანს, რომ რუსეთის ირგვლივ აუცილებლად შეიკვრებიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც ერების დასავლურ გლობალისტურ ნაგვის ურნაში აღმოჩენის გონივრულ ალტერნატივად ჯანსაღ ინტერნაციონალურ კავშირში გაერთიანება ესახებათ, სადაც უცხო და მიუღებელი იქნება დღეს მომძლავრებული ნაციონალისტური და ფაშისტური ტენდენციები, რომლებიც ასე შეუბრალებლად ანგრევს და აცამტვერებს ერებს, ხალხებს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს...** აშშ-ს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავებული გეგმის შესაბამისად საბჭოთა კავშირის ორმოცდაათ ქალაქზე ბირთვული შეტევა რომ განეხორციელებინა, საბჭოთა ხალხს იმდენ ზიანს ვერ მიაყენებდა, რამდენიც გორბაჩოვისა და ელცინის ჯაშუშური საქმიანობის შედეგად საბჭოთა კავშირის დაშლით მიადგა. ამიტომ უნდა შესრულდეს საბჭოთა ხალხის მიერ 2011 წლის 13 მარტის რეფერენდუმში გამოხატული მტკიცე ნება კავშირის შენარჩუნების შესახებ.

ეს ახალი გაერთიანება რუსეთისა და ბელარუსის ბაზაზე უნდა დაიწყოს, რადგან ყოფილ საბჭოეთში უკვე აცნობიერებენ, რომ კოლექტიური დასავლეთი მათთვის იმ საფრთხედ იქცა, რომლის განეიტრალება ეგზისტენციურ აუცილებლობას წარმოადგენს. დასავლეთსაც მოუწევს იმის გაცნობიერება, რომ, როგორც უნდა მოიქცეს რუსეთთან დაპირისპირებაში, მისთვის ყოველთვის ის შედეგი დადგება, როგორიც მეორე მსოფლიო ომში დადგა. ეს ის რეალობაა, რომელიც შესანიშნავი ალეგორიულობით აისახა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისთვის წლების წინ საჯაროდ ნათქვამ ანდაზაში: **„Как бы не действовать в первой брачной ночи, результат должен быть один и тот же!“**

**ვალერი კვარაცხელია**

**P. S. ვლადიმერ პუტინისა და ჯოზეფ ბაიდენის შეხვედრამდე, რომელიც 15-16 ივნისს შვეიცარიაში უნდა გაიმართოს, პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ მშენებლობის დასრულებას, რომლის საშუალებითაც რუსული ბუნებრივი აირი გერმანიას უნდა მიეწოდოს, აშშ-ის პრეზიდენტმა მწვანე შუქი აუნთო. ეს მხოლოდ კეთილი ნების ჟესტი არ ყოფილა. ამაში უეჭველად არის ამერიკის აგრესიული და დამპყრობლური პოლიტიკის კაპიტულაციის ნიშნები რუსეთის თანამიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკისა და მისი გადამრჩენელი ისტორიული მისიის წინაშე.**

**ვ.კ.**

დაბოლილები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დავესწარი მოლაპარაკებებს, მეგონა, მე ვიყავი გამოუცდელი და ისინი გამოცდილები, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მათაც არაფერი იციან თურმე“, — ეს განცხადება კიდევ ერთ დეპუტატს, ვახტანგ მეგრელიშვილს, ეკუთვნის. მისი ადეკვატურობა დიდ ეჭვს იწვევს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, განათლების კომიტეტის წევრი იყოს. ბავშვების განათლებაზე მას საინტერესო მოსაზრება აქვს.**

# დეპუტატებს ნარკოტიკებზე ანალიზი უტარდებათ? ვინმე ამოწმებთ?



**საქართველოს პარლამენტი, ასე თუ ისე, დალაგდა. ევროპასა და ამერიკაში ვისაც არ დაეზარა, ყველა ჩაერია, ყველამ რჩევა მისცა ქართველ კანონმდებლებს, შემდეგ ხელების გადაგრეხვის პოლიტიკაც ვნახეთ და საბოლოოდ გვეშველა — თუ აქამდე 90 დეპუტატს ხელფასს პარლამენტში სიარულში ვუხდიდით, ახლა 150-ვეს გადავუხდით იმაში, რომ რუსთაველზე მდებარე შენობაში მივლენ. სწორედ მივლენ, რადგან მათი გაკეთებული არც აქამდე გვინახავს რამე და სასწაული უნდა მოხდეს, ახლა რომ გააკეთონ. არ გეგონოთ, ამ სიტყვებს ჰაერზე ვამბობდეთ — დეპუტატები კი არა, მთელი სამთავრობო გუნდი და, საზოგადოდ, ნებისმიერი პოლიტიკოსი არ მალავს, რომ ახლა მთავარი თემა შარლ მიშელის დოკუმენტის მიღებაა; იმ დოკუმენტის, რომელშიც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, როგორ უნდა შეუმსუბუქდეს ყოფა რიგით ადამიანებს, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი სიღატაკეს.**

კანონმდებლები იმუშავებენ ერთადერთ რამეზე — როგორმე მიიღონ ისეთი კანონი, როგორიც დასავლეთს სურს, და მერე რა, თუ ეს კანონი არც მოსახლეობასთან არის შეთანხმებული და, საზოგადოდ, არც ქართველ პოლიტიკოსებთან. **ჩამოვიდა ვიღაც წვერიანი კაცი (როგორც ცოტნე გამსახურდია იტყოდა), დადო მაგიდაზე დოკუმენტი და ახლა ეს დოკუმენტი სასწრაფო წესით ხელისუფლებამ თუ ოპოზიციამ შენიშვნებისა და ჩასწორებების გარეშე უნდა მიიღონ. საინტერესოა, რომ, თუ რომელიმე მხარე გაჯიუტდება, მოწინააღმდეგე არგუმენტს კი არ ეძებს, მაშინვე ევროპაში რეკავს, არიქა, თქვენ გეურჩებიანო, და იქიდან უმკაცრესი დირექტივები მოდის.**

თავი დავანებოთ იმას, რომ დასავლეთის დაკრულზე ოპოზიცია ხან სამაიას ცეკვავს და ხან — ხორუმს. ის ვთქვათ, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში მოკალათდნენ და ქვეყნის ბედ-იღბალი აბარიათ.

**„ვფიქრობდი, შემოსასვლელში წყლის თოფით ხომ არ გავწუწოთ-მეთქი. თან ზაფხულია და არ ეწყინებათ, თან გავერთობოდით, მაგრამ მერე მაინც გადავიფიქრე, პოლიტიკურ კუდს გამოაბამენ-მეთქი. ისე, რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი ხანია, ველოდებით „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში და მივესალმებით მათ ამ გადაწყვეტილებას“,** — განაცხადა პარლამენტარმა **იაგო ხვიჩიამ.**

ბატონმა იაგომ თავის ორ თანაპარტიელთან ერთად პარლამენტი თავიანთ სამეფოდ გამოაცხადა და დიდი შანსია, დანარჩენ დეპუტატებს, როგორც ნაზირ-ვეზირებს, ისე უყურებს. ერთი რამის თქმა გადაჭრით შეიძლება — **სხვა თანამდებობებისა და გაქანების ხალხის რა გითხრათ, მაგრამ ხვიჩიას სამეფოში მასხარები აშკარად არ მოაკლდება.** ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვსვამთ კითხვას — **დეპუტატებს ნარკოტიკებზე ანალიზი უტარდებათ, ვინმე ამოწმებთ?** გვაინტერესებს, რომელიმე კანონმდებელი ხომ არ მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებას, არ აქვს მნიშვნელობა, მარიხუანას ეწევა თუ კოკაინს ყნოსავს. **საქმე ის არის, რომ დეპუტატებს იარაღის ტარების უფლება აქვთ და ნამდვილად არ გვინდა, ნარკოტიკით გაბრუებული ადამიანი იარაღით ხელში დადიოდეს. თანაც ამ ადამიანებმა ისიც იციან, რომ იმუნიტეტი იცავთ და ხომ წარმოგიდგენიათ, დაუსჯელობის რამხელა სინდრომი ექნებათ შეყრილი?** ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვთ (ჰო, კი არ ვითხოვთ, მოვითხოვთ), ყველა დეპუტატს 40 დღეში ერთხელ მაინც (40 დღის შემდეგ ნარკოტიკი ორგანიზმიდან გადის) ჩაუტარდეს კვლევა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე და, თუ დადგინდება, რომ ისინი თუნდაც მსუბუქ ნარკოტიკს მოიხმარენ, სულ ცოტა, იარაღის ტარების უფლება შეუზღუდონ. გაგიკვირდებათ და, დეპუტატების უმრავლესობა იარაღს მუდამ ატარებს და ესეც ნიშანდობლივია — რას აშავებენ ისეთს ხალხის რჩეულნი, რომ იარაღის გარეშე გადაადგილება უჭირთ? თვითონაც ხვდებიან, რომ, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული ადამიანი ჰყავთ უკმაყოფილო ან ყველა ამომრჩეველი და იარაღი სწორედ მათგან დასაცავად სჭირდებათ.

**დეპუტატებს იარაღის ტარების უფლება აქვთ და ნამდვილად არ გვინდა, ნარკოტიკით გაბრუებული ადამიანი იარაღით ხელში დადიოდეს. თანაც ამ ადამიანებმა ისიც იციან, რომ იმუნიტეტი იცავთ და ხომ წარმოგიდგენიათ, დაუსჯელობის რამხელა სინდრომი ექნებათ შეყრილი?**

„დავესწარი მოლაპარაკებებს, მეგონა, მე ვიყავი გამოუცდელი და ისინი გამოცდილები, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მათაც არაფერი იციან თურმე“, — ეს განცხადება კიდევ ერთ დეპუტატს, ვახტანგ მეგრელიშვილს, ეკუთვნის. მისი ადეკვატურობა დიდ ეჭვს იწვევს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, განათლების კომიტეტის წევრი იყოს. ბავშვების განათლებაზე მას საინტერესო მოსაზრება აქვს და არც იმის წინააღმდეგია, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები შესვენებაზე მარიხუანას თუ გააბოლებენ.

აქეთ **ალეკო ელისაშვილმა** თქვა: მთელ დღეს ვიყავით პარლამენტში, დავწყდით მუშაობით და მაინც ვერ გავიგეთ, ოპოზიციისა და ხელისუფლების მიერ წარდგენილ ამნისტიის კანონებში რა განსხვავებააო. არადა, ეს ამნისტიის კანონი დამოკლეს მახვილივით კიდია დეპუტატების თავზე, რადგან ის **შარლ მიშელის** დოკუმენტშია აღნიშნული. რეალურად, ეს მუხლი **ნიკა მელიას** გამო შეიტანეს, თუმცა მელია გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა და ამნისტიის კანონის მიღებამ, ერთი შეხედვით, აზრი დაკარგა, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს — თუ ამ მუხლს გამოტოვებენ, დეპუტატები მიხვდებიან, რომ მიშელის დოკუმენტში რაღაცების გამოტოვება შეიძლება, თანაც, თუ ამნისტიის კანონს არ მიიღებენ, გირაოთი გამოშვებული მელია, შესაძლოა, სასამართლომ გაამტყუნოს და საპატიმროში შეაბრუნოს, ამიტომ მხარეები, სურთ თუ არა, ამნისტიის კანონზე უნდა შეთანხმდნენ და „დააჩაქუჩონ“. **ეს სურს დასავლეთს და, როგორც წესი, ქართველ კანონმდებლებს არავინ არაფერს ეკითხება.**

სხვათა შორის, სანამ პარლამენტში შევიდოდნენ, ოპოზიცია შალიკოს ფანჩატურად წოდებულ ოფისში იკრიბებოდა. ოპოზიციის წევრები არ მალავდნენ, რომ „გირჩის“ წარმომადგენლები შეხვედრებზე „კაიფში“ მყოფნი დადიოდნენ და გვარიანადაც ერთობოდნენ. ჰოდა, ახლა ეს ხალხი პარლამენტშია, იქაც არაადეკვატური რეაქციებითა და გამონათქვამებით გამოირჩევიან; საქმე ის არის, რომ **ოპოზიციის შეკრებებზე მათ კანონმდებლის სტატუსი არ ჰქონდათ, ახლა კი თავისუფლად შეუძლიათ, დაამტკიცონ ან უარყონ კანონი (ან მისცენ ხმა, ან არა), გადაწყვეტილებას კი იმის მიხედვით მიიღებენ, იმ დღეს აზიური მარიხუანა ექნებათ მოწეული, სვანური თუ გალიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილი. შემდეგ მათ მიერ მიღებული კანონი ჩვენთვის, რიგითი ადამიანებისთვის, სავალდებულო შესასრულებელი იქნება და ეს კი ცალკე უბედურებაა.**

გემახსოვრებათ, არცთუ შორეულ წარსულში პარლამენტში იმაზე მსჯელობდნენ, უნდა აიკრალოს თუ არა საქართველოში ბუსუსებიანი პრეზერვატივების გამოყენება. ოღონდ იმხანად ამ კანონპროექტზე ვინც მუშაობდა, მარიხუანით თუ სხვა ნარკოტიკული საშუალებებით გაბრუებული ნამდვილად არ იყო. ამომრჩევლის მხრიდან მწვავე რეაქციისა და პროტესტის ფონზე, მაშინ ეს კანონი უკან გაიწვიეს და იცით, რატომ გავიხსენეთ ეს ყველაფერი? **რამდენიმე წლის წინათ საზოგადოებას წინააღმდეგობის გაწევის უნარი და სურვილი ჰქონდა, ახლა კი არც ერთი აქვს და არც — მეორე. ჰო, მივედით იქამდე, რომ მოსახლეობისთვის სულერთია, ვინ იქნება პარლამენტში, რა კანონს მიიღებს, ფხიზელია თუ არა კანონმდებელი და, საერთოდ, აღარავის არაფერი არ აინტერესებს.** სწორედ ეს არის პოლიტიკური ნიჰილიზმი. არჩევნებიდან არჩევნებამდე ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი იმაზე ფიქრობს, როგორ გაყიდოს სარფიანად თავისი ხმა და რომელ პარტიას წაჰგლიჯოს მეტი ფული, რათა ორი კვირა თუ ერთი თვე, ელემენტარულად, საკვების საყიდელი თანხის პრობლემა აღარ ჰქონდეს. პროდუქტების გაძვირებასთან ერთად, ხმის ფასიც იწევს, მაგრამ საქმე ის არის, რომ საუკეთესო შემთხვევაში, არჩევნები ყოველ მეორე წელს არის, საკვები კი ყოველდღიურად გვჭირდება.

არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები თვითკონტროლის არანაირ მექანიზმს არ ქმნიან. მათთვის დაშვებულია ის, რაც აკრძალულია რიგითი ადამიანებისთვის. **ხმამაღლა არავინ ამბობს, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ ავტომობილის „ნარუშილოვკა“ სანომრე ნიშნები არსებობს, რომელსაც არც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აჩერებენ და არც ჭკვიანი კამერები აჯარიმებენ.** ამიტომ ასეთი სანომრენიშნიანი ავტომობილის მძღოლს თავისუფლად შეუძლია საჭეს მიუჯდეს ნასვამი, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ან, საერთოდ, დასვას პირი, რომელსაც მართვის მოწმობა არ აქვს და დაუსჯელობაში დარწმუნებული იქნება. მათ არ ეხებათ კომენდანტის საათი, შეუძლიათ ავტომობილი გააჩერონ იქ, სადაც მოესურვებათ და არავინ დააჯარიმებს. ჰო, ამ ადამიანებს ჩვენი გადასახადებიდან ათასობით ლარს ვუხდით და შემდეგ ამ ხელფასიდან მცირე ნაწილს მოგვიგდებენ, რათა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ იმავე პრივილეგიებითა და შემოსავლით.

დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ საკანონმდებლო ორგანოს წევრები საკუთარ თავს არ შეიზღუდავენ და თუნდაც ნარკოტიკზე კონტროლის მექანიზმს არ დააწესებენ. ეს იმიტომ, რომ ვიღაცები ისე, ჯიგრულად, თვეში ან ორ თვეში ერთხელ ერთობიან ხოლმე მსუბუქი ნარკოტიკებით, ნერვებს ასვენებენ, თავს მოდუნების უფლებას აძლევენ. მერე სხდებიან „ნარუშილოვკანომრიან“ ავტომობილებზე და უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. ამიტომ **არაადეკვატურ დეპუტატებსაც უნდა გავუძლოთ და მათ მიერ მიღებული არაადეკვატური კანონებიც უნდა შევასრულოთ. სხვაგვარად, დაბოლილი კანონმდებლების მიერ მიღებული კანონის სახელით უმკაცრესად დავისჯებით.**

**ოპოზიციის შეკრებებზე მათ კანონმდებლის სტატუსი არ ჰქონდათ, ახლა კი თავისუფლად შეუძლიათ დაამტკიცონ ან უარყონ კანონი (ან მისცენ ხმა, ან არა), გადაწყვეტილებას კი იმის მიხედვით მიიღებენ, იმ დღეს აზიური მარიხუანა ექნებათ მოწეული, სვანური თუ გალიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილი. შემდეგ მათ მიერ მიღებული კანონი ჩვენთვის, რიგითი ადამიანებისთვის, სავალდებულო შესასრულებელი იქნება და ეს კიდევ ცალკე უბედურებაა**

**ბესო ბარბაქაძე**

**საქართველო ბოლო ფორპოსტი იქნება რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძველი გავლენების აღდგენის გზაზე. რუსეთმაც და სრულიად მსოფლიომაც კარგად იციან, ვინც ფლობს თბილისს, ის კავკასიასაც დაეუფლება — კავკასიის პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური გასაღები ოდითგან თბილისში იყო და ახლაც ასეა.**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კავკასია ბეჭედია ბაჯაღლო, საქართველო — შიგ ჩასმული ბადახში

**ვისაც ნამდვილ ქართულ მწერლობასთან კავშირი ე.წ. „საბას“ პრემიის ლაურეატთა და მათ მიერ შექმნილი ე.წ. ლიტერატურა-პოეზიის შედევრების სასარგებლოდ არ გაუწყვეტია, მყისიერად მიხვდება, რომ წინამდებარე წერილის სათაური ძველი თბილისის უკანასკნელი ტრუბადურის, იოსებ გრიშაშვილის, გენიალური ლექსის სტრიქონების ჩემეული პერიფრაზია: „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში“ (თუ რისთვის დამჭირდა დიდი პოეტის ლექსის „დამახინჯება“, ამას მკითხველი ქვემოთ შეიტყობს, რადგან სწორედ სათაურში დევს წინამდებარე წერილის მთავარი თემის გასაღები)...**



**როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებიდან ჩანს, საქართველო და უკრაინა, რომ იტყვიან, «ერთ ქვაბში იხარშებიან» და ქოც-ნაცების ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ «მოძმე» უკრაინას გეოპოლიტიკურ საფლავში არ ჩაჰყვნენ და ქვაბიდან ამოსასვლელი, ე.ი., რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზები ეძებონ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირით «ვაჟკაცურ» განცხადებას აკეთებს, — რუსეთს მანამდე არ დაველაპარაკებით, სანამ სოხუმ-ცხინვალს არ დაგვიბრუნებსო. ამაზე მეტი სიბრიყვე გაგონილა?! თუ რუსეთი სოხუმ-ცხინვალს დაგვიბრუნებს, მერე რაღაზე უნდა ველაპარაკოთ — კრასნოდარ-სოჭის დაბრუნებაზე?**

ლიტერატურული კონკურსი „საბას“ ერთ-ერთი დამფუძნებელ-დამფინანსებელი, ყოფილი ბანკირი და ახლა პოლიტიკას თავშეფარებული **მამუკა ხაზარაძე** გახლავთ, რომელმაც, როგორც ამბობენ, ბევრი დატოვა უბინაოდ და ამ გზით გაიტანა ცხოვრების ლელო — მილიონერი გახდა და ახლა პოლიტიკური პარტია „ლელოს“ თავკაცი საქართველოს საზიანოდ კიდევ ერთი ლელოს გატანას ლამობს. მისი ქველმოქმედება არავის ახსოვს და, რა გასაკვირია, რომ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი კაცის მიერ დაფინანსებული „საბას“ სოლიდური ფინანსური პრემიების მფლობელები ყოველგვარი ეროვნულობა-პატრიოტიზმისგან დაცლილი უნიჭო მიშარასტი „ბულაძეები“ ხდებიან. მიშარასტი მწერლები აღვირახსნილ „ლიტერატურულ“ ლანძღვა-ბილწსიტყვაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს და ამ ყველაფერს ავანგარდულ მწერლობას ეძახიან. ჩვენ კი, ვინც „ინტელექტუალურად დაბალ საფეხურზე“ ვიმყოფებით, „ბულაძეების“ მაღალი „შემოქმედება“ არ გვესმის და ისევ „გოიმი“ **ვაჟა, ილია, აკაკი** და ა.შ. (ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა ან საქართველოში პოეტები?!) გვირჩევნია...

წინამდებარე წერილის არცთუ მცირე შესავალი მისმა სათაურმა განაპირობა და მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ეს ლირიკული გადახვევა. ეს წერილი ჩემი წერილის „აბა, ვის აქვს ზედმეტი კბილები?“ გაგრძელებად მქონდა ჩაფიქრებული და ქვემოთ ჩანაფიქრის ასრულებას შევეცდები...

პრინციპში, იმ წერილში ერთი შეცდომა დავუშვი — ჩემი ვარაუდი, რომ **ვლადიმერ პუტინისა** და **ჯო ბაიდენის** რანდევუ არ შედგებოდა, რადგან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აშშ-რუსეთის უმაღლეს დონეზე შეხვედრა ბაიდენის მიერ თავისი გადაფურთხებულის ალოკვა იქნებოდა, არ გამართლდა — 16 ივნისს შვეიცარიაში ორი ზესახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვედრა მაინც შედგება, მაგრამ...

რამდენჯერ აღმინიშნავს ამ, ერთი შეხედვით, უბრალო სიტყვის „მაგრამ“-ის, ძალა, გნებავთ — მაგია, რომელსაც შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. სანამ ამერიკელების მიერ რანდევუს გადაწყვეტილების მიღებამდე მომხდარის თუ მოსახდენის დეტალურად განხილვა-ანალიზს შევუდგებოდეთ, მანამდე ვთქვათ ის, რაც ყველა შემთხვევაში უეჭველია — ჟენევაში რუსეთის პრეზიდენტი, ძალის პოზიციით, როგორც ტრიუმფატორი, ისე ჩავა, რადგან ჯო ბაიდენის ჩასვლა შვეიცარიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი გადაფურთხებულის ალოკვას ნიშნავს.

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა უმაღლეს დონეზე სამიტის მომზადების პროცესში: აშშ-მა უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად უარი თქვა ბუნებრივი აირის მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობისთვის სანქციების დაწესებაზე. ეს იმ აშშ-ზეა ლაპარაკი, რომლის სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** რამდენიმე დღის წინათ რეიკიავიკში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვთან** შეხვედრის შემდეგ რუსეთის დასჯით იმუქრებოდა... აშშ-ის ამ მოულოდნელმა „დატკბობამ“ დააფიქრა მსოფლიო პოლიტოლოგ-ანალიტიკოსები (რუსების გარდა, რომელთა დიპლომატიაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ძალაა, იმპერატორ **ალექსანდრე II-ის** მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ნათქვამი ფრთიანი ფრაზა — „რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს — მისი არმია და ფლოტი“, დღესაც აქტუალურია). ნიშანდობლივი და დამაფიქრებელია ისიც, რომ აშშ-რუსეთს შორის უმაღლესი დონის შეხვედრამდე 2 დღით ადრე, 14 ივნისს, ბრიუსელში გაიმართება ნატოს წევრი ქვეყნების დახურული სამიტი და უკრაინას იმედი ჰქონდა იმისა, რომ კიევი, ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებისთვის აუცილებელ საგზაო რუკას — ე.წ. მაპს მიიღებდა, მაგრამ, „მაპი“ კი არა, უკრაინის დელეგაცია, ისევე, როგორც საქართველოსი, საერთოდ არ მიიწვიეს ამ სამიტზე. ამ ცნობამ ჩვენს „მოძმე“ ბანდერულ-ფაშისტურ უკრაინაში ნამდვილი შოკი, იმედგაცრუება და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაუბედავი, სუსტი, მაგრამ მაინც აღშფოთება გამოიწვია ოკეანისგაღმელი პატრონების მიმართ — **გეიაღლუმებით დაწყებული, აღვირახსნილი რუსოფობიით დამთავრებული, ყველა საშინაო დავალება შევასრულეთ და რაღა გინდათო?**

„ბუქარესტის 2008 წლის სამიტის შემდეგ 13 წელი გავიდა და ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად. როდესაც ზოგჯერ რეფორმების ნელა გატარებისთვის გვაკრიტიკებენ, მაშინ რა უნდა ვთქვათ ალიანსის გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, რომლებსაც უკვე 13 წელია, მტვერი ადევს? უკრაინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა დაპირებებით გამოკვების პოლიტიკად არ იქცეს“, — განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დიმიტრი კულებამ,** რომელსაც მიაჩნია, რომ 2021 წელი საუკეთესო დროა უკრაინისა და საქართველოსთვის მაპის მისანიჭებლად.

„თუ 2008 წელს გაიცა დაპირება, რომ უკრაინა და საქართველო საბოლოოდ გახდებოდნენ ნატოს წევრები და ამ გზაზე შემდგომი ნაბიჯი წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებაა, მაშინ რთული წარმოსადგენია უფრო უკეთესი და უფრო მნიშვნელოვანი მომენტი ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად, ვიდრე 2021 წელია“, — აღნიშნა კულებამ. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ უკრაინა არ მიიწვიეს 14 ივნისს დაგეგმილ ნატოს სამიტზე, რომელიც რუსეთ-უკრაინის ესკალაციის ფონზე იმართება. „ჩვენ გვესმის მოკავშირეების სურვილი დახურული სამიტის ჩატარების შესახებ... მაგრამ არ გვესმის, როგორ შეიძლება არ მიეწვიათ უკრაინა“, — დასძინა კულებამ.

როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებიდან ჩანს, საქართველო და უკრაინა, რომ იტყვიან, „ერთ ქვაბში იხარშებიან“ და ქოცნაცების ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ „მოძმე“ უკრაინას გეოპოლიტიკურ საფლავში არ ჩაჰყვნენ და ქვაბიდან ამოსასვლელი, ე.ი., რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების გზები ეძებონ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირით „ვაჟკაცურ“ (წაიკითხე, სულელურ) განცხადებას აკეთებს — რუსეთს მანამდე არ დაველაპარაკებით, სანამ სოხუმ-ცხინვალს არ დაგვიბრუნებსო. ამაზე მეტი სიბრიყვე გაგონილა? თუ რუსეთი სოხუმ-ცხინვალს დაგვიბრუნებს, მერე რაღაზე უნდა ველაპარაკოთ — კრასნოდარ-სოჭის დაბრუნებაზე? ჟენევის სამიტზე უკრაინაზე საუბარი უკრაინის გარეშე იქნება, ხოლო საქართველოზე — საქართველოს გარეშე. პირველ შემთხვევაში ამერიკაში უკრაინისთვის ლუგანსკ-დონბას-ყირიმის დაბრუნებაზე ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება საუბარი და, თუ ბანდერელები მაინც არ მოისვენებენ, მოსკოვი კიევთან (იქნებ იმის იქითაც) გაავლებს რუსეთ-უკრაინის საზღვარს. აკი პირდაპირ განაცხადა პუტინმა: თვითონ რუსეთი განსაზღვრავს, სად გადის მოსკოვისთვის წითელი ხაზებიო.

რაც შეეხება ბედკრულ **საქართველოს, ის ბოლო ფორპოსტი იქნება რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძველი გავლენების აღდგენის გზაზე. რუსეთმაც და სრულიად მსოფლიომაც კარგად იციან, ვინც ფლობს თბილისს, ის კავკასიასაც დაეუფლება — კავკასიის პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური გასაღები ოდითგან თბილისში იყო და ახლაც ასეა.** ამიტომაც დავასათაურე წინამდებარე წერილი იოსებ გრიშაშვილის ლექსის სტრიქონების პერიფრაზით.

წერილს კი ჩვენი ბრძენი პატრიარქის შეგონებით დავასრულებ: **„ერთმორწმუნე რუსეთთან უნდა აღდგეს ძველი ძმური ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად“!**

**ნიშანდობლივი და დამაფიქრებელია ისიც, რომ აშშ-რუსეთს შორის უმაღლესი დონის შეხვედრამდე 2 დღით ადრე, 14 ივნისს, ბრიუსელში გაიმართება ნატოს წევრი ქვეყნების დახურული სამიტი და უკრაინას იმედი ჰქონდა იმისა, რომ კიევი, ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებისთვის აუცილებელ საგზაო რუკას — ე.წ. მაპს მიიღებდა, მაგრამ «მაპი» კი არა, უკრაინის დელეგაცია, ისევე, როგორც საქართველოსი, საერთოდ, არ მიიწვიეს ამ სამიტზე**

**დავით მხეიძე**

ორმაგი სტანდარტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს იყო ერთგვარი სილის გაწვნა აშშ-ევროკავშირის ტანდემისთვის, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა. დასავლეთის პოლიტიკური ელიტა უფრო გულწრფელი უნდა იყოს საკუთარი მოქმედებებისას, მით უფრო, რომ დასავლეთის განუზომელი ძალაუფლება, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ჟანდარმისა, თანმიმდევრულად მცირდება, იქმნება ძალთა ახალი ცენტრები და იცვლება მოსახლეობის განწყობებიც.**

# ლუკაშენკო, RYANAIR-ის თვითმფრინავი და დასავლეთი

## რომან პროტასევიჩი და მისი დაკავება

**2021 წლის 23 მაისს ბელარუსის საავიაციო ხელისუფლებამ, რომელმაც თვითმფრინავის ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობაზე ინფორმაცია მიიღო, ავიაგამანადგურებლის თანხლებით აიძულა, მინსკის აეროპორტში დაშვებულიყო ირლანდიური ავიაკომპანია Ryanair-ის თვითმფრინავი, რომელიც ათენი-ვილნიუსის რეისს ასრულებდა. თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ დააკავეს ლაინერში მყოფი ოპოზიციონერი ჟურნალისტი რომან პროტასევიჩი და მისი მეგობარი სოფია საპეგა. დასავლეთმა ეს ინციდენტი „სახელმწიფოს მიერ გატაცებად“ და „სახელმწიფო მეკობრეობად“ შეაფასა.**





ევო მორალესის თვითმფრინავი იძულებით დასვეს ვენაში



რომან პროტასევიჩი



ევო მორალესი

**რომან პროტასევიჩი,** რომელიც მინსკის აეროპორტში თვითმფრინავის იძულებით დაშვების შემდეგ დააკავეს, Telegram-ის პოპულარული ოპოზიციური არხის, Nexta-ს, ერთ-ერთი დამფუძნებელი და ყოფილი მთავარი რედაქტორია. მან **ალექსანდრე ლუკაშენკოს** მმართველობის მხრიდან დევნის გამო ბელარუსი 2019 წელს დატოვა და პოლონეთს სთხოვა თავშესაფარი. პროტასევიჩს ბელარუსში ბრალი ედება ექსტრემისტული ორგანიზაციის შექმნაში. ოპოზიციონერი ჟურნალისტი შეყვანილია იმ პირების სიაში, რომლებსაც, მინსკის მტკიცებით, კავშირი აქვთ ტერორისტულ საქმიანობასთან.

Nexta-ს ტელეგრამ-არხი მინსკში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების მთავარი საინფორმაციო და მაკოორდინირებელი საშუალება იყო. მოკლე ვადაში არხის გამომწერების რაოდენობამ 2 მლნ-ს გადააჭარბა. Nexta-ს თანამშრომლები პოლონეთის დედაქალაქში ცხოვრობენ და იქიდან მუშაობენ. 2020 წლის ოქტომბერში მინსკის რაიონული სასამართლოს მიერ Nexta-ს არხი და მისი ლოგო ექსტრემისტულ ორგანიზაციად აღიარეს, ამის მიზეზად კი აღნიშნული მედიასაშუალების მიერ სხვადასხვა ძალადობრივი მოწოდებები და მასობრივი არეულობების წახალისება სახელდებოდა. ადამიანური მომენტიდან გამომდინარე, შეიძლება ბევრი ჩვენგანისთვის მიუღებელი იყოს ის, რაც რამდენიმე დღის წინათ მოხდა და ის ფორმა, რომლითაც Nexta-ს დამფუძნებელი დააკავეს. მით უმეტეს, არსებობს გარკვეული პრეტენზიები ბელარუსში მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო ნორმისა და სამართლის ინტერპრეტაცია ამ საკითხზე. უფრო მნიშვნელოვანი კი იმის გაანალიზებაა, რამდენად ადეკვატური იყო დასავლეთის რეაქცია ამ ფაქტის მიმართ. ამ ინცინდენტიდან მოკლე დროში გულმხურვალე ევროპელი დემოკრატების აღშფოთება ვიხილეთ. ევროკავშირმა ბელარუსს 3 მილიარდი ევროს ოდენობის საინვესტიციო პაკეტი შეუჩერა. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ ბელარუსის ავიასივრცე იზოლაციაში მოაქცია. ასევე ფრენები აუკრძალეს მთავარ ბელარუსულ ავიაკომპანია „ბელავიას“.

### რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს!

დღევანდელი მსოფლიოს საერთაშორისო სამართალსა თუ საერთაშორისო პოლიტიკაში ბევრი მოვლენის შეფასება პრეცედენტული მიდგომებიდან გამომდინარე ხდება. სხვათა შორის, პრეცედენტულ სამართალს ანგლო-ამერიკული ფესვები აქვს. სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცედენტად, როდესაც კონკრეტული შემთხვევის გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს მომავალში ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტას. დავუბრუნდეთ ისევ განსახილველ საკითხს. ევროპის საჰაერო სივრცეში საგანგებო ვითარებისას თვითმფრინავის იძულებით დაშვება ზემოაღნიშნული ფორმით პირველი შემთხვევა არ არის. 2013 წლის ივლისში ბოლივიის პრეზიდენტ **ევო მორალესის** თვითმფრინავიც იძულებით დასვეს ავსტრიის დედაქალ ვენაში. ეს 3.5-საათიანი ფრენის შემდეგ მოხდა, როდესაც იტალიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ სუვერენული ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ პირს თავიანთი საჰაერო სივრცის გამოყენებაზე უარი უთხრეს. როგორც შემდგომში გაირკვა, ევროპული ქვეყნების ბოიკოტის მიზეზი იყო ის, რომ ამერიკელები ეჭვობდნენ, რომ ბორტზე იმყოფებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი **ედვარდ სნოუდენი**, რომელსაც საიდუმლო მონაცემების გამჟღავნებაში ადანაშაულებდნენ. ევო მორალესის თვითმფრინავი აიძულეს, ვენის აეროპორტში დაფრენილიყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბორტზე სნოუდენი არ იმყოფებოდა. ეს ავსტრიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჰაინც ფიშერმაც** დაადასტურა. ევროპული ქვეყნების გადაწყვეტილებამ ევო მორალესის თვითმფრინავის იძულებით დაფრენის შესახებ, რომელიც აშშ-ის მიერ იყო ორგანიზებული, ლათინური ამერიკის ქვეყნების აღშფოთება გამოიწვია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ევო მორალესი** დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი იყო და ევროპულმა ქვეყნებმა გარკვეულწილად დიპლომატიური ეტიკეტი და პოლიტიკური ხელშეუხებლობის პრინიციპიც დაარღვიეს სხვა დანარჩენთან ერთად, თუმცა იმხანად ჩვენ ვერ ვიხილეთ გაშმაგებული დასავლელი ლიდერები, რომლებიც საჯაროდ დაგმობდნენ მომხდარს.

### რაც ეპატიება კოლექტიურ დასავლეთს, არ ეპატიება ლუკაშენკოს?

ლათინური ქვეყნების ლიდერებმა პროტესტი გამოთქვეს ვენის აეროპორტში ევო მორალესის თვითმფრინავის იძულებითი დაჯდომის გამო. ბოლივიის ვიცე-პრეზიდენტმა **ალვარო გარსია ლინერმა** მოსახლეობისადმი მიმართვისას განაცხადა, რომ პრეზიდენტი მორალესი „იმპერიალიზმმა გაიტაცა“ და „ლათინური ამერიკა ფეხქვეშ გათელეს“, ევროპა კი „ობსკურანტიზმში ჩაეფლო“ და „ისე იქცევა, როგორც ერთი სახელმწიფოს კოლონია“. ბოლივიის თავდაცვის მინისტრმა **რუბენ საავედრამ** პირდაპირ დაადანაშაულა აშშ, რომ სწორედ მისი მითითებით მოხდა თვითმფრინავის იძულებით დაშვება და შემდგომი სამარცხვინო გაჩხრეკა. არგენტინის პრეზიდენტმა **კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა** კი განაცხადა, რომ ევროპული ქვეყნების მოქმედება „წარმოუდგენელი დაუსჯელობაა“, ხოლო ეკვადორის ლიდერი **რაფაელ კორეა** იმ ქვეყნებს, რომლებმაც ბოლივიის პრეზიდენტი შეურაცხყვეს, დაემუქრა, რომ ელჩებს გამოიწვევდა.

### დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?!

**ლათინური ამერიკის ქვეყნები და დანარჩენი მსოფლიოს პროგრესული ნაწილი სამართლიანად აღშფოთდა ევო მორალესის თვითმფრინავის იძულებით დაფრენის გამო, მაგრამ ევროპისა და აშშ-ის მიმართ რაიმე სერიოზული ზემოქმედების ბერკეტი მათ არ ჰქონდათ. ასე რომ, ამ ინციდენტმა საერთაშორისო პოლიტიკაში სერიოზული საპასუხო ქმედებების გარეშე ჩაიარა.**

„პრესის თავისუფლების“ კუთხით ლუკაშენკოს საქციელი შეიძლება ბევრმა არ მოიწონოს, მაგრამ Ryanair-ის თვითმფრინავის ამბავმა დასავლეთი კიდევ ერთხელ ჩაახედა სარკეში და ორმაგ სტანდარტებზე მიუთითა — დასავლეთმა დაგმო ლუკაშენკოს საქციელი, მაგრამ მსგავსი რამ 2013 წელს თვითონ ჩაიდინა.

ეს იყო ერთგვარი სილის გაწვნა აშშ-ევროკავშირის ტანდემისთვის, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა. დასავლეთის პოლიტიკური ელიტა უფრო გულწრფელი უნდა იყოს საკუთარი მოქმედებებისას, მით უფრო, რომ დასავლეთის განუზომელი ძალაუფლება, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ჟანდარმისა, თანმიმდევრულად მცირდება, იქმნება ძალთა ახალი ცენტრები და იცვლება მოსახლეობის განწყობაც.

**POLITICANO.BLOG**

**ლათინური ქვეყნების ლიდერებმა პროტესტი გამოთქვეს ვენის აეროპორტში ევო მორალესის თვითმფრინავის იძულებითი დაჯდომის გამო. ბოლივიის ვიცე-პრეზიდენტმა, ალვარო გარსია ლინერმა, მოსახლეობისადმი მიმართვისას განაცხადა, რომ პრეზიდენტი მორალესი „იმპერიალიზმმა გაიტაცა“ და „ლათინური ამერიკა ფეხქვეშ გათელეს“, ევროპა კი „ობსკურანტიზმში ჩაეფლო“ და „ისე იქცევა, როგორც ერთი სახელმწიფოს კოლონია“. ბოლივიის თავდაცვის მინისტრმა რუბენ საავედრამ პირდაპირ დაადანაშაულა აშშ, რომ სწორედ მისი მითითებით მოხდა თვითმფრინავის იძულებით დაშვება და სამარცხვინო გაჩხრეკა**

**ტომაშ ფიალას პარტნიორია უკრაინელი ოლიგარქი ვიქტორ პინჩუკი — ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიძე. პარტია „ხალხის მსახურის“ გარდა, ფიალა აკონტროლებს პარტია „გოლოსს“. ტომაშ ფიალას სტრუქტურების მეშვეობით ჯორჯ სოროსი აფინანსებს ლვოვის კათოლიკურ უნივერსიტეტს — უკრაინული მაიდნების სამჭედლოს. ამ სასწავლებლის რექტორია ვატიკანის ნუნცია საფრანგეთში, შვეიცარიასა და ბენილუქსის ქვეყნებში — ბორის გუდზიაკი, რომელიც შეთავსებით აშშ-ის მოქალაქე ჰილარი კლინტონის მეგობარი და, ფაქტობრივად, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია.**

აღმოსავლეთი ევროპა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოროსის «ნამესტნიკი» უკრაინაში — ნეზალეჟნაიას მთავარი მედიამაგნატი

**ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის (მოკლეს 2000 წელს) მიერ დაფუძნებული ინტერნეტგამოცემა „უკრაინსკაია პრავდა“ ჩეხმა ოლიგარქმა, ფაქტობრივად, სოროსის „ნამესტნიკმა“ ტომაშ ფიალამ იყიდა.**

„უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, გამოცემის თანადამფუძნებელმა **ალენა პრიტულამ** გამოცემის აქციების 100% ფიალას კუთვნილ კომპანია Dragon Capital-ს გადასცა. პრიტულა შეეცადა, დაერწმუნებინა გამოცემის კოლექტივი, რომ „უკრაინსკაია პრავდა“ მესაკუთრის შეცვლის შემდეგ ძველ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. მთავარი რედაქტორის პოსტზე დარჩება **სევგალ მუსაევა,** პრიტულა კი გააკონტროლებს გამოცემას, როგორც თანადამფუძნებელი.

ადრე „უკრაინსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა შეკვეთილი წერილები, რომლებშიც სოროსის ნაცვალმა („ნამესტნიკმა“) ფული გადაიხადა. ბოლო ხანს „უკრაინსკაია პრავდა“ გაკოტრების პირას იყო და მკითხველთა შემოწირულობებით არსებობდა. ფიალამ პრიტულას გამოცემაში 2,5 მლნ დოლარი გადაუხადა. იმის გათვალისწინებით, რომ ალენა პრიტულას ხელფასს, ფაქტობრივად, ჩეხი ოლიგარქი უხდის, ფიალა დახარჯულ ფულს მალე ამოიღებს.

„უკრაინსკაია პრავდას“ შეძენის შემდეგ ტომაშ ფიალა უკრაინის მთავარ მედიამაგნატად იქცა. სოროსის „ნამესტნიკს“ ეკუთვნის უკრაინის ისეთი წამყვანი მედიასაშუალებები, როგორიც არის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოე ვრემია“, ეკონომიკური საინფორმაციო სააგენტო Finance.ua, მედიაჰოლდინგი „მინფინმედია“. ეს ყველაფერი სერიოზული მედიაქტივია, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს უკრაინის ფინანსურ ბაზარსა და საბანკო სექტორზე.

ფიალას მიერ „უკრაინსკაია პრავდას“ შეძენის შემდეგ ეს გამოცემა **ვლადიმერ ზელენსკის** გარემოცვის სოროსული ფრთის იარაღად იქცევა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ **არსენ ავაკოვის** წინააღმდეგ. ცნობილია, აგრეთვე, რომ სოროსელებს სურთ, ფიალას გადასცენ ბანკების ჯგუფი „პრივატი“. ამის გამო „უკრაინსკაია პრავდა“ დაიწყებს მილიარდერ **იგორ კოლომოისკისა** და მისი გარემოცვის დიფამაციით. კოლომოისკი და ავაკოვი ახლა მოკავშირეები არიან. ფიალას ჩეხეთის მოქალაქეობა იმუნიტეტი იქნება „უკრაინსკაია პრავდასთვის“ ავაკოვის უწყების დევნისგან.


ალენა პრიტულა და ტომაშ ფიალა

ტომაშ ფიალას პარტნიორია უკრაინელი ოლიგარქი **ვიქტორ პინჩუკი** — ექსპრეზიდენტ **ლეონიდ კუჩმას** სიძე. პარტია „ხალხის მსახურის“ გარდა, ფიალა აკონტროლებს პარტია „გოლოსს“. ტომაშ ფიალას სტრუქტურების მეშვეობით **ჯორჯ სოროსი** აფინანსებს ლვოვის კათოლიკურ უნივერსიტეტს — უკრაინული მაიდნების სამჭედლოს. ამ სასწავლებლის რექტორია ვატიკანის ნუნცია საფრანგეთში, შვეიცარიასა და ბენილუქსის ქვეყნებში — **ბორის გუდზიაკი,** რომელიც აშშ-ის მოქალაქე **ჰილარი კლინტონის** მეგობარი და, ფაქტობრივად, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია.

უკრაინაში სოროსის ნაცვალ ტომაშ ფიალას ძმა, **პეტრე,** ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარის მოადგილე და პროამერიკული სამოქალაქო-დემოკრატიული პარტიის ლიდერია.

ალენა პრიტულას სახით ტომაშ ფიალამ მიიღო მენეჯერი საინტერესო წარსულით. უკრაინელი კოლეგები პრიტულას „შავ ქვრივს“ ეძახიან. „უკრაინსკაია პრავდას“ თანადამფუძნებელი საყვარელი იყო ჟურნალისტ **პაველ შერემეტისა**, რომელიც პრიტულას მანქანაში ააფეთქეს 2016 წელს. 2000 წელს მოკლული გიორგი ღონღაძეც ადრე პრიტულას საყვარელი იყო.

**«უკრაინსკაია პრავდას» შეძენის შემდეგ ტომაშ ფიალა უკრაინის მთავარ მედიამაგნატად იქცა. სოროსის «ნამესტნიკს» ეკუთვნის უკრაინის ისეთი წამყვანი მედიასაშუალებები, როგორიც არის საინფორმაციო სააგენტო «ნოვოე ვრემია», ეკონომიკური საინფორმაციო სააგენტო Finance.ua, მედიაჰოლდინგი «მინფინმედია». ეს ყველაფერი სერიოზული მედიაქტივია, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს უკრაინის ფინანსურ ბაზარსა და საბანკო სექტორზე**

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ალექსანდრე ლუკაშენკო: აი დასავლეთის სახე!



**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ, რომელიც სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, განაცხადა, რომ განზრახული აქვს, რუს კოლეგას აჩვენოს „ზოგიერთი დოკუმენტი“ რეის Ryanair-ის გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ.**

ალექსანდრე ლუკაშენკოს თქმით, ამ მოვლენის მიმართ რეაქცია მიუთითებს ბელარუსში ვითარების დესტაბილიზაციისა და 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობამდე მიყვანის მცდელობაზე. ლუკაშენკო განცვიფრებულია ევროკავშირის მოქმედებებით მომხდარის შემდეგ.

**„რისთვის დასაჯეს „ბელავიას“ შრომითი კოლექტივი? იმისთვის, რომ მათ კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში ათასობით ევროპელი გადაიყვანეს თავიანთ ქვეყნებში? აი მათი სახე!“** — აღშფოთებას ვერ მალავდა ლუკაშენკო.

ბელარუსის პრეზიდენტმა გაიხსენა 2020 წლის პერიოდი, როცა ინფექციის გავრცელების გამო სახელმწიფოებმა დაიწყეს თავიანთი მოქალაქეების ევაკუაცია უცხო ქვეყნების კურორტებიდან, რადგან „იმხანად ყველაფერი ჩაიკეტა“.

**„მინსკში ერთი აეროპორტი მუშაობდა. მათ (დასავლეთის ქვეყნებმა — გ..გ.) ყველაფერი დახურეს და თავიანთი მოქალაქეების გადაყვანა „ბელავიას“ სთხოვეს. და ჩვენმა ავიაკომპანიამ გადაიყვანა ათასობით ადამიანი. შვედები, გერმანელები, პოლონელები, ლიტველები, ამერიკელები მოჰყავდათ მინსკში, ვინაიდან იქ იყო ერთადერთი აეროპორტი, რომელიც მუშაობდა. შემდეგ მინსკიდან ეს ადამიანები ან ამერიკელებს გადაჰყავდათ, ან ჩვენ ვასრულებდით რეისებს.** ვერ წარმოიდგენთ, გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში როგორ გვემადლიერებოდნენ ჩვენ, „ბელავიას“ კოლექტივს, ადამიანების სამშობლოში დაბრუნებისთვის, გადარჩენისთვის“, — აღნიშნა ლუკაშენკომ.


პროტასევიჩის დაპატიმრება

რუსეთის ლიდერმა, თავის მხრივ, გაიხსენა ინციდენტი, რომელიც 2013 წელს შეემთხვა ბოლივიის პრეზიდენტ **ევო მორალესს:**

„ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავი იძულებით დასვეს. პრეზიდენტი გადმოიყვანეს თვითმფრინავიდან და... არაფერი. სიჩუმე“, — თქვა პუტინმა.

ეს შემთხვევა თვითმფრინავის იძულებით დაშვების ყველაზე ხმაურიანი მაგალითია. ამის მიზეზი იყო ხმები, რომ თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი **ედვარდ სნოუდენი,** რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში ადანაშაულებს.

**23 მაისს ათენიდან ვილნიუსში მიმავალი ლაინერი RYANAIR-ი მინსკის აეროპორტში დაეშვა მას შემდეგ, რაც ეკიპაჟს აცნობეს, რომ თვითმფრინავი დანაღმული იყო, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა. ამ რეისით მიფრინავდა პოლონეთში მცხოვრები რომან პროტასევიჩი — ბელარუსში ექსტრემისტულ არხად აღიარებული TELEGRAM არხ NEXTA-ს დამფუძნებელი. დოკუმენტების შემოწმებისას ჟურნალისტი დააკავეს და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღძრეს. ამ მუხლებს შორისაა მასობრივი არეულობების ორგანიზება. პროტასევიჩს 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება.**

დასავლეთის ქვეყნებმა გააკრიტიკეს მომხდარი — განაცხადეს, რომ მინსკმა თვითმფრინავის ეკიპაჟი აიძულა, გამოგონილი საბაბით დაშვებულიყო. ბელარუსი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ ეკიპაჟის მეთაურმა თვითონ მიიღო მინსკის აეროპორტში დაშვების გადაწყვეტილება.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სამამულო ომის პერიოდში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა პატრიოტიზმისა და შრომითი გმირობის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს. მეშახტეები წარმატებით ძლევდნენ ომით გამოწვეულ სიძნელეებს, ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმები, ჩამოყალიბდა ახლაგაზრდობის ფრონტული ბრიგადები, მუშაკები დიდი აღფრთოვანებით ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის კოლექტივმა 1945 წლის 1-ელი ნახევრი სერიოზული მიღწევებით აღნიშნა: ექვსთვიანი გეგმა ვადამდე, 9 ივნისს, 114,6%-ით შეასრულა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-18, 2021 წ.

**ტყვარჩელი ახლო წარსულში უკაცრიელი და ტყიანი ადგილი იყო, სადაც აშენდა 4-5-სართულიანი ლამაზი სახლები სახელმწიფო დაწესებულებებისთვისა და მუშათა საცხოვრებლად. 1929-1945 წწ. პერიოდში გაშენდა კვეზანის, ტანჯუხისა და აკარმარის დაბები 37 ათას კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით, რომლის 15 ათასი კვ. მ ქვის შენობებია.**

ქვანახშირის მრეწველობის ამ რაიონს ამშვენებდნენ ახალაშენებული საავადმყოფოები (სამკურნალო კომბინატი 80 საწოლით), სკოლები, ბაგები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები, კლუბი, რადიოკვანძი, ორი სატელეფონო სადგური, ბიბლიოთეკები, პურის ქარხანა, სასადილოები, მაღაზიები, აბანოები, სამრეცხაოები და კულტურულ-საგანმანათლებლო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. ძირითადი ყურადღება ექცეოდა მშრომელთა სოციალურ დაცვასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ტყვარჩელი, ტყიბული, ჭიათურა, ზესტაფონი არანაკლები ყურადღების ცენტრში იყო, ვიდრე ქვეყანაში სიდიდით მეორე ქალაქი ქუთაისი. **გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი 1930-იან წლებში სსრ კავშირში მოგზაურობისას განცვიფრებას ვერ მალავდა მშრომელთა კოლექტივებში (ქარხნებში) შრომის უსაფრთხოების, სპორტის მასობრივი სახეობების მაღალი დონის გამო. განსაკუთრებით მოეწონა მუშათა სასადილოების ორგანიზებული მუშაობა.** სოფელი ქალაქად იქცა, ტყე-ბუჩქნარი — უნაყოფიერეს მიწებად და შემოსავლის წყაროდ. დღეს კი ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ეს „ყა-ყა" იყო, ხოლო, რასაც ახლა მივირთმევთ, ეს „კა-კაა". ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

ახალი მშენებლობების შედეგად, როგორც ტყიბულმა, ისე ტყვარჩელმა ქალაქის იერი მიიღო და საქართველოს წარმატებული სოციალისტური ქალაქების რიცხვს შეემატა. **საშემსრულებლო ხელოვნების კადრებით, სიტყვის ოსტატთა რაოდენობით ჭიათურის თეატრი ტოლს არ უდებდა დედაქალაქის სახელგანთქმულ თეატრებს, რომელთა სახელებიც და საშემსრულებლო ხელოვნებაც ქუხდა მსოფლიოში. ერთხელ სტუმრად ჩასული მე და ჩემი ძმა კოლია ონიანი ჭიათურაში გრიშა წერეთელთან ქეიფში ღამენათევები ახალგაზრდებმა საჩხერეში, სხვიტორთან, ლეგენდარულ „კინწიალის ჭალაში" „წასახემსებლად" წაგვიყვანეს.** „წახემსებას" უზარმაზარი სუფრა მოჰყვა, რომელთანაც საჩხერელი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვენი ჭიათურელი მასპინძლები. ქეიფი ძალაში შევიდა. სხვადასხვა ზომის სასმისები ხელიდან ხელში გადადიოდა. მყუდრო ადგილზე დადგმული, გამორჩეული ფაცხიდან დავინახეთ, რომ საზაფხულოდ გამოტანილ „ბუფეტთან" ჩოჩქოლი ატყდა. ერთმანეთისკენ იწევდნენ. სუფრასთან ვინც ვიყავით, ყველა იქით გავეშურეთ. არ ვიცოდით, ვის მივხმარებოდით. ვითარებაში იმან გაგვარკვია, რომ ერთმა აღელვებულმა საჩხერელმა გამოთქვა თავისი აღშფოთება: — ჭიათურელებს თუ შეეძლოთ სტუმრების პატივისცემა, ჭიათურაში ეცათ პატივი. ძმები ჩვენს რაიონს სტუმრობენ, ჩვენი სამზარეულო ემსახურებათ, დამკვრელები ჩვენი უკრავენ, რა შუაშია აქ ჭიათურელების მიერ ჯიბეში ხელის ჩაყოფა, სტუმრები ჩვენია და ჩვენ უნდა გავუმასპინძლდეთო. მას კვერს უკრავდა ოცამდე საჩხერელი. გასაოცარი აქ არაფერი იყო. ყველას თავისი ხვაშიადი უნდა გაესწორებინა...

დღეს?

**„რაა მასზე გულსაწყვეტი,
მეტეხო და დილმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე:
ეს არ არის საქართველო!
არის ხალხი, რკინიგზები,
არის-ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!"
გალაკტიონი**

სამამულო ომის პერიოდში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა პატრიოტიზმისა და შრომითი გმირობის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს. მეშახტეები წარმატებით ძლევდნენ ომით გამოწვეულ სიძნელეებს. ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმები, ჩამოყალიბდა ახლაგაზრდობის ფრონტული ბრიგადები, მუშაკები დიდი აღფრთოვანებით ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის კოლექტივმა 1945 წლის 1-ელი ნახევრი სერიოზული მიღწევებით აღნიშნა: ექვსთვიანი გეგმა ვადამდე, 9 ივნისს, 114,6%-ით შეასრულა. ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება 1940 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზარდა 17%-ით; 1943 წელთან შედარებით — 16%-ით და 1944 წელთან შედარებით — 21%-ით. აღნიშნული მიღწევების შედეგად ტყვარჩელის მეშახტეები გამარჯვებულები გამოვიდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო. სამამულო ომის პერიოდში არათუ დაეცა შრომის ნაყოფიერება, პირიქით — დაზგასთან დადგა მამის დახეულჩექმებიანი არასრულწლოვანი მემკვიდრე და ქვეყნის გადასარჩენად ტოლს არ უდებდა ფრონტზე მტერთან მებრძოლ მშობელს. **ქვეყანა იდგა „ვით გოდოლი შეურყეველი". გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა და 1943 წელს სტალინმა გამოსცა ბრძანება: ყველა სპორტსმენი, რომელიც იბრძოდა ან საავადმყოფოში იყო მოთავსებული, მოეხსნათ ფრონტიდან და დაწყებულიყო ერთიანი პროფილაქტიკა მათ გამოსაჯანმრთელებლად. 1943 წლის ბოლოს უნდა ჩატარებულიყო სსრ**

# სტალინური ეპოქის ქართული სახელმწიფო



**უცხოელი ვაიკრიტიკოსები და მუცლით მეზღაპრენი ათასნაირ ჭორსა და ცილისწამებას ავრცელებდნენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომაზე. საბჭოთა კავშირში ან გამომუშავების ნორმებია შეუსაბამო ადამიანის შესაძლებლობებთან ან სრული ფალსიფიკაციაა, როგორ შეიძლება ერთმა მეშახტემ დღეში 7 მეშახტის დღიური ნორმა გამოიმუშაოს? — ჰკითხეს სტალინს. «ეს ამხანაგ სტახანოვს უნდა ჰკითხოთ, თუ როგორ ახერხებს ამას და ამასთანავე, ჰკითხოს მას, ვინც ვერ აღწევს ასეთ შედეგებს», — უპასუხა სტალინმა**

**კავშირის ჩემპიონატები სპორტის შვიდ სახეობაში ჩემპიონთა გამოსავლენად. ღვთის მიერ გამოგზავნილი კაცის გარდა, სხვას ვის შეეძლო უფრო დიდ რისკზე წასვლა მაშინ, როდესაც სამშობლო ჯერ კიდევ დენთის კვამლში იყო გახვეული.** სოციალისტური შეჯიბრება რეგულარულად ფართოვდებოდა ომის პერიოდში. 1944 წელს შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიცხვი შეადგენდა მუშათა საერთო რაოდენობის 87,4%-ს. მაგალითად, ქვანახშირის მნგრეველები გამომუშავების წლიურ ნორმებს საშუალოდ ასრულებდნენ: 1942 წელს — 120,8%-ით, 1943 წელს — 114%-ით, ხოლო 1944 წელს — 120,8%-ით. ცალკეული სტახანოველები კიდევ უფრო დიდი (150-200-250%-ით) გადაჭარბებით ასრულებდნენ წლიურ ნორმებს. უცხოელი ვაიკრიტიკოსები და მუცლით მეზღაპრენი ათასნაირ ჭორსა და ცილისწამებას ავრცელებდნენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომაზე. **საბჭოთა კავშირში ან გამომუშავების ნორმებია შეუსაბამო ადამიანის შესაძლებლობებთან, ან სრული ფალსიფიკაციაა, როგორ შეიძლება ერთმა მეშახტემ დღეში 7 მეშახტის დღიური ნორმა გამოიმუშაოს?** — ჰკითხეს სტალინს. „ეს ამხანაგ სტახანოვს უნდა ჰკითხოთ, თუ როგორ ახერხებს ამას და ამასთანავე, ჰკითხოს მას, ვინც ვერ აღწევს ასეთ შედეგებს", — უპასუხა სტალინმა.

გამომუშავების წლიური ნორმების გადაჭარბებით შესრულება, რასაკვირველია, გულისხმობდა ქვანახშირის მოპოვების მომატებას. მაგალითად, საქართველოში ქვანახშირის მოპოვება 1940 წელთან შედრებით გაიზარდა: 1941 წელს — 6,5%-ით, 1942 წელს — 9,1%-ით. კიდევ უფრო მეტ ზრდას იძლეოდა ქვანახშირის მრეწველობის ცალკეული ტრესტები. ასე, მაგალითად, „ტყვარჩელქვანახშირის" სისტემაში ქვანახშირის ამოღება 1940 წელთან შედარებით გაიზარდა: 1941 წელს — 54,6%-ით, 1942 წელს — 44,4%-ით, 1943 წელს — 15%-ით. „ტყიბულქვანახშირის" სისტემაში ქვანახშირის ამოღება 1941 წელს გაიზარდა 9,2%-ით.

ომის პირობებში იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. მაგალითად, ერთი მუშის წლიური საშუალო ხელფასი 1940 წელთან შედარებით გაიზარდა: „ტყვარჩელქვანახშირის" სისტემაში 1941 წელს — 2,2%-ით, 1943 წელს — 13,7%-ით, 1944 წელს — 47,5%-ით; ხოლო „ტყიბულქვანახშირის" სისტემაში: 1943 წელს — 8,1%-ით და 1944 წელს — 28,0%-ით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, 1944 წლის დადგენილებით, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს გაუდიდდათ სატარიფო განაკვეთი და ხელფასი.

ამასთანავე, მრეწველობის საქონლითა და სურსათით მუშათა მომარაგების საბარათე სისტემამ, დამხმარე მეურნეობის ორგანიზებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუშათა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაში. სამამულო ომის პირობებშიც მიმდინარეობდა მუშათა ბინათმშენებლობა. 1943-1944 წწ. ტყიბულის მეშახტეებისთვის აიგო 41,0 ათასი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ახალ სტალინურ ხუთწლედში ქვანახშირის მრეწველობის წინაშე უდიდესი ამოცანები დადგა. „მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა წარმოშობს მთელ რიგ ახალ სამრეწველო საწარმოებს, რაც მთავარია, მოითხოვს ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიწყება ტყვარჩელის, ტყიბულისა და ახალციხის შახტების გაფართოება; გაჩაღდება, აგრეთვე, ბინათმშენებლობა ქვანახშირის საწარმოთა მუშებისათვის; გატარდება ღონისძიებები მათი მომარაგების გასაუმჯობესებლად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საქართველოში ორი წლის (1946-1947 წწ.) განმავლობაში ქვანახშირის მოპოვების სამჯერ და მეტად გადიდებას, ე.ი., სადღეღამისო საშუალო მოპოვება 1945 წლის IV კვარტალის 2 100 ტონიდან უნდა გადიდეს 6 500 ტონამდე 1947 წლის დეკემბერში", — ეს არის ამონარიდი 1946 წლის 5 თებერვალს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე **ლავრენტი ბერიას** სიტყვიდან. ახალი ხუთწლედის ბოლო წელს (1950 წ.) საქართველოში ქვანახშირის მოპოვებამ 2,4 მლნ ტონას მიაღწია, ნაცვლად 625 ათასი ტონისა 1940 წელს. მომდევნო ხუთწლედის დასაწყისში, მეტალურგიისა და ავტომობილის ქარხნების სრული სიმძლავრით ამუშავებისა და სხვა თბოტევადი საწარმოების გაფართოების შედეგად, მოთხოვნამ ქვანახშირზე მკვეთრად მოიმატა. საკმარისია, ითქვას, რომ მეტალურგიული ქარხნის საკოქსე ბატარიები დაახლოებით 2,5 მლნ ტონა ტყვარჩელისა და ტყიბულის რიგით ნახშირს მოიხმარდნენ. იმ მიზნით, რომ ქვანახშირის მოპოვების მატება თანხვედრი ყოფილიყო სახალხო მეურნეობის დარგთა მზარდი მოთხოვნილებისა, უკვე მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 3,2 მლნ ტონა სიმძლავრის შახტების მშენებლობის დამთავრება, აგრეთვე, 6.8 მლნ ტონა საერთო სიმძლავრის შახტების მშენებლობისთვის ქვანახშირის 22 უბნის მომზადება. **ქვანახშირის გამოკვლეული სამრეწველო მარაგის გადიდებისა და ცალკე უბნების საექსპლუატაციოდ მოსამზადებლად საჭირო გეოლოგიურ-კვლევითი და საპროექტო სამუშაოები გაიშალა არამხოლოდ ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოებში, არამედ ახალციხის მურა ნახშირის საბადოებშიც. ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირი ტექნოლოგიური საჭიროებისათვის უნდა დაზოგილიყო, ამიტომ მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდა ახალციხის მურა ნახშირის მოპოვება და გამოყენება მრეწველობის დარგებში.** გაძლიერებული გეოლოგიურ-კვლევითი მუშაობა წარმოებდა, აგრეთვე, ბზიფის, მაგანისა და ▶

**სამამულო იმის წლებში საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკებმა დროულად გარდაქმნეს მუშაობა და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ჭაბურღილების გათხრის, მეტი ნავთობის მოპოვების, ადგილობრივი მოწყობილობებისა და შიდა რესურსების ფართოდ გამოყენების საქმეში. მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საგრძნობლად მოიმატა ომის წლებში ნავთობის მოპოვებამ და გადამუშავებამ.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სხვა საბადოებში. **ამავე ხუთწლედში დიდი სამუშაოები ჩატარდა ქვანახშირის ამოღების ახალი სისტემების დასანერგავად, შრომისნაყოფიერების ასამაღლებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენდა, აგრეთვე, ქვანახშირის გამაუხვებელი ქარხნის მშენებლობა, რიონ-ტყიბულის რკინიგზის შტოს ელექტროფიკაცია და სხვ. ამასთანავე, შახტის მოწყობილობათა ქარხნის მშენებლობის დამთავრებით მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისთვის.** 1947 წლის პირველ კვარტალში 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ქვანახშირის მოპოვება შეადგენდა: ტყიბულში — 114,8%-ს, ტყვარჩელში — 138,4%-ს, ახალციხეში — 162,6%-ს. მნიშვნელოვანი მიღწევები იყო, აგრეთვე, კაპიტალური სამუშაოების გეგმის შესრულებაშიც.

## საქართველოს ნავთობმრეწველობა

საქართველოს ნავთობი დიდი ხნის წინათ იპყრობდა მრეწველთა და მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოგებით დაინტერესებული უცხოელი და ადგილობრივი კაპიტალისტები ნავთობის მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწეოდნენ, დიდ კაპიტალურ დაბანდებებს გაურბოდნენ და საბადოების სერიოზულ გამოკვლევას არ აწარმოებდნენ. **მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ჩვენში ნავთობის მრეწველობა. 1930 წელს ჩამოყალიბდა ტრესტი „საქნავთობი“.** საკაშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენიებით, დაისახა ნავთობის მრეწველობის განვითარების ახალი გზები. დადგენილებაში აღნიშნული იყო „საქნავთობის“ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და მითითებული იყო, დაუყოვნებლივ გაეტარებინათ „ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა „საქნავთობის“ ჯეროვან სამეურნეო ხელმძღვანელობას,



ლიონ ფოიხტვანგერი და სტალინი

**გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი 1930-იან წლებში სსრ კავშირში მოგზაურობისას განცვიფრებას ვერ მალავდა მშრომელთა კოლექტივებში (ქარხნებში) შრომის უსაფრთხოების, სპორტის მასობრივი სახეობების მაღალი დონის გამო. განსაკუთრებით მოეწონა მუშათა სასადილოების ორგანიზებული მუშაობა**

საწარმოს მომარაგებას მოწყობილობებითა და კვალიფიციური ტექნიკური მუშაკების საჭირო კადრებით, იმ ანგარიშით, რომ 1932 წელს უკვე დაწყებულიყო ნავთის სამრეწველო ამოღება“ (**ი. სტალინი**, „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ“, 1934 წ.). 1938 წელს საქართველოს კპ (ბ) XI ყრილობაზე თავის მოხსენებაში ლავრენტი ბერია აღნიშნავდა: „საქნავთს“ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს... მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ბურღვის გეგმის შესრულებას, არამედ ბურღვა ისე უნდა მოეწყოს, ნავთის გამოსაკვლევი ფენების მდებარეობისა და სიმძლავრის გამორკვევასთან ერთად მივიღოთ სამრეწველო ნავთი. ნავთის მოპოვება ისე უნდა გავშალოთ, რომ წელიწადში ვიღებდეთ არა 12 000 ტონას, არამედ ასეულ ათასობით ტონას“. **საქართველოს ნავთობის მრეწველობაში დააბანდეს დიდი სახსრები. ნავთობის მოპოვებაში დაბანდებული თანხა შეადგენდა პირველ ხუთწლედში (ფაქტობრივი ღირებულებით) — 14,7 მლნ მანეთს, მეორე ხუთწლედში (1937 წლის გარდა) — 42,0 მლნ მანეთს, 1938 და 1939 წწ. — 50,2 მლნ მანეთს, სულ — 106,9 მლნ მანეთს, ხოლო ნავთობის გადამმუშავებელ მრეწველობაში 1921-1939 წწ. დაბანდებული იქნა 70,5 მლნ მანეთი.** 1940-1946 წწ. ტრესტ „საქნავთობის“ კაპიტალური დაბანდებანი (ხარჯთაღრიცხვის ფასებში) შეადგენდა 139,223 ათას მანეთს. ამრიგად, 26 წლის განმავლობაში ამ დარგში გაწეული კაპიტალური დაბანდებანი 316 623 ათას მანეთს აჭარბებდა. **„საქართველოს მძიმე მრეწველობაში, — აღნიშნავდა ლავრენტი ბერია, — დიდი ადგილი უკავია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს, რომლებიც აგებულია პირველი ხუთწლედის განმავლობაში (მშენებლობაზე დაიხარჯა 39 მლნ მანეთი). ეს ქარხნები გამოიმუშავებენ 100-105 მლნ მანეთის ოდენობის საექსპორტო პროდუქციას (წლიური სიმძლავრე შეადგენდა 3 მლნ ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავებას).** წლიდან წალამდე იზრდებოდა „საქნავთობის“ ძირითადი ფონდები, რომლებიც 1941 წლის 1 იანვრისთვის 7,5-ჯერ მეტი იყო, 1939 წლის 1 იანვართან შედარებით. გაიზარდა ტრესტის მრეწველობის ყველა დარგი; გადიდდა ჭაბურღილთა რაოდენობაც, რომლებიც 1945 წლის ბოლოს დაახლოებით 3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1938 წლის ბოლოს. „საქნავთობი“ სულ უფრო ადიდებდა ბურღვის მეტრაჟს, რომელიც 1941 წელს 20-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1930 წელს. **კანდიდ ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობაზე (1940 წ), შეეხო რა ნავთობის მრეწველობის განვითარებას, დაასახელა ბურღვის დარგის მიღწევები და იქვე მიუთითა: „მიუხედავად ამისა, ბურღვა ყველაზე ჩამორჩენილ უბნად უნდა ჩაითვალოს „საქნავთობის“ მუშაობაში. განსაკუთრებით ჩამორჩა საძიებო ბურღვა. ტრესტის ხელმძღვანელობამ უახლოეს დროში უნდა გამოასწოროს ეს საქმე. „საქნავთობის“ ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაპყროს გეოლოგიური სამუშაოების გაუმჯობესებისა და მშენებლობის საჭირო ტემპების უზრუნველყოფის საკითხებს“.**

**„საქნავთობმა“ ფართოდ გაშალა მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. გამოვლინდა ნავთობის ახალი ბუდობები, რომლებმაც ძლიერ გაადიდეს ნავთობის საერთო მარაგის რაოდენობა. საქართველოს ნავთობის მუშაკებმა შესამჩნევად მოუმატეს ბურღვის სიჩქარეს და გაბურღული მეტრების რაოდენობას ერთ მუშაზე გაანგარიშებით. გაბურღული მეტრების წლიური რაოდენობა ერთ მუშაზე 1942 წელს 284%-ით მეტი იყო, ვიდრე 1938 წელს. ბურღვის სისწრაფისა და ხარისხის გადიდება აუცილებელი იყო, რათა საჩქაროდ მომზადებულიყო ნავთობის მოსაპოვებელი ახალი ჭაბურღილები, ნავთობის ბუდობები და უბნები.** თანდათან გაიზარდა ნავთობის მოპოვება. 1932 წელთან შეფარდებით, 1940 წელს 33-ჯერ მეტი ნავთობი მოიპოვეს, ხოლო 1943 წელს — 46-ჯერ მეტი. საგრძნობლად გაიზარდა წლიური გამომუშავება — ნავთობის მოპოვება ერთ მუშაზე გაანგარიშებით. 1943 წელს, 1938 წელთან შედარებით, ნავთობის მოპოვება ერთ მუშაზე 2-ჯერ მეტი იყო.

**ნავთობის გადამუშავება წარმოებდა მირზაანისა და თბილისის ნავთობსახდელ ქარხნებში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოეწყო საქართველოს ნავთობგადამამუშავებელი მძლავრი ქარხნები. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში მუშაობდნენ ბაქოდან მიღებულ ნავთობზე. შექმნილი იყო სპეციალური მექანიკური სახელოსნოები და სხვ.** საქართველოს ნავთობის მრეწველობის ფრიად სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა ახალგაზრდა კადრების მომზადება. „საქნავთობს“ ჰყავდა გეოლოგების, ინჟინრების, ქიმიკოსების, ეკონომისტების, ბურღვის ოსტატების, კვალიფიციური მუშების, დამხმარე პერსონალის ადგილობრივი კადრები. წარმოებდა მოკლევადიან კურსებზე ბურღვის, ნავთობის მოპოვებისა და გადამამუშავებელი დარგების მუშაკთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. საქართველოს ნავთობის მრეწველობაში გაშლილი იყო სოციალისტური შეჯიბრება, სტახანოვური მოძრაობა. 1939 წლის ბოლოს სტახანოველთა ხვედრითი წონა შეადგენდა ბურღვაში — 32%-ს, მოპოვებაში — 41%-ს, 1940 წელს კი, შესაბამისად — 49%-სა და 75%-ს. 1941 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მუშების სრული რაოდენობის 68%, ხოლო 1944 წელს — 73,7%. **ცალკეული სტახანოველები გამომუშავების ნორმებს 200-300%-ით ასრულებდნენ. საგრძნობლად მოიმატა ნავთობის მრეწველობის მუშაკთა მატერიალურ-კულტურულმა დონემ. 1946 წელს მუშის საშუალო წლიური ხელფასი დაახლოებით 2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1938 წელს.** სამამულო იმის წლებში საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკებმა დროულად გარდაქმნეს მუშაობა და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ჭაბურღილების გათხრის, მეტი ნავთობის მოპოვების, ადგილობრივი მოწყობილობებისა და შიდა რესურსების ფართოდ გამოყენების საქმეში. მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საგრძნობლად მოიმატა ომის წლებში ნავთობის მოპოვებამ და გადამუშავებამ. ნავთობის მოპოვების დარგში განუწყვეტლივ იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება (1926-1927 წწ) 1940 წელთან შედრებით გაიზარდა: 1941 წელს — 14,8%-ით, 1942 წელს — 29,8%-ით, 1943 წელს — 60%-ით, 1944 წელს — 23,3 %-ით.

ომის შემდგომი ხუთწლედის ბოლო წელს ნავთობის მოპოვებამ მიაღწია 110 ათას ტონას, ეს 2,5-ჯერ აღემატებოდა საქართველოში ნავთობის მოპოვების ომამდელ დონეს.



**საქართველოს ნავთობის მრეწველობის ფრიად სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა ახალგაზრდა კადრების მომზადება. «საქნავთობს» ჰყავდა გეოლოგების, ინჟინრების, ქიმიკოსების, ეკონომისტების, ბურღვის ოსტატების, კვალიფიციური მუშების, დამხმარე პერსონალის ადგილობრივი კადრები. წარმოებდა მოკლევადიან კურსებზე ბურღვის, ნავთობის მოპოვებისა და გადამამუშავებელი დარგების მუშაკთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება**




**ყურადღება!**

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ძია სემის ფიქრები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეკომენდაციები ეძლევათ დიპლომატებს, როგორ უნდა გამოიყენონ BLM-ის ლექსიკა და როგორ გაშუქდეს ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის წლისთავი მითითებებით ლიტერატურაზე პრესრელიზების მოსამზადებლად. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს ტერმინ „შავების სიცოცხლესაც აქვს მნიშვნელობა"-ს გამოყენებას ცნობებში, სიტყვით გამოსვლებსა და სხვა დიპლომატიურ კონტექსტებში უცხო ქვეყნების აუდიტორიასთან რასობრივი თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით.**

**კრიტიკული რასობრივი თეორია აშშ-ის დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიის საფუძველი ხდება და ამ პროცესის შედეგები აშშ-ის საზღვრებს გარეთ გადის. სახელმწიფო დეპარტამენტიდან მოულოდნელად გამოჟონილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ მსოფლიო არენაზე ამ იდეოლოგიის წინ წამოწევა ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის გათვითცნობიერებული ნაბიჯია.**

# ვაშინგტონი BLM-ის იდეების მსოფლიოში გავრცელებას აპირებს




ანონიმურმა წყარომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან გამოცემა Human Events News-ს გადასცა 2021 წლის 5 მაისით დათარიღებული ელექტრონული ვერსია წერილისა, რომელსაც ხელს აწერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი **ენტონი ბლინკენი** და რომელიც გაეგზავნა აშშ-ის დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. წერილი ეძღვნება აფროამერიკელი **ჯორჯ ფლოიდის** გარდაცვალების წლისთავს, რომელიც 2020 წლის 25 მაისს პოლიციელების მიერ დაკავებისას დაიღუპა.

წერილში წინ არის წამოწეული შემდეგი თეზისები:

ერთი წლის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის ბევრი წევრი ფლოიდის ხსოვნას პატივს მიაგებს და აღიარებს იმ გრძელ გზას, რომლის გავლაც მოუწევთ ქვეყნებს რასობრივი სამართლიანობისთვის, 25 მაისის წინ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოსცა სახელმძღვანელო ტერმინ Black Lives Matter-ის, ბანერებისა და ალმების გამოყენების შესახებ.

**ეროვნულმა და მსოფლიო პროტესტებმა წარმოშვა მოძრაობა იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დააკანონა უთანასწორობა და რომელიც ფესვებს იღებს კოლონიალიზმიდან და რასობრივი, ტომობრივი, ეთნიკური და უმცირესობების ჩაგვრიდან.** ფლოიდის მკვლელობამ გამოიწვია საერთაშორისო პროტესტი რასობრივი სამართლიანობისა და თანასწორობის ძიებაში სისტემური რასიზმის ლიკვიდაციისა და ფერადკანიანთა თემების, განსაკუთრებით აფრიკული წარმოშობის პირების, მიმართ პოლიციის სისასტიკის აღმოფხვრის გზით.

ალსანიშნავია, რომ **სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ში რასობრივი უთანასწორობის საკითხი მსოფლიოში ნებისმიერი უმცირესობის უთანასწორობის საკითხამდე გააფართოვა.**

**20 იანვარს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გამოსცა ბრძანებულება №13985 რასობრივი თანასწორობისა და ჩაგრული უმცირესობის შესახებ. ეს ძალისხმევა მთავარ პრიორიტეტად ითვლება აშშ-ის ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. აშშ ობიექტურად ვერ გააშუქებს და იმსჯელებს ადამიანის უფლებებზე უცხოეთში, თუ ამ საკითხებს თავის ტერიტორიაზე ვერ მოაგვარებს.** როგორც ჩანს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის იდეიდან აქცენტი გადააქვს რასობრივ უთანასწორობასა ჩაგრული თემების საკითხებზე, რომლებსაც მიეკუთვნება ლგბტ თემიც (აშშ-ის პრეზიდენტის 2021 წლის 4 თებერვლის მემორანდუმი).

სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევა რასობრივი თანასწორობის წინ წამოსაწევად სხვა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მხარდაჭერის ჩარჩოებში არის:

* პარტნიორობა თანამოაზრე სახელმწიფოებსა და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან დეზინფორმაციასთან პროპაგანდასა და სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების დამღუპველ გავლენებთან საბრძოლველად, რომლებიც აღვივებენ რასობრივ შუღლს თემებს შორის და ძირს უთხრიან დემოკრატიულ ნორმებს;
* დემოკრატიული პრინციპების წინ წამოწევა, ბრძოლა კორუფციასთან, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა რეფორმებისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალების დისკრიმინაციის შედეგებზე რასობრივი, ეთნიკური და ჩაგრული თემების მიმართ;
* თანამოაზრე ქვეყნებთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით კოალიციის შექმნა სისტემურ რასიზმსა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ოპერატიული რეაგირება ადამიანის უფლებებისა და რასობრივი, ეთნიკური და სხვა სახის დარღვევებზე;
* აშშ-ის ფედერალური მთავრობის ძალისხევის გაფართოება საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებთან, მოქალაქეებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან ხელს შეუწყობს რასობრივ, ეთნიკურ და სხვა ჯგუფებში ადამიანის უფლებების პატივისცემის გაძლიერებას;
* ადგილობრივი მოძრაობების შესაძლებლობების გაფართოება რასობრივი, ეთნიკური და სხვა ჯგუფების წევრთა უფლებების დასაცავად და სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის განსამტკიცებლად.

**აშშ-ს სურს, შექმნას ახალი პოლიტიკური კავშირები რასობრივი თანასწორობის იდეის გასავრცელებლად ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მხარდაჭერის ჩარჩოებში. ალსანიშნავია, რომ**

**20 იანვარს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გამოსცა ბრძანებულება №13985 რასობრივი თანასწორობისა და ჩაგრული უმცირესობის შესახებ. ეს ძალისხმევა მთავარ პრიორიტეტად ითვლება აშშ-ის ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. აშშ ობიექტურად ვერ გააშუქებს და იმსჯელებს ადამიანის უფლებებზე უცხოეთში, თუ ამ საკითხებს თავის ტერიტორიაზე ვერ მოაგვარებს. როგორც ჩანს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის იდეიდან აქცენტი გადააქვს რასობრივ უთანასწორობასა და ჩაგრული თემების საკითხებზე, რომლებსაც მიეკუთვნება ლგბტ თემიც**

**ჩანაფიქრის მიხედვით, ასეთ კოალიციებს ოპერატიული რეაქცია ექნებათ ჩაგვრის ყველა სახეობაზე, რომლებსაც ისინი გამოავლენენ და შეაფასებენ.**



ენტონი ბლინკენი

წერილის ტექსტში რეკომენდაციები ეძლევათ დიპლომატებს, როგორ უნდა გამოიყენონ BLM-ის ლექსიკა და როგორ გაშუქდეს ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის წლისთავი, მითითებებით ლიტერატურაზე პრესრელიზების მოსამზადებლად. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს ტერმინის „შავების სიცოცხლესაც აქვს მნიშვნელობა" გამოყენებას ცნობებში, სიტყვით გამოსვლებსა და სხვა დიპლომატიურ კონტექსტებში უცხო ქვეყნების აუდიტორიასთან რასობრივი თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით.

თანამდებობის პირებისთვის რეკომენდებულია, სრულად გამოიყენონ სახელმწიფო დეპარტამენტისა და უწყებათაშორისი ინსტრუმენტები პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისა და ჩაგრული თემების მხარდასაჭერად წლის განმავლობში, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტით 25 მაისზე, 17 ივნისზე და სხვა ნაკლებად ცნობილ თავდასხმაზე რასობრივ ნიადაგზე, როგორიც არის რასობრივი ხოცვა-ჟლეტა ტალსაში (ოკლაჰომას შტატი, აშშ), რომლის 100 წლისთავი 2021 წლის 31 მაისს-1 ივნისს აღინიშნება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სექციებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხების ბიუროს პროგრამები ამ მიმართულებების წინ წამოსაწევად.

**სახელმწიფო დეპარტამენტის წერილში აღნიშნულია, რომ აუცილებელია მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კოორდინატორებთან, რათა მოხდეს აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სტუდენტების გაცვლა. ჩატარდეს ღია საუბრები მიზნობრივ აუდიტორიასთან სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხების ბიუროს საკურატორო ფილმების გამოყენებით.**

მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს დაგეგმვა ღონისძიებებისა და გზავნილებისა, რათა წარმოჩნდეს აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერა და ამერიკელი თემების ძალისხმევა რასიზმის დასაძლევად, მათ შორის ისტორიული მოვლენებისა და ტრაგედიების აღიარებით.

ამ მითითებებით თუ ვიმსჯელებთ, **სახელმწიფო დეპარტამენტი დიდ ყურადღებას დაუთმობს იმ ქვეყნების საზოგადოებასთან მუშაობას, რომლებშიც არის აშშ-ის დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებები, რათა გაფართოვდეს რასობრივი თანასწორობის იდეოლოგია და, ჩანს, აპირებს ისტორიული ტრაგედიების საკითხების კულტივირებას თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის დემოკრატიულმა პარტიამ სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად BLM-ის იდეოლოგია აიღო და მის დანერგვას საერთაშორისო დონეზეც აპირებს. აშშ და მისი მოკავშირეები აპირებენ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ამა თუ იმ უმცირესობის დისკრიმინაციის ხარისხი მსოფლიოში და წნეხში მოაქციონ ქვეყნები, რომლებიც მათი ინტერესების გზაჯვარედინზე აღმოჩნდებიან. მოწინააღმდეგე ქვეყნის საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა უმცირესობებზე აქცენტის გაკეთებით აშშ-ისთვის საკმაოდ ეფექტიანი მეთოდია, რათა გაამძაფროს ქაოსი მსოფლიოში, თვითონ კი დარჩეს სტაბილურობის კუნძული.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



**აშშ-ის დემოკრატიულმა პარტიამ სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად BLM-ის იდეოლოგია აიღო და მის დანერგვას საერთაშორისო დონეზეც აპირებს. აშშ და მისი მოკავშირეები აპირებენ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ამა თუ იმ უმცირესობის დისკრიმინაციის ხარისხი მსოფლიოში და წნეხში მოაქციონ ქვეყნები, რომლებიც მათი ინტერესების გზაჯვარედინზე აღმოჩნდებიან. მოწინააღმდეგე ქვეყნის საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა უმცირესობებზე აქცენტის გაკეთებით აშშ-ისთვის საკმაოდ ეფექტიანი მეთოდია, რათა გაამძაფროს ქაოსი მსოფლიოში, თვითონ კი დარჩეს სტაბილურობის კუნძული**

**საბჭოთა ეპოქის მწერალთაგან არავის ისე არ შეულახავს სსრკ-ის რეპუტაცია, როგორც „მწერალსა“ და დისიდენტ ალექსანდრე სოლჟენიცინს. მთელი დასავლური სამყარო კითხულობდა მის წიგნებს, რომლებშიც საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია, როგორც ერთი დიდი ციხე. სოლჟენიცინის წიგნებმა დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის დაშლის საქმეში, ამისთვის მას ნობელის პრემია მისცეს.**

პასუხი ცილის-მწამებელს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელი მსახიობისა და მომღერლის, დინ რიდის, ღირსეული პასუხი ცილისმწამებელ სოლჟენიცინს

**პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა და მსახიობმა 50 წლის წინათ საკადრისი პასუხი გასცა დისიდენტ ალექსანდრე სოლჟენიცინს საბჭოთა კავშირზე გავრცელებული ცილისწამებისთვის. მომღერლის სიტყვებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა.**

საბჭოთა ეპოქის მწერალთაგან არავის ისე არ შეულახავს სსრკ-ის რეპუტაცია, როგორც „მწერალსა“ და დისიდენტ **ალექსანდრე სოლჟენიცინს.** მთელი დასავლური სამყარო კითხულობდა მის წიგნებს, რომლებშიც საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია, როგორც ერთი დიდი ციხე. სოლჟენიცინის წიგნებმა დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის დაშლის საქმეში, ამისთვისაც მას ნობელის პრემია მისცეს.

ჯერ კიდევ 50 წლის წინათ გამოჩნდა ადამიანი — ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი დინ რიდი, რომელმაც მკვეთრად უარყოფითი აზრი გამოთქვა სოლჟენიცინისა და მის „ნაშრომების“ მიმართ.

აი დინ რიდის მოკლე ბიოგრაფია: **დინ სერილ რიდი (1938-1986) — ამერიკელი მომღერალი, მსახიობი, კინორეჟისორი და საზოგადო მოღვაწე — დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა კავშირში, ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.**

1971 წელს დინ რიდმა ალექსანდრე სოლჟენიცინს მისწერა ღია წერილი, რომელშიც სოლჟენიცინის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს სიცრუეს უწოდებს. სოლჟენიცინისადმი დინ რიდის მიმართვა გამოქვეყნდა იმხანად ძალიან პოპულარულ და მრავალტირაჟიან საბჭოთა გამოცემებში — ჟურნალ „ოგონიოკსა“ და გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (1971 წლის მე-5 ნომრებში).

აი რამდენიმე ციტატა დინ რიდის 50 წლისწინანდელი წერილიდან, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა.

წაიკითხეთ, დაფიქრდით და მართებული დასკვნები გამოიტანეთ.

*** იმის შესახებ, რომ აშშ-ის ეკონომიკა, რომელშიც დიდ როლს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი თამაშობს, მუდმივად დაინტერესებულია ომის გაჩაღებით:**

„...სახელდობრ, ამერიკა (და არა საბჭოთა კავშირი) აწარმოებს ომებს და ქმნის დაძაბულ ვითარებას ომის შესაძლებლობით, იმისთვის, რომ თავის ეკონომიკას მისცეს მოქმედების, ხოლო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს კიდევ მეტი სიმდიდრის დაგროვებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალება ამერიკელი ჯარისკაცებისა და მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების სისხლზე;

ავადმყოფი საზოგადოება ჩემს სამშობლოშია და არა თქვენთან, ბატონო სეოლჟენიცინო!..“

*** დანაშაული განუსაზღვრელად მაღალ დონეზეა აშშ-ში, საბჭოთა კავშირთან შედარებით:**

„...სახელდობრ ამერიკა (და არა საბჭოთა კავშირი) გადაიქცა ყველაზე მოძალადე საზოგადოებად, რომელიც კი ოდესმე ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. ამერიკა, სადაც მაფიას აქვს იმაზე მეტი ეკონომიკური ძალაუფლება, ვიდრე მსხვილ კორპორაციებს, და სადაც ჩვენს მოქალაქეებს ღამით ქუჩაში გასვლის ეშინიათ. სახელდობრ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და არა საბჭოთა კავშირში 1900 წლიდან დღემდე მოკლეს იმაზე მეტი მოქალაქე, ვიდრე პირველ და მეორე მსოფლიო, აგრეთვე, კორეისა და ვიეტნამის ომებში დაიღუპა ამერიკელი ჯარისკაცები. სწორედ ჩვენს საზოგადოებას მიაჩნია დასაშვებად, მოკლას ნებისმიერი პროგრესული ლიდერი, რომელიც გაბედავს და ხმას აღიმაღლებს ჩვენთან დამკვიდრებული უსამართლობის წინააღმდეგ. აი როგორია ავადმყოფი საზოგადოება, ბატონო სოლჟენიცინო!..“

*** აშშ-ში შავკანიანთა მასობრივ დისკრიმინაციაზე:**

„...თქვენ ლაპარაკობთ რასობრივ სიძულვილზე. ამერიკაში (და არა საბჭოთა კავშირში) 200 წლის განმავლობაში არავინ დასჯილა შავკანიანთა მკვლელობებისთვის, რომლებიც ნახევრად მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან ამერიკაში და არა საბჭოთა კავშირში, პოლიცია განურჩევლად სცემს და აპატიმრებს ნებისმიერ შავკანიანს, რომელიც შეეცდება თავისი უფლებების დაცვას.

„ამერიკული სიტყვის თავისუფლების“ 200 წლის შემდეგ აშშ-ის ბევრ რაიონში მიაჩნიათ, რომ შავკანიანის მკვლელობა იგივეა, რაც დათვზე ნადირობა“...

სხვათა შორის, ეს თემა დღესაც ზეაქტუალურია ამერიკულ სინამდვილეში.

*** მედიცინაზე ღარიბებისთვის და უმუშევრობაზე:**

„...თქვენ ამბობთ, რომ „სიტყვის თავისუფლება, პატიოსანი და სრული თავისუფლება სიტყვისა პირველი პირობაა ნებისმიერი საზოგადოების ჯანმრთელობისა. თქვენი აზრები გაუზიარეთ იმ ადამიანებს, რომელთა „ჯანმრთელობაც“ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მათი შვილებიდან ყოველი მეორე დაბადებისთანავე იღუპება, რადგან მშობლებს არ აქვთ ფული ექიმისთვის, და მთელი სიცოცხლის განმავლობაში იტანჯებიან, რადგან არ აქვთ სამედიცინო მომსახურება. უთხარით ამის შესახებ კაპიტალისტურ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებს, რომელთა „ჯანმრთელობა“ მდგომარეობს იმაში, რომ მთელ ცხოვრებას უმუშევრად დარჩენის შიშში ატარებენ...“

*** განათლებაზე აშშ-ში:**

„...მოუყევით კაპიტალისტური სამყაროს ადამიანებს



**«თქვენი ქვეყანა (სსრკ) მიისწრაფვის კაცობრიობისთვის სწორი ნაბიჯების გადადგმისკენ და, თუკი ის რაღაცაში სრულყოფილი არ არის და ზოგჯერ წაიბორძიკებს კიდეც, ჩვენ მთელი სისტემა კი არ უნდა დავგმოთ ამ ნაკლოვანებებისთვის, არამედ მივესალმოთ მას გაბედულებისა და ახალი გზის გაკვალვის მცდელობისთვის»**

**«ბატონო სოლჟენიცინო, სიტყვის თავისუფლების თქვენეული განსაზღვრება, როგორც ჯანმრთელობის პირველი პირობისა, მცდარია. პირველი პირობა არის ის, რომ ქვეყანა უნდა აშენდეს მორალურად, გონებრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, იმისათვის, რომ მის მოქალაქეებს შეეძლოთ კითხვა, შრომა და ერთად მშვიდობიანი ცხოვრება»**



თქვენი იდეის — „სიტყვის თავისუფლების, როგორც ჯანმრთელობის პირველი პირობის“ — შესახებ, თუ უფულობის გამო მათი შვილებს არ აქვთ გონებრივი განვითარების საშუალება სკოლაში და ამიტომ ვერასოდეს შეძლებენ წერა-კითხვის სწავლასაც კი! თქვენ ლაპარაკობთ სიტყვის თავისუფლებაზე მაშინ, როცა დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ლაპარაკობს სიტყვის წაკითხვის შესაძლებლობაზე!..“

*** ერთმანეთს ადარებს პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებულია საბჭოთა და აშშ-ის საზოგადოებები:**

„...საბჭოთა კავშირში არის უსამართლობები და ნაკლოვანებები, მაგრამ სამყაროში ყველაფერი შედარებითია, პრინციპში, **თქვენი საზოგადოება (გულისხმობს საბჭოთა კავშირის საზოგადოებას) მიისწრაფვის ნამდვილად ჯანმრთელი და სამართლიანი საზოგადოების შექმნისკენ. პრინციპები, რომლებზეც აგებულია თქვენი საზოგადოება, ჯანმრთელი, სუფთა და სამართლიანია. ხოლო პრინციპები, რომლებზეც აგებულია ჩვენი საზოგადოება, სასტიკი, ანგარებიანი და უსამართლოა.** სამართლიან საწყისებზე აშენებულ საზოგადოებას უეჭველად უფრო დიდი პერსპექტივა აქვს, მივიდეს სამრათლიან საზოგადოებამდე, ვიდრე იმ საზოგადოებას, რომელიც შენდება უსამართლობასა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე. საზოგადოება და მთავრობა ჩემი ქვეყნისა (გულისხმობს აშშ-ს) დროს ჩამორჩა, იმიტომ, რომ მისი ერთადერთი მიზანია მსოფლიოში სტატუს-კვოს შენარჩუნება. თქვენი ქვეყანა (სსრკ) მიისწრაფვის კაცობრიობისთვის სწორი ნაბიჯების გადადგმისკენ და, თუკი ის რაღაცაში სრულყოფილი არ არის და ზოგჯერ წაიბორძიკებს კიდეც, ჩვენ მთელი სისტემა კი არ უნდა დავგმოთ ამ ნაკლოვანებებისთვის, არამედ მივესალმოთ მას გაბედულებისა და ახალი გზის გაკვალვის მცდელობისთვის.

*** იმ უპირატესობაზე, რომლებსაც აძლევს საბჭოთა საზოგადოება რიგით მოქალაქეს:**

„...არა, ბატონო სოლჟენიცინო, სიტყვის თავისუფლების თქვენეული განსაზღვრება, როგორც ჯანმრთელობის პირველი პირობისა, მცდარია. პირველი პირობა არის ის, რომ ქვეყანა უნდა აშენდეს მორალურად, გონებრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, იმისათვის, რომ მის მოქალაქეებს შეეძლოთ კითხვა, შრომა და ერთად მშვიდობიანი ცხოვრება...“

დინ რიდმა საკადრისი პასუხი გასცა ცილისმწამებელ სოლჟენიცინს, მაგრამ საქმე ახლა სხვა რამ არის: ბევრი ნეგატიური ასპექტი, რომლებზეც ლაპარაკობდა ამერიკელი მომღერალი და მსახიობი 1971 წელს, რუსეთშიც შეინიშნება. დინ რიდს იმედი გაუცრუვდებოდა იმის გამო, რომ მისი იდეალი — საბჭოთა კავშირი — აღარ არსებობს და იმის გამოც, რაც დღეს თანამედროვე რუსეთში ხდება...“

**«თქვენი საზოგადოება (გულისხმობს საბჭოთა კავშირის საზოგადოებას) მიისწრაფვის ნამდვილად ჯანმრთელი და სამართლიანი საზოგადოების შექმნისკენ. პრინციპები, რომლებზეც აგებულია თქვენი საზოგადოება, ჯანმრთელი, სუფთა და სამართლიანია; ხოლო პრინციპები, რომლებზეც აგებულია ჩვენი საზოგადოება, სასტიკი, ანგარებიანი და უსამართლოა»**

**zen.yandex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იალტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ყველა ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა მიერ კონტროლირებად ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა, გადაეცათ სსრკ-ისთვის; მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველი ლეგიონერებიც.**

# დიდი ომის ნამსხვრევები

დასასრული. დასაწყისი იხ. №18, 2021 წ.

**ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში ვწერდით, რომ ამ მიმოხილვის გამოქვეყნება (22 ივნისამდე) დაგვაჩქარებინა თბილისში მოარულმა ხმამ, თითქოს ვაკის გამარჯვების პარკის უცნობი ჯარისკაცის მემორიალის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს XX საუკუნეში გამართულ ომებში დაღუპული გმირების მემორიალად გადასაკეთებლად.**
**ყველასი!**
**მიუხედავად იმისა, ვის მხარეს იბრძოდნენ!**

ნუ გვაგლოვინებთო, ვითარცა გმირებს, სამშობლოს მოღალატე ქართველ კოლაბორაციონისტებს, რომლებიც, ფაშისტური რაიხის ქვედანაყოფებში გადასულ-გადაბირებულები, დაუნდობლად ხოცავდნენ ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტებს! ასეთი იყო ჩვენი პუბლიკაციის პათოსი. რეაქცია ხელისუფალთა (თუნდაც ავტორების) მხრიდან, იგნორირების წესისამებრ, — ნულოვანი! რაო, უკვე გადმოვიღეთ და დავამკვიდრეთ ნეოლიბერალური „საყოველთაო ტოლერანტობის“ თუ მიმტევებლობის პრაქტიკა?

**მაშ, განვაგრძოთ ფაქტების ციტირება წიგნიდან „ვირთხისტყაოსანი ბანდიტი“.**

**უკომენტაროდ!**

1944 წლის 9 დეკემბერს SS-ის ჯარების მთავარ შტაბთან არსებული III აღმოსავლეთის შტაბის უფროსს, დოქტორ **არტლედს** ზემდგომმა ინსტანციებმა ნება დართეს, აღერიცხა გერმანიის ბანაკებში მყოფი ყველა კავკასიელი, რომლებსაც თავს მოუყრიდნენ ერთ ბანაკში და გამოიყენებდნენ SS-ის კავკასიის დივიზიის შესავსებად. ამრიგად, კავკასიელები უნდა განეცალკევებინათ დანარჩენი ტყვეების მასისგან, რათა ქართულ შტაბს საშუალება მისცემოდა, მეტი ყურადღება დაეთმო თანამემამულეებისთვის. ამასთან ერთად, კატეგორიულად აიკრძალა კავკასიელების გადაბირება გენერალ ვლასოვის რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში.

**SS-ის ჯარების კავკასიური გაერთიანების შექმნის ბრძანება გიმლერმა 1944 წლის დეკემბერში გასცა.**

**აღნიშნული გაერთიანება, რომელიც, აგრეთვე, მოიხსენიებოდა, როგორც SS-ის ჯარების ცხენოსანთა დივიზია, აერთიანებდა ოთხ საბრძოლო ჯგუფს კავალერიის პოლკების დონეზე.**

1944 წლის 31 ოქტომბრისთვის საბრძოლო ჯგუფების მეთაურების კანდიდატები უკვე შერჩეული ჰყავდათ. კერძოდ, აზერბაიჯანის პირველი ჯგუფის მეთაურად შეარჩიეს პოლკოვნიკი **ისრაფილ-ბეი,** მეორე ჩრდილოკავკასიური ჯგუფის მეთაურად — პოლკოვნიკი **ქუჩუქ-უგალაი,** მესამე სომხურის — პოლკოვნიკი **სარქსიანი, მეოთხე ქართული ჯგუფის — პოლკოვნიკი, თავადი ფრიდონ წულუკიძე, რომელსაც, ისევე, როგორც მის კოლეგებს, SS-ის ვაფენ-შტარდანტენ ფიურერის წოდება მიანიჭეს.**

SS-ის ჯარების კავკასიელთა გაერთიანების მეთაურად დანიშნეს ბალტიელი გერმანელი, შტანდარტენფიურერი **ა. ტოიერმანი.** დივიზიის დისლოკაციის ადგილად შეარჩიეს ჩრდილოეთ იტალიის მაღალმთიანეთში ქალაქი პოლუცო.

კადრები შეარჩიეს დასავლეთის ფრონტზე დამარცხებული აღმოსავლური ფორმირებების მოსამსახურეებს შორის, ასევე, კავკასიელები, რომლებიც სამხედრო ტყვეთა ბანაკებში 1944 წელს გადაიბირეს.

**ქართული პოლკის ძირითად ბირთვად შეიკრა ჯგუფის ქართული ასეული „კ“ („კავკასია“), რომელიც ჯერ კიდევ 1942 წლის შემოდგომაზე იყო ჩამოყალიბებული კელცის ბანაკში კავკასიის ოკუპირებულ რაიონებში პოლიციური მოვალეობის შესასრულებლად.** 1944 წლის ნოემბრისთვის სწავლების კურსი პირველმა დაამთავრა ქართულმა საბრძოლო ჯგუფმა, რომლის მეთაურად ფრიდონ წულუკიძე ოფიციალურად 1945 წლის 1 თებერვალს დაამტკიცეს. მანმადე, 1944 წლის 1 აგვისტოდან იგი SS-ის ცხენოსანთა დივიზია „ფლორიან გეიერის“ მერვე სათადარიგო-სასწავლო ესკადრონის რეზერვის ოფიცრად მსახურობდა და მონაწილეობდა ქართული საბრძოლო ჯგუფის სწავლებასა და ფორმირებაში.

1945 წლის დასაწყისისთვის პირადი შემადგენლობის სამი ათასი კაცის ნაცვლად, რაც საშტატო განრიგით იყო გათვალისწინებული, გერმანელებმა მხოლოდ 800-ის შეგროვება შეძლეს. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, სარდლობამ დაიწყო სამი ესკადრონის ფორმირება, რომლებსაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელები მიანიჭეს: „ტარიელი“, „ავთანდილი“ და „ფრიდონი“.

ომის დამთავრებამდე SS-ის ჯარების გაერთიანება სრულად მაინც ვერ შეივსო — ტყვე ქართველების რესურსი ამოეწურათ, რეზერვი ვეღარ ივსებოდა — საბჭოთა არმია, რომელშიც ქართველი ვაჟკაცები გმირულად იბრძოდნენ, გამარჯვების დღეს აახლოებდა.

გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მოხალისეთა დივიზიის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ სამ მსხვილ ოპერაციაში, რომლებიც მიმართული იყო მწვანე და წითელი იტალიელი პარტიზანების წინააღმდეგ.

1945 წლის აპრილისთვის ჩრდილოეთ იტალიაში კავკასიური გაერთიანების მდგომარეობა სრულიად უიმედო გახდა. ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა.



ქართველები SS-ელთა რიგებში



კოლაბორაციონისტების ქართული ქორწილი

**ქართული პოლკის ძირითად ბირთვად შეიკრა ჯგუფის ქართული ასეული «კ» («კავკასია»), რომელიც ჯერ კიდევ 1942 წლის შემოდგომაზე იყო ჩამოყალიბებული კელცის ბანაკში კავკასიის ოკუპირებულ რაიონებში პოლიციური მოვალეობის შესასრულებლად**

შექმნილ ვითარებაში ქართული საბრძოლო ჯგუფის სარდლობამ, ვაფენ-შტანდარტენფიურერ ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით, გადაწყვიტა, იარაღით ხელში გადასულიყო ანტიკომუნისტური პარტიზანულ ბრიგადა „ოზოპოს“ მხარეს. **ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო SS-ის ქართული საბრძოლო ჯგუფის სარდლობასა და იტალიელ ანტიკომუნისტურ პარტიზანებს შორის, ხაზგასმულად იყო აღნიშნული, რომ ქართველები ამ მოძრაობას უერთდებიან ადგილობრივი კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების მიზნით. გერმანიის ჯარების წინააღმდეგ რაიმე ქმედება გამორიცხული იყო. 150 ქართველი შეუერთდა იტალიელ გარიბალდიელ პარტიზანებს.**

მიუხედავად იმისა, რომ 1943 წლის ბოლოსთვის თითქმის ყველა ქართული ფორმირება გადაიყვანეს დასავლეთის ფრონტზე, 1944-1945 წლის ზამთარში ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და ჩრდილოკავკასიური ლეგიონების კადრების საფუძველზე ნოიხამერის საწვრთნელ ბაზაზე ჩამოყალიბდა მე-12 კავკასიური ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი გაერთიანება. **ამ ქვედანაყოფში შედიოდა ქართული გამანადგურებელი ნაწილი ლეიტენანტ შალვა ოქროპირიძის მეთაურობით.**

კავკასიური ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი გაერთიანება, რომელსაც ქართველი ოფიცერი მეთაურობდა, 1945 წლის მარტ-აპრილში მონაწილეობდა არმიის დაჯგუფება „ვისლის“ მიერ წარმოებულ ბრძოლებში.

შემდგომში ეს გაერთიანებები, ისევე, როგორც აღმოსავლეთით დარჩენილი სხვა ნაწილები, მოხალისეთა გაერთიანებების გენერალ **ე. კესტრინგის** დახმარებით აღმოსავლეთის ფრონტიდან დანიაში გადაიყვანეს.

იალტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ყველა ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა მიერ კონტროლირებად ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა, გადაეცათ სსრკ-ისთვის; მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველი ლეგიონერებიც.

ლეგიონერების უმრავლესობამ არ იცოდა, რა ბედი ელოდა სამშობლოში დაბრუნებულებს და უპრობლემოდ ბარდებოდა დასავლელ მოკავშირეებს, იმედოვნებდნენ, რომ, სულ ცოტა, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. თუმცა არც სხვა სიტუაციები იყო გამორიცხული. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ „ფსიქოლოგიური ბრძოლის“ წარმოების ხარვეზები, როგორიც იყო 1945 წლის მარტში მოკავშირეების მიერ სამი სომხური და ერთი ქართული ლეგიონის პოზიციებზე პროპაგანდისტული ფურცლების ჩამოყრა, რომლებითაც გერმანელების მხარეს ომის დასაწყისში გადასულ ან გერმანელების მიერ გადაბირებულ წითელარმიელებს მოუწოდებდნენ, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ბრძოლა და ტყვედ ჩაბარებულიყვნენ. გარანტიას აძლევდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ მათ დაბრუნებას სამშობლოში. ძნელად გასაგები არ უნდა იყოს, რატომ იბრძოდნენ უკანასკნელ კაცამდე ეს ბატალიონები.

**ქართული ლეგიონის ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობას არ გაუზიარებია ეს „გაფრთხილება“ და იარაღით ხელში ტყვედ ჩაბარდა დასავლეთის ფრონტზე. თუმცა ისიც იყო, რომ ქართველების ერთი ბატალიონი, რომელიც კუნძულ ტექსელზე იყო განლაგებული, აჯანყდა ოკუპანტი გერმანელების წინააღმდეგ. 800-მდე ქართველი ლეგიონერი, კაპიტან ლოლაძის მეთაურობით, ორი კვირის განმავლობაში ებრძოდა ფაშისტებს, შემადგენლობის ორი მესამედი შეეწირა ამ უკანასკნელ ომს და ჩაბარდა კუნძულზე გადმოსხმულ კანადელებს. ლეგიონერების მნიშვნელოვანი ნაწილი (მოკავშირეთა მხარეს გადასულ ტექსელელთა ჩათვლით) შემდგომში გადაეცა საბჭოთა კავშირს.**

ორიოდ სიტყვა SS-ის ჯარების კავკასიური გაერთიანების წოდებების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ.

1944 წლის 24 ნოემბერს SS-ის მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსმა, დოქტორმა **რ. ოლცშმა** წარადგინა მოხსენება აღნიშნული ნიშნების შესახებ. ვერმახტის ქართველი ლეგიონერებისთვის, ქართული საბრძოლო ჯგუფისთვის გათვალისწინებული იყო ქართული ეროვნული ფერების სამკლაურის ტარება წარწერით, SS-ის ჯარების შემადგენლობაში ყოფნის საჩვენებლად ქართველებს უნდა ეტარებინათ შავი ნიშანი კავკასიური ფარისა და ხანჯლის გამოსახულებით, ასევე შავი სამკლაური ლენტი ვერცხლისფერი ასოებით ამოქარგული წარწერით „Waffengruppe Georgien“.



ამათ რაღა უხარიათ...

# „აპრილის დასასრულს კედიამ ამერიკის რეზიდენტს გადასცა განსაკუთრებული მემორანდუმი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ უახლოეს მომავალში, როცა მოკავშირეები აუცილებლად დაუპირისპირდებოდნენ სტალინს, ეს ადამიანები (კოლაბორაციონისტები) „დასავლეთის ყველაზე უფრო ერთგული მომხრეები იქნებიან“

25-ე ბვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გარკვეული დროის განმავლობაში აღმოსავლეთ ლეგიონერებს არ უნდა ჰქონოდათ პრეტენზია გერმანულ ჯილდოებზე, რომლებიც „უმაღლესი რასის“ პრეროგატივად იყო მიჩნეული, ამიტომ 1942 წლის ზაფხულში დააწესეს „აღმოსავლეთის ხალხებისთვის“ განკუთვნილი იაფფასიანი ჯილდო — მედალი რაღაც გაუგებარი ორნამენტით. ამ მედალს ჰქონდა რამდენიმე ხარისხი. მხოლოდ 1944 წლის ზამთარში, როცა გერმანელების დამარცხება გარდაუვალი გახდა, „აღმოსავლელთა“ ერთგულების წასახალისებლად მათი გერმანული საბრძოლო ნიშნებით დაჯილდოება დასაშვებად მიიჩნიეს.

## პრონაცისტი ემიგრანტი ქართველები ფაშისტების სამსახურში

ქართული ემიგრაციის გარკვეული ფენა 1940 წლის ბოლოსთვის საფრანგეთში იყო თავმოყრილი. დასავლეთში გერმანული ბლიცკრიგის შემდეგ, 1940 წლის ივლისში, აბვერის ოფიცრების: **ვ. მერკეტისა** და **გ. რაუპახის** დახმარებით **პარიზში შეიქმნა ქართული ბიურო, რომლის ხელმძღვანელად დანიშნეს მიხეილ კედია (იგი გერმანიაში ცხოვრობდა და ჯერ კიდევ 1938 წლიდან ყველა ქართველი ემიგრანტის ერთიან პროგერმანულ მოძრაობაში თავმოსაყრელად იღწვოდა).** ბიურო მოწოდებული იყო ემიგრანტული ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კოორდინაციისთვის საფრანგეთში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარ დაპირისპირებაში ჩართვის მოსასინჯად.

ქართული ემიგრაციის მდგომარეობა რამდენადმე გართულებული იყო იმის გამო, რომ ჯერ კიდევ 1940 წლის თებერვალში „დევნილობაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ“ განაცხადა, რომ სრულად უჭერს მხარს ინგლის-საფრანგეთის ბლოკს. **კედიას უნდა გაენეიტრალებინა თანამემამულეების ანტიგერმანული განწყობილება, რისი გაკეთებაც მან შეძლო — ქართველები ნაცისტების მხარეს გადასასვლელად დაიყოლია. კედიას მფარველად მოევლინა მესამე რაიხის სპეცსამსახურების ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანი, „ცეპელინის“ ხელმძღვანელი, SS-ის ობერშტურმანფიურერი, დოქტორი გეორგ გრეიფი.**

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ კედია ქართული კოლაბორაციული მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრალური როლის შემსრულებლად მოგვევლინა. ნიშანდობლივია, რომ ამ ამპლუაში **მას მხარს უჭერდა ყოფილი მენშევიკი ნოე ჟორდანია. სოციალ-დემოკრატებმა მიხეილ კედიას გადასცეს თავიანთი სადაზვერვო ქსელი, საქართველოში იატაკქვეშა ორგანიზაციების ჩათვლით. ჟორდანიას დაჟინებული თხოვნით, ქართული ემიგრაციის შეძლებულმა ადამიანებმა კედიას გადაურიცხეს მნიშვნელოვანი თანხა.**

**საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთით აგენტი-დივერსანტების საქართველოში შეგზავნის ოპერაციების წარმატებით განხორციელების შედეგად კედიამ ავტორიტეტი მოიხვეჭა გერმანიის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის, SS-ის ბრიგადენფიურერის — ვალტერ შელენბერგის თვალში.**

**1941 წლის თებერვალში კედია აქტიურად მონაწილეობდა დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფ „თამარ II-ის“ შექმნაში, რომლის მოთარეშენი დივერსიების განსახორციელებლად კავკასიაში შემოაგზავნეს.**

ნაცისტური საოკუპაციო პოლიტიკის ორბიტაში თანამემამულეთა ჩასართავად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, აგრეთვე, 1942 წელს გერმანიაში ჩამოყალიბებულმა ე.წ. ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე იყო პროფესორი **მიხეილ წერეთელი.** ბევრის მიმანიშნებელია, რომ კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ არა მხოლოდ ქართველი ფაშისტები (ისეთები, როგორიც ქართული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი **კალისტრატე სალია** იყო), არამედ ნაციონალ-დემოკრატები: **გიორგი მაღალაშვილი, სპირიდონ კედია** (მიხეილ კედიას მამა) და **ზურაბ ავალიშვილი.**

ამ კომიტეტის წევრებისა და აღმოსავლეთ სამინისტროს ქართველი თანამშრომლები ყოველგვარ ზომებს იღებდნენ ამიერკავკასიაში ვერმახტის შეღწევის შემთხვევაში საქართველოში მძლავრი კოლაბორაციონისტური მოღვაწეობის გასაშლელად.

ამ მიზნით 1942 წლის ზაფხულში მიხეილ კედიას, „ცეპელინისა“ და იმპერიული უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოფიცრების მონაწილეობით ჩამოყალიბდა საგანგებო სამუშაო ჯგუფი — „ზონდერშტაბი კავკასია“, რომლის უშუალო მოვალეობა იყო, ამიერკავკასიაში ვერმახტი თუ შეაღწევდა, მოემზადებინა სამხედრო-პოლიციური ფორმირებები, ასევე, კოლაბორაციული ადმინისტრაციული აპარატის ბირთვი. საამისო ძირითადი კადრები უნდა შეერჩიათ კავკასიური ეროვნებების სამხედრო ტყვეებს შორის, რომლებიც დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი ჩრდილოეთ კავკასიის ბანაკებში.

კედიას პროტექციით, „ზონდერშტაბის“ ქართული ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი **სპირიდონ ჭავჭავაძე.** ქართული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ქართველი ნაციონალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი **ალექსანდრე ასათიანი,** ასევე, **დიმიტრი სინჯიკაშვილი** და **ალექსანდრე ცომაია.**

1943 წლის ოქტომბერში მესამე რაიხის ხელისუფლებამ ქართული ეროვნული კომიტეტის ნაცვლად გადაწყვიტა ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა უფრო მკაფიო და კონკრეტული უფლებებით.

ამ დროისთვის კავკასიური ეროვნული ნაწილების ფორმირება, რომლებიც თავის რიგებში 100 ათასზე მეტ კაცს ითვლიდა, აპოგეას აღწევს. ვინაიდან ბერლინი კატეგორიულად არ ცნობდა კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობას, რაიხსმინისტრმა **როზენბერგმა** გადაწყვიტა კავშირის დამოუკიდებელი შტაბების შექმნა. ამ სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირების გასაძლიერებლად გადაწყდა ამ გაერთიანებებში სამუშაოდ არა მხოლოდ ემიგრანტების მიწვევა, არამედ ყოფილი სამხედრო ტყვეების ჩაბმაც. ეროვნული კომიტეტებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ქართული ემიგრაციის უფროსი თაობის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, კავშირის შტაბები შეავსეს ახალგაზრდა თაობის ემიგრანტებით, რომლებიც უფრო გამოსადეგნი იქნებოდნენ კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოზე.

შტაბის ყოველწლიური ბიუჯეტი, რომელიც აღმოსავლეთის სამინისტროს მიერ იყო გამოყოფილი, შეადგენდა 300 ათას რაიხსმარკას, შემდეგ კი — 600 ათასამდე გაიზარდა.

**შტაბის წარმომადგენლად და სამოქალაქო განყოფილების ხელმძღვანელად ითვლებოდა დოქტორი გიორგი მაღალაშვილი, პოლიტიკური განყოფილების — მიხეილ კედია, სამხედროსი — ქართულ ბატალიონ „ბერგამონ-I“-დან გადაყვანილი ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი. განყოფილების საფინანსო მეურნეობას სათავეში ჩაუდგა მიხეილ ალშიბაია.**

1944 წლის ოქტომბერში SS-ის მთავარი სამმართველოს უფროსის, ობერშტურმანფიურერისა და გენერლის — გ. ბერგერის მხარდაჭერით, აირჩიეს კავკასიის ეროვნული საბჭო, რომლის წევრები გახდნენ **მ. კედია, ა. ალიბეკოვი, ა. ჯამალიანი** და **ა. კანტემირი.** საბჭოს მდივანი გახლდათ **მ. ალშიბაია.** სამხედრო კოლაბორაციონალიზმის კოორდინაციის მიზნით ჩამოაყალიბეს კავკასიის სამხედრო საბჭო, რომლის მოვალეობა იყო „კავკასიის გამათავისუფლებელი არმიის“ შექმნა, მაგრამ ამ დაჯგუფების შემადგენლობაში შესაძლებელი გახდა უკრაინის, ბელორუსიის, კავკასიის, თურქესტანის, ასევე, ვოლგისპირა და ყირიმის თათრების წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილის შეკრება.

1945 წლის დასაწყისში, როცა აშკარა გახდა გერმანიის დამარცხება, კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელები (უწინარესად, მიხეილ კედია) შეეცადნენ, კავშირი დაემყარებინათ დასავლელ მოკავშირეებთან. საფრანგეთში მათ გადმოსხდომამდე მიხეილ კედია და ალექსანდრე ცომაია, აბვერისა და ვერმახტის მაღალი თანამდებობის ოფიცრების მხარდაჭერითა და აშშ-ის სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს აგენტ **იური სკარჟინსკის** მეშვეობით შეეცადნენ დასავლეთის დაზვერვის წარმომადგენლებთან კავშირის დამყარებას.

სკარჟინსკის ლეგენდის შესამუშავებლად იგი გადაიბირა გერმანიის საგარეო დაზვერვამ. თავიანთი მფარველების დახმარებით კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელებმა სამჯერ იხსნეს სკარჟინსკი გესტაპოს მიერ დაპატიმრებისგან, რომელმაც თავისი არხებით შეიტყო, რომ ეს აგენტი წარმატებით ასრულებდა კედიას და დასავლელი მოკავშირეებს შორის შიკრიკის როლს.

1945 წლის აპრილის დასაწყისში მიხეილ კედიამ, ასევე, ეროვნული კომიტეტების სხვა ხელმძღვანელებმა შეძლეს თავიანთი გერმანელი კურატორების დარწმუნება შვეიცარიაში ხანმოკლე გამგზავრების ნება რომ დაერთოთ. რაიხის წარმომადგენლებს აცნობეს, რომ კომიტეტების ხელმძღვანელები თითქოს აპირებდნენ მოხალისეების მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების პრობლემაზე საუბარს.

ჟენევაში შეხვედრის ჭეშმარიტი მიზანი კავკასიის, უკრაინისა და თურქესტანის კომიტეტების წარმომადგენელთა ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრა კოლაბორაციონისტების საბჭოთა კავშირში შესაძლო რეპატრიაციის თავიდან აცილების შესახებ მოლაპარაკება და დასავლეთის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში მათი გამოყენების საკითხი იყო. ჟენევის სასტუმრო „ანგლეტერში“ უმკაცრესად გასაიდუმლოებული შეხვედრის ორგანიზებაში კოლაბორაციონისტებს დაეხმარა აშშ-ის დაზვერვის სამმართველოს რეზიდენტი შვეიცარიაში **ალენ დალესი.**

აპრილის დასასრულს კედიამ ამერიკის რეზიდენტს გადასცა განსაკუთრებული მემორანდუმი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ უახლოეს მომავალში, როცა მოკავშირეები აუცილებლად დაუპირისპირდებოდნენ სტალინს, ეს ადამიანები (კოლაბორაციონისტები) „დასავლეთის ყველაზე უფრო ერთგული მომხრეები იქნებიან“. შეთანხმების შემთხვევაში კედია მზად იყო, მოკავშირეებისთვის გადაეცა მთელი თავისი სადაზვერვო ქსელი, საქართველოში არსებული არალეგალური ორგანიზაციების ქსელითურთ.

დალესმა ურჩია კედიასა და კაიუმხანს, გერმანელებისთვის დაჟინებით მოეთხოვათ ნაციონალური კომიტეტებისთვის დევნილობაში მყოფი მთავრობების სტატუსის მინიჭება. ასეთი ფორმალობის განხორციელების შემდეგ გაცილებით გაიოლდებოდა, აშშ-ის ხელისუფლებისა და დასავლეთის საზოგადოებრიობისთვის დაემტკიცებინათ, რომ დასავლეთის ფრონტის კოლაბორაციონისტები არ არიან, ჰიტლერის დაქირავებულები. ამასთან ერთად, დალესმა დაარწმუნა მოლაპარაკებაში ჩართული გერმანელები, რომ მათ შიში არ უნდა ჰქონდეთ კაპიტულაციის შემდეგ თავიანთი ბედ-იღბლისა.

**ასეთი რჩევის მიღების შემდეგ კავკასიის კომიტეტის წევრებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობა წარმართეს როზენბერგის დასარწმუნებლად, გაეცა შესაბამისი დოკუმენტი. ბოლოს და ბოლოს კავკასიელების ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდა: 1945 წლის 17 მარტს აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა რაიხსმინისტრ როზენბერგს რაიხის მთავრობამ ნება დართო, ქართული ეროვნული კომიტეტი „ქართველი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლობად ეღიარებინა“.**

**1945 წლის აპრილში ქართული კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მაღალაშვილმა ქალაქ კომელიანში, SS-ის ჯარების ქართული პოლკის ბანაკში საზეიმოდ გამოაცხადა, რომ მესამე რაიხის სულთმობრძავმა ხელისუფლებამ იურიდიულად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.**

**თქვენს მტერს ეშველოს ისე, როგორც ამ აღიარებამ თავის დროზე უშველა საქართველოს მოქალაქეებს, მაგრამ ვაი, თუ მოარული ხმა, თითქოს ქართველ კოლაბორაციონისტებს ჭეშმარიტ ქართველ გმირებთან მართლაც ერთობლივ მემორიალს უგებენ თბილისში, გამარჯვების პარკში, მაშინ ნამდვილად დამთავრდება საქართველო!**

**გაიხსენეთ დიდი ჭაბუა ამირეჯიბის შეგონება: „ფრთხილად, ქართველებო!“**

**წიგნიდან „ვირთხისტყაოსანი ბანდიტი“ მოამზადა**
**არმაზ სანებლიძე**



კუნძულ ტექსელის აჯანყებულები უკანასკნელი ბრძოლის წინ

**ქართველების ერთი ბატალიონი, რომელიც კუნძულ ტექსელზე იყო განლაგებული, აჯანყდა ოკუპანტი გერმანელების წინააღმდეგ. 800-მდე ქართველი ლეგიონერი, კაპიტან ლოლაძის მეთაურობით, ორი კვირის განმავლობაში ებრძოდა ფაშისტებს, შემადგენლობის ორი მესამედი შეეწირა ამ უკანასკნელ ომს და ჩაბარდა კუნძულზე გადმოსხმულ კანადელებს**



ტექსელის აჯანყების მონაწილენი

**1945 წლის 17 მარტს აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა რაიხსმინისტრ როზენბერგს რაიხის მთავრობამ ნება დართო, ქართული ეროვნული კომიტეტი «ქართველი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლობად ეღიარებინა»**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვიცი, – რაც უნდა გითხრა, არ გეჭაშნიკება, მაგრამ მაინც მეტი ჩარა არ არის, უნდა ეს ფიქრი გაგიზიარო, რადგან სიმართლედ, სამართლიან ფიქრად მიმაჩნია, თუმცა კი არც მე მომწონს. განა არ იცი, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ბევრი საწყალი ჰკიდია ზურგზე და ბევრი ბედნიერად მცხოვრებელი, ბევრი მშიერი, ბევრი მაძღარი. მე და შენაც ვფიქრობთ და ვამბობთ: ეს ესრე რად არისო? წარმოიდგინე, ამ საათში ფიქრმა მომიარა და ვამბობ: სწორედ ასე უნდა იყოს-მეთქი. რადა? მიტომ, რომ მადლი სუფევდეს ქვეყანაზე, ვხედავდეთ შეწევნას, შველას, შებრალებას. დაჩაგრულობა, ბეჩაობა რომ არ იყოს ქვეყანაზე, გრძნობას კაცთმოყვარულს, გრძნობას შებრალებისას რაშიღა უნდა ევარჯიშნა?

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ჩვენი წამხდარი საქმე», ანუ «მეორე ჯურის» კორონა

„ვგონებ შაჰ-აბაზის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გაჩენამო“, — წერდა ვაჟა-ფშაველა 1892 წელს თავის წერილში „ფიქრები (ხოლერის გამო)“. დიდი მამულიშვილის ეს წერილი მით უფრო საინტერესოა დღეს, როცა ადამიანების სიცოცხლეს ამჯერად კორონა დაემუქრა და მუსრს ავლებს; დღევანდელისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა XIX საუკუნის მიწურულის ადამიანების დამოკიდებულება და რეაქცია პანდემიისადმი, მაგრამ საინტერესოა თავად მგოსნის თვალსაზრისი შექმნილ ვითარებაზე და იმ „წამხდარ საქმეზე“, რომელსაც მგოსანი მეორე ხოლერას უწოდებს, უფრო სასტიკს, უფრო მავნებელს. მაშ, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ მეორე ხოლერას (ჩვენთვის — მეორე კორონას), რომელიც პანდემიაზე უარესია, რადგან მას ვერა და ვერ ვუპოვეთ წამალი და ვაითუ მთელი ერი იმსხვერპლოს? მოვუსმინოთ „ფიქრების“ ავტორს:

ყინულის ცეცხლი ვინა სთქვა და ჯოჯოხეთის სიკეთე?! დროა, თავიდამ მოგვშორდე, გვეყო, რაც საქმე გვიკეთე.






**«იქნებ, მკითხველო, გეგონოს, იფიქრო, მშვილდს იმიტომ ვსჭიმავდე, ისრის სროლა მეწადოს კერძო კაცისათვის? არა, თუმც კი, შეიძლება, ბევრი იყოს ღირსი ისრისა. მე პირადად საქმე უსულგულობასთანა მაქვს»**

**„ნეტავი ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა — ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში. ერთის მხრით რომ იფიქროს კაცმა, იმას დაასკვნის, რომ ალბად სხვა არაფერი უჭირს რა ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას და იმიტომ არავინა ყაყანებს, არავინ რას ამბობს, მაგრამ ამგვარი ფიქრი ტყუილი ფიქრი გამოდგება. მაშ სხვა ხოლერა არა ბუდობს ჩვენში და არ გვმუსრავს?!**

აბა გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. **ამ ხოლერას ვერ ვუპოვნეთ ვერსაიდამ წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა. ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს. რატომ ამ ხოლერაზედ არა ყაყანებს, არა ჰღალადებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოძმე? იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვენებოდეს მარტო?**

არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, ამ „ბაცილების“ დედას, და იმდენი ხმაურობა, ჟრიამული იმიტომ არც ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზედ.

ათასი უსამართლოდ დაჩაგრული დღევანდელ ჩვენის ცხოვრების გარემოებათაგან, იგივე ხოლერის მსხვერპლი, მისგან მოკლული არ არის?

მოვიგონოთ ასიათასობით უმეცარნი, უსწავლელნი, უბირნი, ცხოვრებას რომ ეთრევინებიან, სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ათენ-აღამონ, იგივე ხოლერისაგან მოკლულნი არ არიან?! მაგალითები შორს წაგვიყვანენ და, ვგონებ, ოცი თაბახიც არ ეყოფა იმათ ჩამოსათვლელად მეფელეტონეს, განაღამც ერთი გაზეთის ფელეტონი, და ამიტომ მეც თავს დავანებებ და მხოლოდ მკითხველსა ვსთხოვ, ამ გზით იფიქროს და თვითონაც მრავალი მაგალითი წარმოუდგება თვალწინ“.

მაგალითები, იცოცხლე, ბევრი გვაქვს, მაგრამ აქ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით, უბრალოდ, ისევ დიდ მგოსანს დავიმოწმებთ, რომ **„საცა უსამართლობა მძვინვარებს, საცა აჯამობა დაყიალობს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა, ნამდვილი ხოლერაც იქა ბუდობს. მიკვირს და ვფიქრობ: თუ ეს სიცოცხლის მომსპობი ხოლერა გვაყაყანებს მეთქი, ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალმკვდრადა ჰხდის, რატომ არაფერს გვათქმევინებს, ხმას არ ამოგვაღებინებს ასეთის ჭეხა-ქუხილით, როგორც პირველი ჯურის ხოლერა?! რად მინდა ისეთი სიცოცხლე, რომ ვგრძნობდე თავის სიკვდილს, მკვდარი ვარო, ვამბობდე? აქ არის ხოლერა, აქა!**

ამ წინაზედ ჩემის მეგობრის წერილი მომივიდა. ხოლერა ჩვენც გვესტუმრაო, მწერდა, იქნება მეც მიმსხვერპლოს და ეს ჩემი წერილი უკანასკნელიღა იყოსო. სიკვდილი სიკვდილიაო, მაგრამ რად უნდა მოვკვდე ისე, რომ ჯერ არაფერი გამიკეთებია, ჩემის ქვეყნისათვის არაფერი მირგიაო. ამ სიტყვებმა დამაფიქრა, მართლაც, ესეც ერთი უმადურობა უნდა იყოს წუთისოფლისა; გაისტუმროს ისეთები, ვისაც რამ შეუძლიან არგოს ქვეყანას, ვისაც გული ერთიორად სტკივა სიკვდილის დღეს, ვკვდები და კი არაფერი გამიკეთებიაო, არაფერს კეთილად მოსაგონებელს არა ვსტოვებ წუთისოფელშიო. სიკვდილი ხომ სიკვდილია, და ამ ფიქრის გამო, სიკვდილს მეორე სიკვდილიც ზედ ერთვის.

დღეს შევიტყე, რომ ჩემი მეგობარი ხოლერას გადარჩენია, არც ტყეში გაქცეულა დასამალად, როგორც სხვები გარბოდენ თხებივით, და ვნახოთ ერთი, რა საქმეს დაიწყობს ქვეყნის სასარგებლოდ. თუ მართლა გააკეთა რამ, ნეტავი ჩემს ორსავ თვალებს და, თუ ტყუილი აღთქმა გამოდგა, მაშინ პირველი მე ვიტყვი, ნეტავი ხოლერას გადაეტანე, რაკი მაგისთანა უკეთური გამოხვიდოდი-მეთქი. მაშინ აშკარად დავრწმუნდები, რომ ჩემს მეგობარს მარტო ქვეყნის მოტყუება სდებია გულში და „უკანასკნელად“ იმიტომ მწერდა წერილს, რა არის ეს წერილი, თუ ვინიცობაა ჩემს მეგობარს ხოლერა შეიწირავდა, მე გაზეთში გამომექვეყნებინა: აი, რასა მწერდა ესა და ეს, რა წადილი ჰქონდა გულში და რა საქმე გვიყო ამ წყეულშეჩვენებულმა ხოლერამ, რა კაცი დაგვაკლოვო. სხვა ან კი რა მეთქმებოდა?! ესეც სახელია, მაგრამ წუთისოფლისათვის მოპარული, დაუმსახურებელი, არამი სახელი!

* * *

**დღეს ერთი ხოლერა მიიპარება, თითქმის გაიპარა კიდეც, გვრჩება მხოლოდ მეორე ჯურის ხოლერა და ეხლა იმას ვებრძოლოთ, იმის წამალიც მოვსძებნოთ, იმაზედაც ვიფიქროთ: გაზეთებმაც, დროა, პირველს თავი დაანებონ და მეორეს მიაპყრან თვალი, იმ ჩუმ-ჩუმად მძრომელს, რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს კი ამრავლებს. ეგები ესეც მოვიშოროთ თავიდამ. მაშინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედამიწის ზურგიდამ. აქაც საჭიროა ყაყანი და იგივე ყაყანი; მასთან ერთად ხელებისა და ტვინის ფათურიც, თორემ მარტო ცარიელს ყაყანში არაფერი მოიხვეტება, როგორც კალიისაგან განადგურებულს მიწაზე“.**



**«საცა უსამართლობა მძვინვარებს, საცა აჯამობა დაყიალობს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა, ნამდვილი ხოლერაც იქა ბუდობს... აქ არის ხოლერა, აქა!»**

## როცა საქმე უსულგულობასთან გვაქვს...

ცარიელ ყაყანს, წლებია, ისმენს ერი ხან ვისგან და ხან ვისგან.

და რა არის მიზეზი ამ სიცარიელის?

ის, რომ „არ უდევს ყველას სული და გული, თუმცა ყველა ცოცხალი ადამიანი ჰსუნთქავს და ფეხზე დაიარება“; არ აკეთებს თავის საქმეს სულითა და გულით და საქმე გვაქვს უსულგულობასთან.

**„იქნებ, მკითხველო, გეგონოს, იფიქრო, მშვილდს იმიტომ ვსჭიმავდე, ისრის სროლა მეწადოს კერძო კაცისათვის? არა, თუმც კი, შეიძლება, ბევრი იყოს ღირსი ისრისა. მე პირადად საქმე უსულგულობასთანა მაქვს და არა სხვასთან ვისთანმე. ვებრძვი უსულგულობას და ვებრძვი ჩემს თავს, რადგან მინდა ორიგინალური რამე ვსთქვა ორიგინალურადვე. მაშ დავიწყოთ“.**

სული და გული იმ ადამიანისა, რომელსაც პრეტენზია აქვს ხალხისა და ქვეყნის გულშემატკივრობის, „იქიდამა სჩანს, აქვს რამე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე თუ არა. **თავი და თავი აზრი მიწის შვილთა, ჩემის ფიქრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიავ-სიკეთე“ („ფიქრები“, 1891წ.).** ვაჟა-ფშაველას, ისევე როგორც აკაკისა და ილიას, ერისთვის „ტანჯვის ცრემლის მოწმენდა“ მწერლის და, საერთოდ, იმ ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, რომელსაც სურს, „რომ წარუძღვეს წინა ერსა“(ილია). ამ ადამიანის გრძნობა ხალხს უნდა დაჰფოფინებდეს, „თვით ცხოვრებიდამვე გამომდინარი, თვით ცხოვრებისაგან შობილი“. უამისოდ მისი ხმა ყველასათვის გაურჩეველი, გაურკვეველი და გაუგებარია.

**„ბევრი რამ გამიგონია ჩვენს მწერლობაში ჩვენის მწერლებისაგან უსულგულოდ ნათქვამი სიტყვა, უმარილო, უგემური, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ გულიდამ ჟანგი გადასწმინდოს კაცსა, უფრო უმატებს ჟანგსა და ობსა.** ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მარტო უგემური სიტყვა გვესმოდეს; უგემურთან მადლიანი სიტყვაც ბევრი გაგვიგონია.

**ვარდთა და ნეხვთა**
**ვინადგან**
**მზე სწორედ მოეფინების,**
**დიდთა და მცირთა**
**წყალობა**
**შენცა ნუ მოგეწყინების**
**და სხ.**

**„ვის ებრალება სხვა? იმას, ვისაც თავის თავი იმაზე ბედნიერად მიაჩნია, რომელსაც იბრალებს და იწყალებს. ღმერთმა ჰქმნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს, მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ხოლო დღევანდელს დღეს კი ისევ სიბრალული გვასულდგმულებს, რადგან შესაბრალებსა და შესაწყალებს ბევრს ვხედავთ — გვებრალება, და რამდენადაც გვებრალება, იმდენად აღარ გვიყვარს“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,
კახი ფარ-შუბით,
თუში — ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის
აბჯარი და სხ.**

*** * ***

**მრავალთ ყმაწვილთ კაცთ,
ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი
მამულისათვის;
აწ სამარეცა არსად
არს მათთვის,
ჰაერში გაჰქრა მათი
სახელი!..
და იმ ჟამთ მოწმე სადამე
ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა
საქმეთა და სხ.**

*** * ***

**ერთს ბედს ქვეშა ვართ,
ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს
შავი მიწა ჩვენ,
ერთგულად ვსჭიმოთ
ჭაპანი ჩვენი, —
უსიხარულოდ
დავლიოთ დღენი და სხ.**

ბევრი სხვაა ნათქვამი მარილიანად ჩვენებისაგან, ნათქვამი სულით და გულით. **ესეთი ნათქვამი სულ სხვაა და უსულგულოდ — სრულიად სხვა; იგი მარტო იმის მთქმელს მოსწონს, დანარჩენის ყურებს ყინვა-ზრობასავით ჰხვდება.** უგულო, ძალად მწერალი იმით იცნობა, რომ უეჭველად უგულო საგანს აირჩევს სალაპარაკოდ, ცდილობს, რომ გულიანად აჩვენოს თავი მკითხველს, ამის გამო სულსაც აწვალებს და გულსაც.

**სულიც სტკივა,
გულიც სტკივა
მეტიჩარა მჯღაბნელასა,
ემდურება თავისს გამჩენს,
ემდურება ის ყველასა.
ჩვენა გვქირდავს,
ჩვენა გვწყევლის,
არა ესმის სულბნელასა.**

სამუდამოდ იმის კალმის წვერზე შემდეგი სტრიქონები აწერია, რომელიც არაგზით, არა საშუალებით არ ამოიფხიკება:

**ყინულის ცეცხლი ვინა
სთქვა
და ჯოჯოხეთის სიკეთე?!
დროა, თავიდამ
მოგვშორდე,
გვეყო, რაც საქმე გვიკეთე.**

*** * ***

მაინცდამაინც წერის უფლებას ჩვენ ვერავის წავართმევთ; ყველას ნება აქვს წერისა და ფიქრისა, როგორც სიყვარულისა, სიხარულისა, სიცოცხლისა და ხეირიანის ცხოვრებისა, მაგრამ ყველას კი ვერ დავაჩემებინებთ მწერლის სახელს, მით უმეტეს უსულგულო ადამიანს.

სხვა ყველა ყველა და განა ეს არის მარტო საფიქრებელი და მოსასაზრებელი? თითქო დიდხმიანი სახელი დავარქვი ჩემს წერილს, დიაღ, დავარქვი „ფიქრები“ და ჩავაცივდი ერთს ბეჩავს კაცს, რომელსაც სწადიან, მწერალი გახდეს. სხვა **რამდენი რამ არის ცხოვრებაში თავსატეხი, ზოგზე თუ ვერას გეტყვი, მკითხველო, ძალიანაც რომ მეწადოს, — ზოგს ხომ მაინც ვიტყვი... ან კი მარტო ჩემი ფიქრი რა იქნება, მე მინდა ახლა შენი ფიქრიც შევიტყო.** ზოგს შენს ფიქრს რომ ვიცნობდე, ზოგი რომ შენი განზრახვა ვიცოდე, ზოგი არ ვიცი. ეს ზოგიც იმიტომ ვიცი, რომ შენც კაცი ხარ



**«აბა გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ ვუპოვნეთ ვერსაიდამ წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა. ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს»**

და მეც, ერთის წყალ-ადგილის შვილები ვართ, თავდაპირველ ადამიანები, ერთს ცხოვრებაში მომწყვდეულნი, ერთის ტკივილის მტვირთველ-მზიდველნი და ამის გამო ვიცნობ შენს ფიქრს, მკითხავი არა მჭირდება. ამიტომ დაბეჯითებით გეტყვი, რომ უმთავრესი ფიქრი მე და შენი უმთავრესს ჩვენის ცხოვრების საგანზე ერთია, თუმცა კი ბევრი წვრილმანი ფიქრი ჩვენი ერთმანერთს კვერს ვერ დაუკრავს. მე ზოგჯერ ახირებული ფიქრი წარმომიდგება, ვიცი, ეს ფიქრი შენ არ მოგეწონება.

**ვფიქრობ, ნამეტნავ ეხლა, რაკი გინდადრობით მოვინდომე, თავისებურობით გამოვსჩნდე-მეთქი. ვიცი, — რაც უნდა გითხრა, არ გეჭაშნიკება, მაგრამ მაინც მეტი ჩარა არ არის, უნდა ეს ფიქრი გაგიზიარო, რადგან სიმართლედ, სამართლიან ფიქრად მიმაჩნია, თუმცა კი არც მე მომწონს. განა არ იცი, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ბევრი საწყალი ჰკიდია ზურგზე და ბევრი ბედნიერად მცხოვრებელი, ბევრი მშიერი, ბევრი მაძღარი. მე და შენაც ვფიქრობთ და ვამბობთ: ეს ესრე რად არისო? წარმოიდგინე, ამ საათში ფიქრმა მომიარა და ვამბობ: სწორედ ასე უნდა იყოს-მეთქი. რადა? მიტომ, რომ მადლი სუფევდეს ქვეყანაზე, ვხედავდეთ შეწევნას, შველას, შებრალებას. დაჩაგრულობა, ბეჩაობა რომ არ იყოს ქვეყანაზე, გრძნობას კაცთმოყვარულს, გრძნობას შებრალებისას რაშიღა უნდა ევარჯიშნა? მაშინ ჩემი ნახევარი ბუნება ხომ მკვდარი უნდა ყოფილიყო; რითიღა უნდა ალვფრთოვანებულიყავ, რაღ აზრი უნდა მქონიყო, რითიღა უნდა დამეყენებინა მაღლა ჩემი თავი იმ უგულო, უგრძნობელს ხარ-კამეჩებზე, რომელნიც მაინც კაცის სახელს ატარებენ? ერთის სიტყვით, რით უნდა ვყოფილიყავი კაცი?**


ოპოზიციის საპროტესტო აქცია პარლამენტთან

**უსულგულოდ ნათქვამი სრულიად სხვაა. «იგი მარტო იმის მთქმელს მოსწონს, დანარჩენის ყურებს ყინვა-ზრობასავით ჰხვდება»**



**წარმოვიდგინოთ ისეთი დრო, როცა შესაბრალებელი ცხოვრებაში აღარავინ იყოს, შეწყალებას ბინა აღარსად არა ჰქონდეს წუთისოფელში, რა იქნებოდა მაშინ თვით ადამიანთა კრებული და თვით კაცი? იქნება, თუ მოსახერხებელია ეს, კარგი რამ იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის კი მრავალი სურათი, რომელიც ჩემს თავზე მეტად მიყვარს, მკვდარი იქნებოდა.** გამეორებით გეუბნებით, ეს ფიქრი გულწრფელია, გულწრფელად ნათქვამი. იქნება, ეს ფიქრი, ეს აზრი იმიტომ მომწონს, რადგან შეუძლებელია ცხოვრების ისე მოწყობა, რომ შესაბრალისი აღარავინ და აღარაფერი იპოვებოდეს მასში. შეიძლება ესეც იყოს. ალბად ბუნებას ესეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს, გონივრად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და ჰშლის.

**გულით გეტყვი, მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და ვგონებ, შენც დამეთანხმები, რომ არც სასიცოცხლო ვიქნებოდი. ერთი რამ მიყვარს და მებრალება; ეს გრძნობა სიბრალულისა მტანჯავს კიდეც, მაგრამ დიდადაც მასიამოვნებს, — მასიამოვნებს ისრე, რომ ამ საბრალო არსების ცხოვრება ოღონდ კი გავაუკეთესო და სიცოცხლე არაფერია ჩემთვის; იმის გულისათვის სიკვდილი სასიამოვნო, საამაყო, თავმოსაწონებელია ჩემთვის.**

ეს რა ამბავია, ეს რა წესი უნდა იყოს ბუნებისა საზოგადოდ და კერძოდ ადმიანის ბუნებისა? ა? ასე რად ჰსჯის, ამგვარად რადა სჭრის და ჰკერავს ბუნება? თითქოს კაცს სიცოცხლე ყველაზე მეტად უყვარს, მაგრამ ხომ ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს ჰპოულობს? ბუნებაც ამას ალბად იმიტომ ჩაადენინებს კაცს, რომ იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა. მაინცდამაინც ბუნებას ხომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირად უყვარს და ორივეც იმის ხელთ არის. ამ ფიქრმა აი რა ლექსი მათქმევინა:

**ბევრი რამა მაქვს სათქმელი
და დიდი გულისჭირვება;
სათქმელი დარდი მდუღარე
გულს ნისლად დამეფინება.
ვინაც გაზარდა ობოლი,
იმასვე აეტირება!..
დარდი კი არა, ლხინია,
მოჩვენებული ვარმადა,
მაშ უმისობას რად
არ ვძლებ,
რად ველირები სალმადა,
თუ კი საჭირო არაა
ის ჩემი გულისჭირია?
ან იმის მოგონებაზე
რადა ხმამაღლობს
სტვირია?!
ლხინიც ხო არ მელხინება,
ზოგჯერ თუ არა ვსტირია.**

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ახლა კიდევ სხვა ვიფიქრე. ვფიქრობ, რომ **სიბრალულს სიყვარული სჯობია ბევრით.** სიბრალული, ცოტა არ იყოს, ბატონყმური გრძნობაა. **მე რა უფლება მაქვს, მებრალებოდეს ვინმე, მე, რომელიც, იქნება, თვითონ ვიყო შესაბრალისი?** ნუთუ ეს იმას არა ჰნიშნავს: მე ბატონი ვარ და შენ კი ბეჩავი, ჩემი ყმაო. **ვის ებრალება სხვა? იმას, ვისაც თავის თავი იმაზე ბედნიერად მიაჩნია, რომელსაც იბრალებს და იწყალებს. ღმერთმა ჰქმნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს, მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ხოლო დღევანდელს დღეს კი ისევ სიბრალული გვასულდგმულებს, რადგან შესაბრალებსა და შესაწყალებს ბევრს ვხედავთ — გვებრალება და, რამდენადაც გვებრალება, იმდენად აღარ გვიყვარს.**

**წუხელა ვნახე სიზმარში
გუშინდლის დღისა შავობა,
ზოგჯერ ძველები სჯობიან,
ზოგს დროს —
ახალი თაობა“.**

აი ეს არის დღევანდელი დროების მწარე სიმართლეც.

მიგრაციული კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ზაფხული რთული გამოცდა იქნება ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკისთვის. წლის პირველი თვეების ტენდენციები აჩვენებს, რომ მიგრანტებს, რომლებიც ევროპისკენ მიილტვიან, კოვიდის საფრთხე ველარ აკავებთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ 2015 წლის კოშმარი შეიძლება განმეორდეს. და ულტრამემარჯვენე, ანტიმიგრანტი, ანტიისლამისტი და ევროსკეპტიკოსი პარტიების პოპულარობა მკვეთრად მოიმატებს. ძალიან საეჭვოა, რომ ამ პროცესისთვის მზად იყოს ბრიუსელი.

# 2015 წლის კოშმარი მეორდება

## ევროპა ახალი მიგრაციული კრიზისის მოლოდინში

**ევროპა კვლავ დგას მიგრაციული კრიზისის ზღურბლზე და ეს, როცა ახლა იწყება ზაფხული, რომელზეც ტრადიციულად მოდის აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან არალეგალური იმიგრაციის პიკი.**


მატეო სალვინი და ჯორჯია მელონი


მარიო დრაგი

**არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, ამ ორ ძალას — «ლიგასა» და «იტალიის ძმებს» სილვიო ბერლუსკონის პარტია «წინ, იტალიის» მხარდაჭერით თავისუფლად შეეძლება მთავრობის ჩამოყალიბება. და, თუ «ლიგის» შედარებით ზომიერი ევროსკეპტიკოსები თავის ტკივილს წარმოადგენენ ევროპის ლიბერალური მეინსტრიმისთვის, გაცილებით მემარჯვენე «იტალიის ძმები» კატასტროფა შეიძლება აღმოჩნდნენ. ისინი არ მალავენ, რომ მემკვიდრეები არიან იტალიის ულტრამემარჯვენე სოციალური მოძრაობისა, რომელიც 1946 წელს შექმნეს ბენიტო მუსოლინის ყოფილმა მომხრეებმა**





ამჟამად საყოველთაო ყურადღება გადატანილია სეუტაზე, ესპანურ ანკლავზე ჩრდილოეთ აფრიკაში, საითაც დაიძრა ათასობით მიგრანტი მაროკოდან. კადრმა, რომელზეც ასახულია, როგორ ამოჰყავს ზღვიდან ჩვილი ესპანეთის ნაციონალური გვარდიის მებრძოლს, მსოფლიოს მედიასაშუალებები მოიარა. **მიგრაციული კრიზისი სეუტასა და მელილიაში (მეორე ესპანური პორტი აფრიკაში) გარკვეულწილად ესპანეთსა და მაროკოს შორის ურთიერთობის დაძაბვის შედეგია. ბევრი ექსპერტის აზრით, რაბატმა გადაწყვიტა, შური იძიოს მადრიდზე ფრონტ პოლისარიოს (რომელიც უკვე მრავალი წელი იბრძვის დასავლეთ საჰარის დამოუკიდებლობისთვის მაროკოსგან) დახმარებისთვის. შურისძიება გამოიხატა მაროკოელი პოლიციელების უმოქმედობაში, რომლებმაც თვალი დახუჭეს სეუტასკენ მიმავალი მიგრანტების ნაკადებზე.**

როგორც ჟურნალი The Economist-ი წერს, ასე აქცია მიგრაცია იარაღად მაროკოს მეფე **მუჰამედ VI-მ.** აფრიკიდან ლტოლვილების ნაკადების მკვეთრი მომატება შეინიშნება არამხოლოდ ესპანეთის ანკლავებში. ტუნისიდან პატარა ნავებით გადაჰყავთ ლიბიელი ლტოლვილები იტალიის კუნძულ ლამპედუზაზე. გასულ კვირაში მზიანი ამინდის მხოლოდ 12 საათის განმავლობაში გადაიყვანეს 1200 ადამიანი. დარის მიუხედავად, მაინც მოხდა რამდენიე უბედური შემთხვევა:

**კინაღამ დაიღრჩო 73 ბანგლადეშელი, რომლებიც საოცნებო კუნძულამდე მიღწევას ცდილობდნენ. რამდენმა ვერ მიაღწია კუნძულამდე, არავინ იცის. იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მაისის პირველ სამ კვირაში ქვეყნის სანაპიროს 4290-მა მიგრანტმა მიაღწია. შარშან ამ პერიოდში კი მიგრანტების რაოდენობა 1654 იყო.**

გაძლიერდა მიგრანტების ნაკადი ევროკავშირიდან დიდ ბრიტანეთში. იანვრიდან დღემდე ლა-მანშის სრუტე 3 ათასზე მეტმა ადამიანმა გადალახა, შარშან ანალოგიურ პერიოდში — 1400-მა. რამდენიმე დღის წინათ ბელგიის სანაპირო დაცვამ ჩაძირვას გადაარჩინა პატარა გემი, რომელსაც ლამანშის სრუტით 49 მიგრანტი, ძირითადად, ვიეტნამელები გადაჰყავდა. ეს არის მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც გახმაურდა. ზემომოყვანილი ფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, მიგრაციული კრიზისის საკითხი მალე კვლავ დაბრუნდება ევროპის დღის წესრიგში.

თუმცა, ციფრები ისეთი კატასტროფული არ არის, როგორიც იყო 2015 წელს, როდესაც ევროპას მიგრანტთა უზარმაზარი ტალღა მიაწყდა. 2020 წელთან შედარებით მაჩვენებლების გაზრდა კი განპირობებულია იმით, რომ აზიისა და აფრიკის მოსახლეობამ შარშან თავი აარიდა პანდემიით შეპყრობილ ევროპაში შესვლას. ამას გარდა, **საზოგადოებრიობის ყურადღების გადატანამ მიგრაციის პრობლემებიდან კოვიდ-19-ის პანდემიაზე შესამჩნევად დასცა ზოგიერთი იმ პარტიის რეიტინგი, რომლებიც მკაცრი ზომების გატარებას მოითხოვდნენ მიგრანტების წინააღმდეგ** (დასავლურ მედიაში ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ულტრამემარჯვენეებს უწოდებენ), მიუხედავად იმისა, რომ ზოგს საკმაოდ ლიბერალური ეკონომიკური პროგრამა აქვს შემუშავებული). ახლა კი, **როდესაც მიგრაციის პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დადგა, ბევრი გამოცემა განგაშს ტეხს ამ პოლიტიკური ძალების პოპულარობის მკვეთრად მომატების გამო. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ახალი კრიზისის წინა ხაზზე არიან — იტალიასა და ესპანეთს.**

თითქმის ყველა ანალიტიკოსი მიდის იმ აზრამდე, რომ სეუტას კრიზისი, რომელიც, რამდენიმე დღეა, ესპანური მედიის ყურადღების ცენტრშია, მნიშვნელოვნად გააძლიერებს ანტიისლამურ პარტია VOX-ს („ხმა“). ეს პარტია მანამდეც აშინებდა ანკლავის მცხოვრებთ ღარიბი აფრიკელი მიგრანტების შესევით. შედეგად საპარლამენტო არჩევნებში პირველი ადგილი დაიკავა. მოიპოვა ხმების 35% ქალაქში, სადაც მოსახლეობის 40% მუსლიმია. უცნაური იქნება, პარტია Vox-მა ახლაც არ ისარგებლოს კრიზისით და გაზარდოს თავისი პოპულარობა სეუტაში.

მეინსტრიმული პარტიების შეშფოთებას იწვევს საარჩევნო ვითარება იტალიაში. იქ 2015 წლის შემდეგ, გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ლიდერია პარტია „ლიგა“ **მატეო სალვინის** მეთაურობით. შს მინისტრის პოსტზე ყოფნისას უკანონო მიგრაციასთან დაუნდობელი ბრძოლით სალვინიმ თავისი პარტია პოპულარობის პიკზე აიყვანა — 2019 წელს „ლიგის“ მაჩვენებელი 40%-ს უახლოვდებოდა, რაც მთავრობის ჩამოყალიბების იმედს იძლეოდა. ამ გათვლებიდან გამომდინარე, სალვინიმ, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მიზნით, ხელი შეუწყო კრიზისის პროვოცირებას მთავრობაში, მაგრამ ოპონენტებმა დაამარცხეს. მათ გამაოგნებელი კოალიციური კომბინაცია გაითამაშეს, ოღონდ „ლიგას“ არ მოეპოვებინა იტალიის პარლამენტის ძირითადი ძალის სტატუსი.

2020 წლიდან კი დაიწყო ამ პოლიტიკური ძალის რეიტინგის დაცემა. **მომხრეებმა პარტიას არ მიუტევეს მარიო დრაგის ტექნოკრატიული მთავრობის მხარდაჭერა. ლიბერალებს თითქოს შვებით უნდა ამოესუნთქათ, მაგრამ „ლიგის“ რეიტინგს, რომელიც გამოკითხვებში ჯერ კიდევ ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, სწრაფად უახლოვდება უფრო მემარჯვენე და უფრო ანტიმიგრაციული პარტია „იტალიის ძმები“.**

ის ამომრჩევლები, რომლებიც უარს ამბობენ სალვინის მხარდაჭერაზე, ახლა ერთბაშად გადადიან „იტალიის ძმების“ მხარეს, რომელიც, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უკვე იკავებს მეორე ადგილს „ლიგის“ შემდეგ. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ „იტალიის ძმებს“ ამომრჩეველთა ხმების 3-4% თუ ჰქონდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 20%-ს უახლოვდება.

**არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, ამ ორ ძალას სილვიო ბერლუსკონის პარტია „წინ, იტალიის“ მხარდაჭერით თავისუფლად შეეძლება მთავრობის ჩამოყალიბება. და, თუ „ლიგის“ შედარებით ზომიერი ევროსკეპტიკოსები თავის ტკივილს წარმოადგენენ ევროპის ლიბერალური მეინსტრიმისთვის, გაცილებით მემარჯვენე „იტალიის ძმები“ კატასტროფა შეიძლება აღმოჩნდნენ. ისინი არ მალავენ, რომ მემკვიდრეები არიან იტალიის ულტრამემარჯვენე სოციალური მოძრაობისა, რომელიც 1946 წელს შექმნეს ბენიტო მუსოლინის ყოფილმა მომხრეებმა.**

ამ მემკვიდრეობაზე მიუთითებს პარტიის ლოგოტიპი, რომელიც მოიცავს იტალიის სოციალური მოძრაობის ყოფილ სიმბოლოსაც. **პარტია „იტალიის ძმების“ პოპულარობის მატებას ხელს უწყობს პარტიის ხელმძღვანელ ჯორჯია მელონის („იტალიის და“ — ეს მეტსახელი შეარქვა მას მასმედიამ) ქარიზმა — ამ ქალბატონმა გასულ წელს ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსების სარეიტინგო სიაში გადაუსწრო პარტია „ლიგის“ ლიდერ სალვინის და მეორე ადგილი დაიკავა იტალიის პრემიერმინისტრ მარიო დრაგის შემდეგ.** ეჭვი არავის ეპარება, რომ მიგრაციული კრიზისის გამწვავების შემთხვევაში „ლიგა“ და „იტალიის ძმები“ დამატებით ხმებს მიიღებენ და კიდევ უფრო გაზრდიან თავიანთ რეიტინგებს. ერთი მხრივ, ლიბერალებისთვის ნერვიულობა ჯერ ნაადრევია — იტალიაში საპარლამენტო არჩევნები 2023 წელს უნდა გაიმართოს, მაგრამ **შეშფოთება იზრდება ხმების სულ უფრო ფართოდ გავრცელებასთან ერთად, რომ მარიო დრაგი თავის კანდიდატურის დაყენებას აპირებს პრეზიდენტის პოსტზე მას შემდეგ, რაც პენსიაზე გავა სერჯიო მატარელა. ეს კი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას გამოიწვევს უკვე მომავალი წლის დასაწყისში და, თუ ეს სცენარი განხორციელდება, ევროპაში ლიბერალების საშინელი სიზმარი რეალობად იქცევა.**

ბევრი რომ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ზაფხული რთული გამოცდა იქნება ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკისთვის. წლის პირველი თვეების ტენდენციები აჩვენებს, რომ მიგრანტებს, რომლებიც ევროპისკენ მიილტვიან, კოვიდის საფრთხე ველარ აკავებთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ 2015 წლის კოშმარი შეიძლება განმეორდეს. და ულტრამემარჯვენე, ანტიმიგრანტი, ანტიისლამისტი და ევროსკეპტიკოსი პარტიების პოპულარობა მკვეთრად მოიმატებს. ძალიან საეჭვოა, რომ ამ პროცესისთვის მზად იყოს ბრიუსელი.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რეჟისორმა ზაკ სნაიდერმა უარი თქვა სუპერგმირებიანი ფილმების გადაღებაზე

**ამერიკელმა რეჟისორმა და სცენარისტმა ზაკ სნაიდერმა განაცხადა, რომ ამიერიდან არ გადაიღებს ფილმებს კომიქსების სიუჟეტების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ნახატების ბევრი ისტორია მოსწონს. ეს ინფორმაცია მან გაანდო გამოცემა Deadline-ს კორესპონდენტს.**

ეს გადაწყვეტილება მან მიიღო ბლოკბასტერ „სამართლიანობის ლიგის“ გაფართოებული ვერსიის გახმაურებული პრემიერის შემდეგ. სნაიდერი ფილმით კმაყოფილია, მაგრამ კომიქსების ახალ ნახატებთან მუშაობას არ გეგმავს.

„ზოგიერთი ისტორია მომწონს. ყოველთვის მინდოდა, მემუშავა ფრენკ მილერის კომიქსზე „ბეტმენი: შავი რაინდის დაბრუნება“ და კიდევ ორიოდ ნაწარმოებზე. ძალიან კმაყოფილი ვარ ფილმით, რომელიც ახლახან დავამთავრეთ, მაგრამ არ მსურს კიდევ ერთი სურათის გადაღება კომიქსების მიხედვით“, — განაცხადა მან.




## გაუპატიურება, რომელმაც 12 წლის წინათ გააოგნა საფრანგეთი, შემთხვევის წყალობით გახსნეს

**2009 წელს საფრანგეთის სამხრეთში ქალაქ ბაიონში ორმა მამაკაცმა ღამის კლუბიდან შინ მიმავალი ახალგაზრდა ქალი შენიშნეს და შინ მიყვანა შესთავაზეს.**

— იმ დღეს კლუბის დაცვამ ბრბოს გასაფანტავად ცრემლმდენი აირი გამოიყენა, — ყვებოდნენ თვითმხილველები, — იმ მომენტში ბევრი ცუდად გახდა, ზოგიერთს კი, ვინც დაცვის გვერდით იდგა, გაუჭირდა სუნთქვა და თვალის სინათლე დააკლდა — ვერ შეძლეს გადაადგილება.

ის ახალგაზრდა ქალიც, რომელიც ავხორცმა მამაკაცებმა შენიშნეს, ერთ-ერთი დაზარალებული იყო. თავგზა და ტვინარეული ქალი დათანხმდა. მანქანის პატრონმა და მისმა პარტნიორმა ეს უმწეო ადამიანი მდინარის ნაპირზე, უდაბურ ადგილზე მიიყვანეს, გააუპატიურეს და მიაგდეს. აქ ის უბედური ორი საათის განმავლობაში გონდაკარგული ეგდო.

ექიმებმა შეძლეს მისი მოსულიერება, მაგრამ ბოროტმოქმედნი მაშინ ვერ იპოვეს. ამ არაადამიანურმა დანაშაულმა შეძრა საფრანგეთი.

ეს საქმე რამდენიმე დღის წინათ გაიხსენეს, როცა ერთი ფრანგი მამაკაცი, რომელსაც ოჯახური ძალადობა წაუყენეს ბრალად, პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში მიიყვანეს.

სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ სწორედ იგი იყო მოძალადეთაგან ერთ-ერთი.

ქალაქ ბაიონის პროკურორმა **ჟერომ ბურიემ** განაცხადა, რომ წლების შემდეგ სამართალი აღსრულდება და დაზარალებული, რომელსაც ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდა, დამშვიდდება.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ახალი სუპერგმირი კაპიტანი ამერიკა გეი იქნება, ჩვენებურად — მამათმავალი

**სახელები, რომლებიც ამ ინფორმაციაში იქნება ჩამოთვლილი, ქართველი მკითხველისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ვაქვეყნებთ იმიტომ, რომ კონკრეტული მაგალითით გაჩვენოთ, პედერასტია აშშ-ის კულტურის ისეთ პოპულარულ განშტოებაშიც მკვიდრდება, როგორიც კომიქსებია, ამ შემთხვევაში ფირმა Marvel Comics-ის პროდუქციაში (კომიქსის პირველი ტომი 2021 წლის 2 ივნისს იხილავს მზის სინათლეს).**



პირველი ლგბტ-პერსონაჟის — კაპიტან ამიერიკის გამოჩენით აღნიშნავს ამერიკული Marvel-ი სუპერგმირის 80 წლის საიუბილეო თარიღს, — იუწყება გამომცემლის საიტი.

**აარონ ფიშერის** სახელით შევა იგი კომიქსების ახალ, შეზღუდულ სერიაში „კაპიტან ამერიკის შეერთებული შტატები“. ამ სერიაში სტივ როჯერსი შეერწყმება წარსულის კაპიტნებს — ბაკი ბარნსს, სემ უილსონსსა და ჯონ უოკერს. იგი გაემგზავრება ამერიკაში თავისი მოპარული ფარის მოსაძებნად. მოგზაურობისას შეხვდება სხვადასხვა ფენის ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც მორგებული ექნებათ კაპიტან ამერიკის კოსტიუმი თავიანთი თემების დაცვის მიზნით. ამ ადამიანთაგან ერთ-ერთი აარონ ფიშერი აღმოჩნდება.

Marvel Comics ფიშერს ასე აღწერს: **„რკინიგზების კაპიტანი ამერიკა — უშიშარი ყმაწვილი, რომელმაც გადაწყვიტა, დაიცვას თავისი ლტოლვილი და უსახლკარო ამხანაგები“.**

„შეერთებული შტატების კაპიტან ამერიკა №1-ის“ ავტორები არიან **ჯოშუა ტრიხილიო** და **იან ბაზალდუა**.

„აარონი შთაგონებულია ქვიარ-თემის გმირებით — აქტივისტებით, ლიდერებითა და ჩვეულებრივი ადამიანებით, რომლებიც უკეთესი ცხოვრებისკენ ისწრაფვიან. იგი იბრძვის ჩაგრულთა და დავიწყებულთა ინტერესების დასაცავად. ვიმედოვნებ, რომ მისი სადებიუტო ისტორია მკითხველის გამოხმაურებას გამოიწვევს და აღარფოთანებს გმირების მომდევნო თაობას“, — თქვა ტრუხილიომ.

პერსონაჟი დახატა იან ბაზალდუამ, რომელმაც შეგვახსენა, რომ კაპიტანი ამერიკა ებრძოდა ზეძლიერ არსებებს და შედეგად, თითქმის ყოველთვის გადაარჩენდა მსოფლიოს, ხოლო პედერასტი აარონი ახალი კეთილი თვისებებითაც არის აღჭურვილი — ეხმარება იმ ჩაგრულებსაც, რომლებიც ყოველდღიურად ყოფითი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე.

## კინოფილმ «ბოჰემური რაფსოდიის» კინორეჟისორი, რომელსაც პედოფილიაში ედებოდა ბრალი, მილიონობით დოლარს მიიღებს

**ბრაიან სინგერი 40 მილიონზე მეტ დოლარს მიიღებს ფილმისთვის „ბოჰემური რაფსოდია“, მიუხედავად იმისა, რომ კინოგადაღებების დასრულებამდე ორი კვირით ადრე იგი გადასაღებ მოედანზე აღარ გამოჩენილა. მისი ადგილი დაიკავა დექსტერ ფლეტჩერმა. მოგვიანებით სამუშაოზე გამოუცხადებლობა სინგერმა ახსნა იმით, რომ იმ დროს დედა სერიოზულად ავად გაუხდა, — იუწყება ჟურნალი Ther Holiywood Reporter.**

**ფრედი მერკურიზე** გადაღებულმა ფილმმა ავტორებს დემონსტრირების პროცესში 817 მილიონი დოლარის შემოსავალი მოუტანა. ფილმს „ოსკარის“ მოპოვების პრეტენზია აქვს ხუთ ნომინაციაში, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელმა **რამი მალეკმა** უკვე მიიღო „ოქროს გლობუსი“. გამოცემის წყაროების ცნობით, კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე, სინგერს მნიშვნელოვანი კომპენსაციის იმედი აქვს. ამასთან, ფილმის ტიტრებით იგი სურათის ერთ-ერთ ავტორად მოიხსენიება.



შეგახსენებთ, რომ ბრაიან სინგერი ხუთმა მამაკაცმა პედოფილიაში დაადანაშაულა. 2017 წელს სინგერს სასამართლოში უჩივლა სიეტლში მცხოვრებმა **სეზარ სანჩეს-გუზმანმა** 2003 წელს მისი გაუპატიურების გამო. 2014 წელს კინემატოგრაფისტის წინააღმდეგ ანალოგიური ბრალდება წარადგინა **მაიკლ იგანმა,** რომელიც ირწმუნებოდა, რომ იგი 17 წლისა გააუპატიურეს.

2018 წლის ოქტომბერში სინგერმა განაცხადა, რომ მალე მის წინააღმდეგ პრესაში წამოიწყებენ ცილისმწამებლურ კამპანიას — ელოდეთო სტატიას მოგონილი ბრალდებებით და ფალსიფიცირებული სასამართლო სარჩელებით სექსუალური ძალადობის შესახებ. ამრიგად, მან წინასწარ თქვა, რომ უდანაშაულოა და მკითხველებს მოუწოდა, არ დაიჯერონ ჭორები, რომლებსაც გაუვრცელებენ.

ამასთანავე, რეჟისორი ირწმუნებოდა, რომ სტატიის ავტორები წინასწარგანზრახვით ამახინჯებენ ფაქტებს და წარმოაჩენენ ძველ ბრალდებებს, რომლებიც მხილებული იყო, როგორც აშკარა სიყალბე. სინგერის თქმით, ჟურნალისტები იყენებენ ზოგიერთი წყაროს ციტატებს, „რომლებითაც ლამობენ, დაამტკიცონ, რომ ისინი (ჟურნალისტები) მის (რეჟისორის) ინტიმურ ცხოვრებას იცნობენ“.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შარლ დე გოლმა 1946 წელს დატოვა საფრანგეთის მთავრობის მეთაურის პოსტი, რომელზეც წელიწად-ნახევრის განმავლობაში იმყოფებოდა. ეს გადაწყვეტილება მან მთავრობაში დაწყებული მწვავე დისკუსიის შემდეგ მიიღო, როცა მიხვდა, რომ თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელების საშუალებას არ მისცემდნენ.**

# ცნობილი პოლიტიკოსები, რომლებმაც საკუთარი ნებით დატოვეს პოსტები

2019 წლის მაისში თანამდებობა დატოვა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ტერეზა მეიმ. მმართველი კონსერვატიული პარტიის ლიდერის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ ის არ ეთანხმებოდა ბრექსიტს — ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლას. გთავაზობთ ჩამონათვალს იმ პოპულარული პოლიტიკოსებისა, რომლებმაც თავიანთი ნებით დატოვეს მაღალი პოსტები.



## რიჩარდ კრომველი

ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორი, ოლივერ კრომველის მესამე ვაჟი — რიჩარდ კრომველი 1659 წლის 25 მაისს გადადგა პოსტიდან და ამის შემდეგ ლორდ-პროტექტორის თანამდებობა საერთოდ გაუქმდა. რიჩარდ კრომველი, საერთო ჯამში, 6 თვის განმავლობაში იყო ლორდ-პროტექტორის თანამდებობაზე. გადადგომის გადაწყვეტილება კი იმიტომ მიიღო, რომ პოსტი მას მემკვიდრეობით ერგო და სახელმწიფოს მართვის არაფერი გაეგებოდა.



## ნურსულთან ნაზარბაევი

ნაზარბაევი ყაზახეთს 1990 წლიდან მართავდა და 5-ჯერ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. 2019 წლის 19 მარტს პრეზიდენტმა პოსტიდან გადადგომის შესახებ განაცხადა, არადა, მორიგ საპრეზიდენტო არჩვნებამდე რამდენიმე თვე რჩებოდა. ბევრი ამბობს, რომ ნაზარბაევმა მოასწრო პრეზიდენტის პოსტზე მემკვიდრის, ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის, დანიშვნა.



## ევო მორალესი

მორალესი ბოლივიის პრეზიდენტი 2006-2019 წლებში იყო. 2019 წლის 11 ნოემბერს 60 წლის პოლიტიკოსი დაეთანხმა სამხედროების მოწოდებას, პოსტიდან გადამდგარიყო. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ქვეყანაში არეულობები გამოიწვია. მორალესმა პირველ ტურში მინიმალური სხვაობით მოიპოვა პრეზიდენტობისთვის საჭირო ხმები და მეოთხე ვადით აირჩიეს. საბოლოოდ მორალესმა გადაწყვიტა, მოეხსნა უფლებამოსილებები და ქვეყნიდან წასულიყო. მას თავშესაფარი მექსიკამ მისცა.



## სერჟ სარგსიანი

სომხეთის პრემიერმინისტრის პოსტზე ექსპრეზიდენტ სერჟ სარგსიანის დანიშვნამ ერევანში დიდი მღელვარება გამოიწვია. 2018 წლის 22 აპრილს ერევნის ცენტრში 150 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა; მეორე დღეს, 23 აპრილს კი, სარგსიანი გადადგა.



## სიგმუნდურ გუნლეიგსონი

ისლანდიის პრემიერმინისტრი პოსტიდან გადადგა იმის გამო, რომ ოფშორულ კომპანიებში თანხების შენახვაში დაადანაშაულეს. შემოსავლების მონაცემების მასმედიაში გამოქვეყნებამდე გუნლეიგსონი უარს ამბობდა პოსტის დატოვებაზე, ქვეყნის პრეზიდენტსაც კი მიმართა, დაეთხოვა პარლამენტი, რომელიც მმართველი ელიტის გარშემო ვითარების გამწვავებას ცდილობდა.



## ვიქტორ პონტა

ბუქარესტის ღამის კლუბში გაჩენილ ხანძარს ათობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომლის გამოც საპროტესტო აქციები დაიწყო (ბევრის აზრით, ხანძარი კორუფციამ გამოიწვია) და ქვეყნის პრემიერმინისტრმა გადაწყვიტა, პოსტი დაეტოვებინა. ვიქტორ პონტამ პრემიერმინისტრის თანამდებობიდან გადადგომა ასე ახსნა: „მე ვტოვებ მანდატს, გადავდექი პოსტიდან და მინისტრთა კაბინეტიც იხსნის უფლებამოსილებებს“.





## შარლ დე გოლი

შარლ დე გოლმა 1946 წელს დატოვა საფრანგეთის მთავრობის მეთაურის პოსტი, რომელზეც წელიწად-ნახევრის განმავლობაში იმყოფებოდა. ეს გადაწყვეტილება მან მთავრობაში დაწყებული მწვავე დისკუსიის შემდეგ მიიღო, როცა მიხვდა, რომ თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელების საშუალებას არ მისცემდნენ. გადადგომიდან 12 წლის შემდეგ კი დე გოლი საფრანგეთის პოლიტიკურ ოლიმპზე დაბრუნდა. 1958 წელს მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობდა, 1959 წელს კი პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.



## საიდ ჰარირი

ლიბანის პრემიერმინისტრმა, რომელიც ამ პოსტს 2016-2019 წლებში იკავებდა, 2019 წლის ოქტომბერში განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა პოსტის დატოვება. 49 წლის პრემიერმინისტრმა პოსტიდან გადადგომის გადაწყვეტილება ორკვირიანი მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ მიიღო. სახალხო მღელვარება გამოიწვია თამბაქოს ნაწარმსა და ბენზინზე გადასახადების მომატებამ, აგრეთვე, მესინჯერში საუბრებმა.



## რობერტ ფიცო

2018 წლის გაზაფხულზე სლოვაკეთში დაიწყო პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გამოიწვია ჟურნალისტ იან კუციაკის მკვლელობამ. ჟურნალისტები სლოვაკი პოლიტიკოსებისა და იტალიური მაფიის კორუფციულ კავშირებს იძიებდა. მოკლული ჟურნალისტის ხსოვნის გამო დაწყებული მასობრივი მსვლელობები საპროტესტო აქციებში გადაიზარდა და მალე თავიანთი პოსტები დატოვეს შს და კულტურის მინისტრებმა, შემდეგ კი — პრემიერმინისტრმა რობერტ ფიცომ.

## რიკარდო როსელო

პუერტო-რიკოს გუბერნატორმა პოსტიდან გადადგომის შესახებ 2019 წლის 2 აგვისტოს განაცხადა (ამ პოსტზე იმყოფებოდა 2017-დან 2019 წლის აგვისტომდე), როცა მის წინააღმდეგ საპრტესტო აქციის ტალღა აგორდა. პროტესტი კი გამოიწვია სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა ჰომოფობიურმა და რასისტულმა შეფასებებმა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**2010 წელს ჩარლზ ოლივეირა UFC-ში მოხვდა, მაგრამ სტარტი წარმატებული არ ყოფილა: 2 მოგება და 2 მარცხი. ოლივეირა კარგა ხანს რჩებოდა სარეიტინგო სიის შუაში, სანამ მსუბუქ წონაში არ გადავიდა. 2017 წელს მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა: 9 მოგება და მხოლოდ ერთი მარცხი. ჩარლზი ასპარეზობს ფსევდონიმით DO BRONX, რაც პორტუგალიური ენის სლენგზე ნიშნავს: „ადამიანი ფაველებიდან“.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გაიზარდა ჯურღმულებში, ართრიტის გამო კინაღამ ინვალიდად იქცა, ახლა კი UFC-ის ჩემპიონია






**ჩარლზ ოლივეირა UFC-ის (Ultimate Fighting Championship — აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატი) მსუბუქი დივიზიონის ჩემპიონია. ის ცნობილი მებრძოლის, ჰაბიბ ნურმაგომედოვის, ღირსეული შემცვლელია. ოლივეირამ მეორე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ამერიკელი მაიკლ ჩანდლერი, თუმცა პირველ რაუნდში თვითონ იყო ნოკდაუნში. ეს გამარჯვება ოლივიერას ცხოვრების სიმბოლოდ იქცა. ის ხშირად ეცემოდა, მაგრამ ყოველთვის დგებოდა. ჩარლზ ოლივეირა ბრაზილიის სან-პულუს შტატის ქალაქ გუარუჟაში დაიბადა და მის ფაველებში (ასე ეძახიან ბრაზილიაში ჯურღმულებს) გაიზარდა.**

ოლივეირას დედა სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა, მამა — სასაკლაოზე. ბავშვობაში, როგორც ყველა ბრაზილიელი ბიჭი, გატაცებული იყო ფეხბურთით, მაგრამ 7 წლისას ექიმებმა კოჭების რევმატოიდული ართრიტის დიაგნოზი დაუსვეს და ვარჯიში აუკრძალეს.

ჩარლზი ძლიერ ტკივილს განიცდიდა და გადაადგილება უჭირდა — ფეხბურთით შეპყრობილი ბიჭისთვის ეს გამოცდა იყო. ექიმებმა მშობლებს უთხრეს, რომ ბიჭს სპორტი უნდა დაევიწყებინა და, დიდი ალბათობით, ინვალიდი დარჩებოდა. „ექიმმა თქვა, რომ ჩარლზი ვერ გაივლიდა და ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვებოდა, მაგრამ მე ვიცოდი, უფალი არ დაუშვებდა ამას“, — იხსენებს ჩარლზის დედა.

ოლივეირა ტერფებს ვერ ამოძრავებდა და 2 წელი საავადმყოფოში გაატარა. დედას პალატაში ეძინა — იატაკზე, შვილის საწოლთან. მშობლებს ბავშვის სამკურნალო ფული არ ჰქონდათ, მაგრამ დაეხმარათ ჩარლზის დედის ბოსი — სკოლის დირექტორი, რომლის სახლსაც ქალი ალაგებდა. სწორედ მისი დახმარებით გადაიყვანეს ბიჭი სხვა კლინიკაში, სადაც ჩაუტარეს დამატებითი გამოკვლევები. როცა ჩარლზს 11 წელი შეუსრულდა, კლინიკიდან გაწერეს, მაგრამ სრულად გამოჯანმრთელებული არ იყო — 2 კვირაში ერთხელ ანთების საწინააღმდეგო ნემსს უკეთებდნენ. და, ექიმების აკრძალვის მიუხედავად, ის მაინც წავიდა სავარჯიშოდ.

ჩარლზ ოლივეირამ ფეხბურთი მიატოვა და ჯიუ-ჯიუცუს ვარჯიში დაიწყო. აღმოსავლური ორთაბრძოლების ამ სახეობაში ის მამის მეგობარმა პაულუმ მიიყვანა. სამწუხაროდ, პაულუ ვერ მოესწრო ჩარლზის ჩემპიონობას — ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს.

„ის ჩვენი ოჯახის წევრად იქცა, იმიტომ, რომ კეთილი გული ჰქონდა, ვუყვარდით მე და ჩემი ძმა და პატივს სცემდა ჩემს მშობლებს. დარწმუნებული ვარ, ზეციდან უყურებს ჩემს ცხოვრებას. მინდოდა, აქ ყოფილიყო, რადგან მან მიმიყვანა ჯიუ-ჯიცუზე. ყოველთვის უხაროდა ჩემი წარმატება“, — თქვა ოლივეირამ.

დედას ძალიან ეშინოდა, რომ ჩარლზს ტრამვა არ მიეღო, მაგრამ შვილის გატაცებას მამამ დაუჭირა მხარი და წარმატებამაც არ დააყოვნა.

„მან ჯიუ-ჯიცუში ვარჯიში კლინიკიდან გამოსვლიდან ორი თვის შემდეგ დაიწყო, კიდევ ორი თვის შემდეგ კი ადგილობრივი ჩემპიონატი მოიგო. როცა ექიმთან გასასინჯად მივედით, თქვა: ეს შეუძლებელიაო. ჩარლზს კი უკვე ორი ოქროს მედალი ჰქონდა“, — სიამაყით იხსენებს მამა.

ჯიუ-ჯიცუს სექციაში ოლივეირა კარგად დაამახსოვრდათ: მას ყოველთვის სურდა უპირატესობის მოპოვება მეტოქეზე, გოგონებსაც კი არ ინდობდა, ამის გამო მწვრთნელმა სასტიკად დასაჯა. მწვრთნელი ფიქრობდა, რომ ჩარლზი აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ მეორე დღეს უფრო მეტი თავგამოდებითა და ენერგიით ივარჯიშა. ჩარლზი წარმატებით გამოდიოდა შეჯიბრებებზე, მაგრამ განაგრძობდა ინიექციების კეთებას. და 18 წლისამ გადაწყვიტა, რომ ჯიუ-ჯიცუსთვის თავი დაენებებინა.

„მოვკვდები და ძველებურად ველარ განვაგრძობ. მე უნდა ვაკეთო ის, რაც მიყვარს, და აღარ მინდა, ჯიუ-ჯიცუთი ვიყო დაკავებული“, — უთხრა ჩარლზმა მშობლებს.

„თუ ქრისტესი გჯერა და გწამს, რომ განიკურნები, ე.ი., განიკურნები“, — უთხრა დედამ ბიჭს. ოლივეირა დარჩა იმ ბიჭად, რომელიც ჯურღმულებში გაიზარდა. მას ახსოვს თავისი ფესვები. პანდემიის პერიოდში მშობლიურ დასახლებას ეხმარებოდა.

ჩარლზმა კარგად დაიწყო MMA (Mixed Martial Arts)-ს ორთაბრძოლებში მონაწილეობა. 12 შეხვედრა ზედიზედ მოიგო. 2010 წელს კი UFC-ში მოხვდა, მაგრამ სტარტი წარმატებული არ ყოფილა: 2 მოგება და 2 მარცხი. ოლივეირა კარგა ხანს რჩებოდა სარეიტინგო სიის შუაში, სანამ მსუბუქ წონაში არ გადავიდა. 2017 წელს მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა: 9 მოგება და მხოლოდ ერთი მარცხი. ჩარლზი ასპარეზობს ფსევდონიმით Do Bronx, რაც პორტუგალიური ენის სლენგზე ნიშნავს: „ადამიანი ფაველებიდან“. ბრაზილიელმა ხომ ფაველებში (ჯურღმულებში) გაატარა ბავშვობა, მაიკლ ჩენდლერზე გამარჯვება კი მშობლიურ დასახლებას მიუძღვნა.

**„მაიკლ, შენ დიადი ჩემპიონი ხარ, მაგრამ დღეს ჩემი დღეა. ფაველებო, ძამარი ჩვენია!“** — თქვა ცრემლმორეულმა ჩარლზ ოლივეირამ ორთაბრძოლის შემდეგ. ის კვლავ ბრაზილიაში ცხოვრობს და კავშირს არ კარგავს მშობლიურ კუთხესთან. **„მე კვლავ ბრაზილიაში ვცხოვრობ. ოღონდ უკვე სხვა ადგილას, უფრო კარგ სახლში. ყოველთვის ვცდილობ ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ძველებურად ვცხოვრობ მეგობრებთან ერთად. ვფიქრობ, იქ უნდა ვიყოთ, სადაც თავს კარგად ვგრძნობთ, მათთან უნდა ვიყოთ, ვისთანაც კარგად ვართ. ჩემი მაღალი მიზნები არ ნიშნავს იმას, რომ ფესვები დავივიწყო. თავს ვარსკვლავად არ მივიჩნევ. მე ნორმალური ადამიანი ვარ, რომელიც ფიქრობს სხვების დახმარებაზე, ისევე, როგორც მე დამეხმარნენ. ვცდილობ, ყველას დავეხმარო შესაძლებლობის ფარგლებში. მყავს გავლენიანი მეგობრები, რომლებსაც არ სურთ გამოჩენა, ისინი ყიდულობენ პროდუქტებს, ჩვენ კი მათ ფაველებში ვარიგებთ. მეც ვხარჯავ ფულს, ვყიდულობ საჭმელს ღარიბებისთვის, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი შიმშილობს. განსაკუთრებით ბავშვებს ვეხმარები“**, — განაცხადა ჩარლზმა.

2020 წლის ბოლოს ოლივეირამ მოინახულა მშობლიური დასახლება, რათა ადამიანებისთვის პროდუქტები დაერიგებინა. მისი მშობლიური თემი ძალიან დაზარალდა პანდემიის პერიოდში, და ჩარლზმა თავისი მაგალითით, ბრაზილიელებს მოუწოდა, გაჭირვებულებს დახმარებოდნენ.

ოლივეირა 10 წლის განმავლობაში ჩხუბობდა UFC-ში და დაიმსახურა ჩემპიონის ტიტული, თუმცა, როგორც ჩანს, თვითონ მას ეს ნაკლებად სჯერა.

„წარმოიდგინეთ ბიჭი ღარიბი ოჯახიდან, რომელსაც ექიმებმა უთხრეს, რომ სპორტით ვერ დაკავდებოდა, ახლა კი შემომხედეთ, სად ვარ!“

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



ჩარლზ ოლივეირა დედასთან


გაჭირვებულებს ეხმარება

# მარინა კალიურანდი: არ არსებობს კონსენსუსი ევროკავშირის გაფართოების საკითხზე — მნიშვნელოვანია გააზრება და ქართველი ხალხის ამბიციების მოთოკვა, რადგან თქვენ ვერ მიიღებთ «კის» 2024 წელს


მარინა კალიურანდი

**ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი აცხადებს, რომ საქართველო 2024 წელს ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადის წარდგენისას „კის“ ვერ მიიღებს.**

EURACTIV-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „საქართველოს გზა ევროკავშირისკენ: რა არის შემდეგი?“ სიტყვით გამოსვლისას **მარინა კალიურანდმა** განმარტა, ევროკავშირში ინტეგრაცია არის პოლიტიკური საკითხი, რომელიც გულისხმობს ერთსულოვან მხარდაჭერას და ეს არის გაფართოების ერთადერთი გზა. მისივე თქმით, გაფართოების საკითხზე ევროკავშირში არ არსებობს კონსენსუსი და საქართველოს გაწევრება ვერ იქნება რეალისტური ახლო მომავალში.

„ყველა ერს უნდა ჰქონდეს უფლება, გადაწყვიტოს თავისი მომავალი. ქართველებს აქვთ უფლება, განაცხადი შეიტანონ ორგანიზაციაში, რომელსაც სურთ, რომ ეკუთვნოდნენ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ აზრს ეკითხებოდე სხვადასხვა ქვეყანას, პოლიტიკურ ჯგუფს, მნიშვნელოვანია, გახსოვდეს, რომ ეს არის პოლიტიკური საკითხი, რომელიც გულისხმობს ერთსულოვან მხარდაჭერას ევროკავშირში. ეს არის გაფართოების ერთადერთი გზა. ვიტყვი ძალიან ღიად და გულწრფელად — არ არსებობს კონსენსუსი ევროკავშირის გაფართოების საკითხზე ევროკავშირში. ეს არის რეალობა, ამიტომაც არ გავამახვილებ ამდენ ყურადღებას წევრობის საკითხზე. რადგან, როგორც ვთქვი, ეს არ იქნება რეალისტური ახლო მომავალში. ამის ნაცვლად, გაცილებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება უფრო ახლო თანამშრომლობაზე სექტორულ რეფორმებში. აქვე მინდა მივულოცო საქართველოს — თქვენი მიდგომა, რომ შექმნათ ახალი პროგრამები და სტრატეგიები ევროკავშირთან, შესანიშნავია. იქნება ეს ციფრული განვითარება, მწვანე ენერგიის საკითხები, კლიმატური ცვლილებები თუ სხვა. ევროკავშირთან მოკავშირეობა მნიშვნელოვანია და თქვენ ამას აკეთებთ. ასე რომ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია გააზრება და ქართველი ხალხის ამბიციების შემცირება, რადგან თქვენ ვერ მიიღებთ „კის“ 2024 წელს. უკეთესია, იკლოს მოლოდინებმა და ახსნათ რეალობა. გეტყვით, რომ ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებიც ფიქრობენ, რომ 2004 წელს გაფართოების გადაწყვეტილება შეცდომა იყო“, — აღნიშნა მან კითხვაზე პასუხისას, თუ როგორ განიხილავს ევროპარლამენტი საქართველოს მომავალ განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე და დაუჭერს თუ არა მისი ჯგუფი — „სოციალისტ-დემოკრატები“ — მხარს ამ განაცხადს.

**ipn.ge**


ბაშარ ასადი ცოლთან ერთად

# სირიის საპრეზიდენტო არჩევნებში ასადმა დამაჯერებლად გაიმარჯვა

**ბაშარ ასადმა ამომრჩეველთა ხმების 95,1% მოაგროვა და სირიის პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა, — განაცხადა სირიის პარლამენტის თავმჯდომარე ჰამუდა საბაგმა.**

ასადს ხმა მისცა 13,5 მლნ-მა სირიელმა. მან ხმების დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა. ამომრჩეველი იყო 18,1 მლნ, კენჭისყრაში მონაწილეობდა 14,2 მლნ. ასადმა ხმების 95,1% მოაგროვა. ასადმა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება გამოაცხადა. „მოდი, ხვალიდანვე დავიწყოთ მუშაობა ისეთი სირიის ასაშენებლად, როგორიც უნდა იყოს ის“, — განაცხადა ბაშარ ასადმა.

სირიაში საპრეზიდენტო არჩევნები 26 მაისს გაიმართა. ასადი, რომელსაც პრეზიდენტის პოსტი 2000 წლიდან უკავია, კიდევ ერთხელ აირჩიეს 7-წლიანი ვადით.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# «ბევრს არ სჯეროდა... სულ ტყუილუბრალოდ»: ევროკავშირში ბავშვებზე აღმაშფოთებელი ექსპერიმენტი ჩაატარეს

**რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირში აღმაშფოთებელი ექსპერიმენტი ჩაატარეს. შედეგები ასახულია გაეროს ბავშვთა ფონდ „იუნისეფის“ დოკუმენტებში. „ბევრს არ სჯეროდა... სულ ტყუილუბრალოდ“, — განაცხადა ჟურნალისტმა, პროგრამა „შაფრანის“ წამყვანმა ანა შაფრანმა ტელეარხ „ცარგრადის“ ეთერში.**


ანა შაფრანი

„ჩვენ გვაფრთხილებდნენ, რომ ჰომოსექსუალიზმისა და სხვა გარყვნილების მიმართ დამოკიდებულების შეცვლის კვალდაკვალ, რომლებიც უკვე ნორმად იქცა, დადგებოდა პედოფილიის რიგიც. ბევრს არ სჯეროდა, ამბობდნენ, „ეს სულ სხვა რამეა, აქ ხომ ბავშვებზეა ლაპარაკი. ეს ხომ წმინდაა“. და აი, ტყუილუბრალოდ არ სჯეროდათ“, — განაცხადა ანა შაფრანმა.

რამდენიმე დღის წინათ გაეროს ბავშვთა ფონდმა „იუნისეფმა“ გამოაქვეყნა „დოკუმენტი სამსჯელოდ“ სახელწოდებით „კონტროლის ინსტრუმენტები ციფრულ საუკუნეში და ბავშვთა ონლაინუფლებები მსოფლიოში“. მასში წერია, რომ თითქოს დაუდგენელია, ვნებს თუ არა პორნოფილმების ყურება ბავშვებს. უფრო მეტიც, დოკუმენტში მოყვანილია ევროპული კვლევის მონაცემები, რომელთა გამოც თმა ყალყზე დაგიდგებათ.

2020 წლის კვლევაში „ევრობავშვები ონლაინ“ შეაჯერეს ევროპის 19 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. გაირკვა, რომ ბავშვების უმეტესობას, რომელმაც ონლაინ ნახა სექსუალური სცენები, არ განუცდია არც წყენა და არც სიხარული (ასეთი, ყველაზე მცირე, რაოდენობით (27%) იყო შვეიცარიაში, ყველაზე მეტი (72%) ლატვიაში).

„ეს რა არის — აყურებინო ბავშვებს სექსუალური სცენები და გაზომო მათი რეაქცია?!“ — გაკვირვებას ვერ მალავდა შაფრანი.

**tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# «ნატოში უკრაინის მიღების იდეა სიგიჟეა»

**უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დიმიტრი კულებას განცხადებას, რომ უნდა დაჩქარდეს უკრაინის შესვლა ნატოში, ფრანგი მოქალაქეების მწვავე რეაქცია მოჰყვა.**

საფრანგეთის მოქალაქეების აზრით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის მიღება სიგიჟეა. ფრანგულ გაზეთ Le Figaro-ს ერთ-ერთმა მკითხველმა გაიხსენა დაპირება, რომ ნატომ თავის რიგებში არ უნდა მიიღოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნები და აღნიშნა, რომ ეს ვალდებულება მალე დაირღვა.

მეორე მკითხველის აზრით კი, ნატოში უკრაინის ინტეგრაცია იქნებოდა სიგიჟე, რომელიც „ომს გამოიწვევდა რუსეთთან“. კიდევ ერთმა ფრანგმა აღნიშნა, რომ უკრაინის პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის** არაერთხელ უთხრეს, რომ ნატოში უკრაინის შესვლა შეუძლებელია.

**news-front.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# სტივენ სიგალი პარტიის — «სამართლიანი რუსეთი — სიმართლისთვის» წევრი გახდა

**ჰოლივუდელი მსახიობი სტივენ სიგალი 29 მაისს ოფიციალურად შევიდა პარტიაში „სამართლიანი რუსეთი — სიმართლისთვის“.**



ადრე ის (სიგალი) იყო პარტია „სიმართლისთვის“ წევრი, ახლა **ზაქარია პრილეპკინის** გუნდთან ერთად შეუერთდა პარტიას „სამართლიანი რუსეთი — სიმართლისთვის“. მსახიობი დაკავდება ეკოლოგიის საკითხებით და იბრძოლებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# «კმარა ჩვენი აბუჩად აგდება! მე აღარ მინდა ევროკავშირი!»


დიმიტრი გორდონი

**უკრაინას არავინ ელოდება ევროკავშირში, მისი საგარეო-პოლიტიკური სტატუსი კი ნეიტრალური უნდა იყოს, ისეთი, როგორც 2014 წლის მოვლენებამდე, — განაცხადა ტელეარხ „1+1“-ის ეთერში სკანდალებით განთქმულმა მაიდნის პროპაგანდისტმა, კიეველმა ჟურნალისტმა დიმიტრი გორდონმა.**

„მე, საერთოდ, აღარ მინდა ბილეთი ევროკავშირში. ევროკავშირს იმდენი პრობლემა აქვს, რომ მის პრობლემებში ჩვენი ჩართვა უკვე აღარ ღირს. ეს — ერთი. მეორე — ისინი იქ ჩვენ არ გველოდებიან. კმარა ჩვენი აბუჩად აგდება. თუ უნდოდათ მიღება, მიგვიღებდნენ. ისინი ჩვენ არ მიგვიღებენ და არც ჩვენთვის არის საჭირო. ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა უნდა ვიყოთ ევროპის ცენტრში. მე არ მინდა ბილეთი არსად“, — განაცხადა გორდონმა.




უფრო ადრე მან აღიარა, რომ ევრომაიდანი იყო მოტყუება, რადგან უკრაინაში ცხოვრება გაუარესდა.

**poitnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009